

6



• СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО • SOVIET ART • SOWIETKUNST

180
1964/3

საქართველო

საქართველო

1964

180
1964/2



გამომცემის 40 წელი



საქართველო საენციკლოპედია

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
ქინო
კაჩიბაქაძე
ქოჩეიბაძე

საპარტვილო სსრ კულტურის სამინისტროს
ფოვალთვიური შტანალი

6-1964

9741

~~9764~~






ვ. ეფანოვი

ხევათა

მთავარი რედაქტორი — ოთარ ეგაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე.



ე. ამანუაშვილი
ჭაბოკაძის დედა

უკრაინელი ხალხის სახელოვან შვილს

მოსკოვში გაიხსნა ტ. გ. შვეჩენკოს კვლევი

მდინარე მოსკოვის ერთ-ერთ ულამაზეს სანაპიროზე, რომელიც დიდი კობზარის ტარას გრიგოლის-ძე შეეჭენკოს სახელს ატარებს, ცდაწვდილ სასტუმრო „უკრაინის“ შენობის წინ 10 ივნისს შეიკრიბა ათასობით მოსკოველი — მუშები და მოსამსახურეები, პარტიული და სასოფაგადობროვ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწეები, მოსწავლე ასალგაზრდობა. ისინი აქ სადღესასწაულოდ მორთულ სასტუმროს შენობის წინ მოუდანზე მოვიდნენ უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილის ტ. გ. შვეჩენკოს ძველის სახეიმო გახსნაზე.

მონუმენტთან, რომელსაც გადაფარებული აქვს აბრეშუმის თეთრი ქსოვილი, დგას ტრიბუნა. საღამოს ხუთ საათზე ტრიბუნაზე აღიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ფერმლოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. პოლიაკოვი, პ. ნ. პონომაროვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი. მათთან ერთად არიან უკრაინის მშრომელთა დელეგაციის წევრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პ. ვ. შელესტის მეთაურობით.

ტრიბუნაზე არიან აგრეთვე ვერმანის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი და სხვა გერმანელი მეგობრები.

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ევროჩინევმა, რომელმაც მიტინგი გახსნა, თქვა, რომ ტ. გ. შვეჩენკოს ძველი მოსკოვში დიდი რევოლუციური-დემოკრა-

ტისადმი, ხალხთა თავისუფლებისათვის, ბედნიერებისა და მეგობრობისათვის მებრძოლისადმი მიწველი საბჭოთა ხალხის დიდი სიყვარულისა და პატივისცემის სიმბოლოა.

ამ. ევროჩინევი დამსწრეთა სახელით გულითადად მიესალმა მოძმე უკრაინელი ხალხის წარმომადგენლებს, შემდეგ მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნიკიტა ხრუშჩოვის-ძე ხრუშჩოვს სთხოვა გაეხსნა დიდი კობზარის ძველი.

მოდანზე გაისმის მჭუსარე ოვაცია. შეკრებილი მხრე-ვალედ მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვს, იგი ჩამოვიდა ტრიბუნიდან, მივიდა მონუმენტთან და გადაჭრა წითელი ლენტო. ძველს აბრეშუმის ქსოვილი ჩამოეცალა. ედღეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პიჩნი მნახველთა თვალწინ აღიმართა უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილის მონუმენტური ფოტურა. მძღლავრი და დიდებულთა ხუთი მეტრი სიმაღლის რევოლუციონერი პოეტის ბრინჯაოს ძველი, იგი თითქოს მიაპიჯებს ოდნავ თავდახრილი, უკან ხელემშემოწყობილი, იგი შორს იყურება, სახეზე აღბეჭდილია ფიჭვი თავისი საშრობლოს ბედ-ილბაღზე, მისთვის საყვარელი ხალხის მომავალზე.

ძველი დადგმულია ნაცისფერი უკრაინული გრანიტის კვარცხლბეკზე, რომელიც ბუნებრივ კლდეს წააგავს. იგი დგას ზურმუხტოვანი მწვანით დაფარული მიწის ხელოვნურ ბორცვზე.

გრანიტზე ამოკვეთილია სიტყვები შეჩენკოს „ანდერძი-დან“:

„და იმ ახალ დიდ ოჯახში,
შეკრები თუ დამკვიდრდით,
მეც ვახსოვდეთ, რომ მივინოვნი,
საბო, წყნარი სიძველი“.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღის ტრიბუნაზე და ამბობს სიტყვას.

ნ. ს. ხ რ უ შ რ ო ვ ი ს ნ ი ტ ყ ვ ა

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს აქ ტარას გრიგოლის-ძე შეეჩენკოს ძველის გახსნაზე მოსკოველები და მათთან ერთად ყველა საბჭოთა ადამიანი სიყვარულითა და პატივისცემით იკონებს დიდი უკრაინელი ხალხის სახელოვან შვილს, პოეტ რევოლუციონერს, პოეტ დემოკრატს, დიდ მხატვარს, რომელმაც მთელი თავისი დიდი ნიჭი ჩვენი ხალხის საქმეს მოამარა.

ჩვენს ხალხს-მეთქი, ვამბობ, იმიტომ, რომ ტარას გრიგოლის-ძე შეეჩენკო მშობლიურად და თავისიანად მიაჩ-

ნიათ არა მარტო უკრაინელებს, რუსებს, ბელორუსებს, ყაზახებს, არამედ ყველა ეროვნების ადამიანებს, რომლებიც გაერთიანებული არიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. აი რატომ არის სასიხარულო, რომ ეს ძველი აქ, ჩვენი საშრობლოს დედაქალაქში დგას.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ხელი მოაწერა მოაგრობის დადგენილებას, რომ მოსკოვში დადგმულიყო, სოციალიზმისა და რევოლუციის დიდი მოღვაწეების ძველები. მათ შორის დიდი



უკრაინელი კომზარის სახელიც იყო. დღეს ვლადიმერ ილიაძის ეს ანაღერძი შესრულდა.

პოეტის დაბადების 150 წლისათვის აღინიშნება როგორც კულტურის დიდი და სასიხარულო დღესასწაული. საიუბილეო ზეიმი პოეტისადმი მთელი ხალხის სიყვარულის აღფრთოვანებულ დემონსტრაციად გადაიქცა, მან დაგვიანება. თუ რაოდენ ძვირფასია ჩვენი თანამედროვეებისათვის პოეტის სახელი და ხსოვნა.

დიდი კომზარის — ტარას შევჩენკოს სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მისი უკუდაგი ნაწარმოებები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ენაზე. ბევრი ქვეყნის ხალხთა ენებზე და მთელ მსოფლიოში შევჩენკოს პოეზია ნაღარასავით მოუწოდებს მშვიდობისათვის, შრომისათვის, თავისუფლებისათვის, თანასწორობისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხის ძმობისა და ბედნიერებისათვის საბრძოლველად.

ტარას გრიგოლისძე შევჩენკო — ყმა გლეხის შვილი, თვითონაც ყმა იყო. მან ბავშვობიდანვე განიცადა ხალხის მამიდელი ცხოვრების სიმძიმე და სიღუბნით. ამან განაზღვრა მისი შეხედულებანი. მისი დიდი ნიჭის განვითარება. რუს დემოკრატთა დახმარებით იგი თავისუფალი გახდა, მიიღო განათლება, რამაც შესაძლებლობა მისცა გაეშალა თავისი ნიჭი.

მთელი თავისი შემოქმედებით შევჩენკო მშრომელ ხალხს მოუწოდებდა გაბედულად ებრძოლა მებატონეების წინააღმდეგ, ცარობის წინააღმდეგ, ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხის თავისუფლებისათვის. მას არ ეშინოდა მტრებისა, იგი ვაკაცურად უცხადებდა ბრძოლას მტრებს. მან ქედი არ მოიხარა ცარიზმის წინაშე. იმ დროს, როდესაც მის საჯავრი დასდეს და ოსკის ციხე-სმაკვრეში გაგზავნეს უბრალო ჯარისკაცად, მოუსუსნა შესაძლებლობა გააყოლოდა საყვარელ საქმეს — წერასა და ხატვას, ესე იგი არაქტიკულად კატორღაში გაგზავნეს. რა შეიძლება იყოს უფრო დამამცირებელი და მტანჯველი პოეტისა და მხატვრისათვის, დიდი და ნათელი გონების ადამიანისათვის, ვიდრე ის, რომ მოუსპო შემოქმედების შესაძლებლობა.

მაგრამ იქაც, გადასახლებაში, ის განაგრძობდა ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მისი გული, მისი შემოქმედება სავსე იყო სიყვარულით უბრალო ხალხისადმი, იმ ადამიანებისადმი, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდა: ყაზახი მწვემებისადმი, იზაბადაში, ვინც ისევე როგორც თვითონ, მძიმე სამსახურს ეწეოდა აქ.

მტრებისადმი შურიძველობა და თავდადებული სიყვარული თავისი ხალხისადმი, უკრაინისადმი, სიყვარული რუსეთის მთელი მშრომელი ხალხისადმი წივილ ზოლად გასდევს გენიალური კომზარის მთელ შემოქმედებას.

შევჩენკოს პოეზია დიდი მრისხანებისა და დიდი სიყვარულის პოეზიაა, ეს არის პოეზია, რომელიც საბრძოლველად მოგვიწოდებს. ეს არის მებრძოლი პუმანიზმის პოეზია, ვინაიდან თავისუფლებისა და ბედნიერების მოპოვება მხოლოდ ბრძოლით — სასტიკი, მაგრამ საბრძოლიანი ბრძოლით შეიძლება. შევჩენკოს პოე-

ზია, ჩერნიშევსკის შემოქმედება, იყო რევოლუციური მანევრისტი რუსეთის მოწინავე დემოკრატისა, რომელიც უკეთესი წარმომადგენლებთან უკრაინელ პოეტს ქვემოთაქმნა და მეგობრობა აკავშირებდა.

შევჩენკოს ხმა რუს რევოლუციონერ დემოკრატთა ხმას უერთდებოდა, როცა იგი თავის ლექსებში წერდა: ნუ მოვლეთ სიკეთეს, ნუ მოვლეთ თავისუფლებას, — მას მივძინა, მზეც ნიკოლამ დააძინა იგი. სამარალის გამოსაღვიძებლად ყველამ ერთად მაღე უნდა გამოვშედოთ იარაღი და კარგად გავცუდოთ ნაყახი და მხოლოდ შენვედ გავაღვიძოთ.

რა შეიძლება იყოს უფრო ომახიანი, ძარღვიანი, მომწოდებელი, ვიდრე პოეტის ეს სიტყვები, რომლებიც მისი შემოქმედების სულისკვთებას, მისი რევოლუციური ბრძოლის სულისკვთებას გამოხატავენ.

უკრაინელი ნაციონალისტები ცდილობდნენ თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ ტარას გრიგოლისძის შემოქმედება. მაგრამ უკრაინელ ხალხს კარგად ესმოდა და ესმის თავისი საუკეთესო შვილის პოეზიის ღრმა ინტერნაციონალური აზრი. იგი მუდამ იყო უკრაინელი და რუსი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ხალხის მეგობრობის ერთგული.

ჩაუფიქრდით, რაოდენი მწუნხარება, გულსწყრომა და თვითმპყრობელობის დაგმობა და ამათთან ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხებისადმი ჩაბოღენი სიყვარული და თანაგრძობა გაისხმს პოეტის სიტყვებში:

«У нас же й світа, як на те —
Одна Сибір вєйходима.
А тормі! А людю!.. Що й лінту!
Од молдованина до фініа
На всіх язвах все мовчїть,
Бо благодїєствує!»

ამ სიტყვებში, რომლებითაც შევჩენკო მრისხანედ გმობს თვითმპყრობელურ დესპოტიზმს, იგი არ გამოყოფს მარტო უკრაინელი ყმა გლეხების მწუნხარებასა და უმედურებას. ტარას გრიგოლისძეს კარგად ესმოდა, რომ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთად უნდა აღდგნენ ყოფილი მეფის რუსეთის ყველა ეროვნების ჩაგრულნი. და შემთხვევითი როდია, რომ, როცა შევჩენკო წერს: «Од молдованина до фініа на всіх язвах все мовчїть». იგი არ ასახელებს უკრაინელებს, ცალკე არ გამოყოფს მათ. იგი ხედავდა, რომ სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე — მთელ რუსეთში ხალხები მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, იგი გამოხატავდა ყველა ხალხის აზრს, ვინც ცარიზმის ჩაგვრისაგან იტანჯებოდა.

შევჩენკოს პოეზია თვინიერებას, მძიმე ხედვისადმი მორჩილებას როდი გვასწავლის, იგი მოგვიწოდებს დავამსხვრიოთ ბოროტები, მოვიცილოთ მოწონი შრომის უღელი. შევჩენკო ერთი ეროვნების მხავერდობა და ჩაგრულთა ერთობას როდი გვასწავლის, როგორც ამას ბურჟუაზიული ნაციონალისტები სჩაიან. იგი მჩაგვრელთა წინააღმდეგ ჩაგრულთა ბრძოლისათვის მოგვიწოდებს. ეროვნული განთავისუფლება მისთვის განუყოფელია ყველა მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაგან.

იგი იყო სახალხო პოეტი ამ სიტყვის ყველაზე ტეშმა-



რითი, საუკეთესო გაგებით. ხალხური იყო შეგრენკოს ლექსების შინაარსი და ფორმაც სადა და მისაწვდომი, ისინი ხალხური სიმღერებიდან და თქმულებებიდან იზუნენ და ამიტომ ხალხმა ისინი მიიღო და ხალხური ვახადა.

ტარას შეგრენკო დიდი უკრაინელი ეროვნული პოეტია. მის ლექსებში შრობილური უკრაინისადმი მზრუნველ და მგზნებარე დედაშვილური სიყვარული გაისმის. მან თავის შემოქმედებაში გამოხატა უკრაინული ეროვნული ხალხური ხასიათის საუკეთესო თვისებები, ახებუდა ხალხის სული. მაგრამ სწორედ ამიტომ, რომ შეგრენკო ეროვნული სახალხო პოეტია, მის ლექსებში ოდნავაც არ იგრძნობა ეროვნული კარდახშულობა და განცალკევება, ეროვნული ეკოლოში და ამპარტავნობა. მისი პოეზიის სული ღიაა ყველა ერისა და ხალხის შრომელი ადამიანებისათვის.

ისევე, როგორც ყველა ქემშარტიად დიდი ეროვნული პოეტი, როგორც პუშკინი და მიკევიჩი, ლერმონტოვი და პანინ, ბაირონი და მაიაკოვსკი, შეგრენკო ინტერესობდა ხალხური ძმობისა და ხალხთა მეგობრობის პოეტია. იგი არასოდეს არ განახლებებდა შრომელ ადამიანებს — მას უყვარდა ყველა ეროვნების შრომელი ადამიანები და ჩაგრულები ისევე, როგორც განურჩევლად სძულდა ყველა მზავგერელი. ამიტომ თვითონ მეამბოხე კობზარიც ერთნაირად სძულდათ რუს მეფეს, მის კარისკაცებს და უკრაინელ ბანებს.

თავის პოეზიით შეგრენკო იმათ როდი ატკობდა, ვინც უსამშობის გამო ზოგჯერ ლექსებს კითხულობს. მისი პოეზია არ ატკობდა ცხოვრებამოყირკებული ადამიანების სმენასა და სულს. შეგრენკოს პოეზიის მახვილი მიმართული იყო მზავგერელების წინააღმდეგ. პოეტი მიმართავდა ჩაგრულთ, დაბნელებულთ. იგი მათ საბრძოლველად მოუწოდებდა და თვითონაც მათთან ერთად იბრძოდა მზავრელთა წინააღმდეგ.

ტარას შეგრენკოს ღრმად სწამდა და არაერთხელ უთქვამს, რომ ყველაფერს დიდებულსა და მნიშვნელოვანს ადამიანის გონება და ხელი ქმნის და თუ მათ გვათავაიოსუფლებთ მონობის ბორკილებისაგან, ისინი სასწაულებს მოახდენენ. იგი მგზნებარედ მოუწოდებდა ხალხთა მასებს ბოლო მოეღოთ „ყველა ამქვეყნიური ქვემძრომისათვის, ხელში ჩაგდეთ, გაესრისათ და ჯოჯოხეთში ვაძეკედით“. იგი გატაცებით იბრძოდა შრომელი ადამიანის განთავისუფლებისა და განდიდებისათვის, მისი ბედნიერებისათვის. იგი წერდა: „ბევრი, ძალიან ბევრი რაგ არის მშვენიერი დედაებრივ უკვად ბუნებაში, — მაგრამ უკვადვი სიღამაზის ზეიმი და გვირგვინია ადამიანის ბედნიერებით გაბრწყინებული სახე. მე არაფერი არ მინახავს ბუნებაში უფრო ამადლებული და მშვენიერი“.

ახდა დიდი უკრაინელი კობზარის ტარას გრიგოლის-ქე შეგრენკოს ოცნებები. ჩვენი ქვეყნის ხალხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამსხვრეს მონობისა და ჩაგვრის ბორკილები, ყველა ხალხმა როგორც მცირემ, ისე

დიდმა თანასწორი უფლებები მიიღო. საბჭოთა ადამიანი — თავისუფალი შრომის ადამიანი საკუთარი ბედნიერების მატარებელია და შემქმნელი ვახდა.

ყოფილი მეფის რუსეთის ხალხთა სიღიად ის არის, რომ ისინი მგებრულ, მძურ ოჯახში ცხოვრობენ. საბჭოთა კავშირის ხალხთა ამ დიდ ოჯახში გაერთიანებულია 100-ზე მეტი ერი და ხალხი.

მტრებს ეკონია, რომ მოსახლეობის ასეთი მრავალეროვანი შემადგენლობის გამო სოციალისტური სახელმწიფო აუცილებლად დაიშლება. სწორედ ამას უდებდნენ საუფლებლად ისინი ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების აღდგენის შავნულ გეგმებს.

შეგრენკოს შემოქმედების გარშემო სახლვარგართ დღესაც მწვავე იდეოლოგიური კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობს. კომუნისტურ მტრებს და მათ შორის ბურჟუაზიული ნაციონალისტებიც, რომლებიც თავიანთი იმპერიალისტი ბატონებისათვის იღვეიან, ისევე როგორც წინათ, ახლაც ცდილობენ დიდი კობზარის შემოქმედება თავიანთი მოვალეობური მიზნებისათვის გამოიყენონ. ისინი ყველგან იბრძა ამახინჯებენ და აყალბებენ მას, მაგრამ ამ იმედებს ახდენს არ უწერიათ.

ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა ბრძოლმა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ — ხალხთა მეგობრობისა და ძმობის პოლიტიკამ. ჩვენი ხალხების სულიერი სიღიადე, მათი მაღალი პოლიტიკური შეგნება იმით გამოვლინდა, რომ მათ ეროვნული ვებუდებლობა დაძლიეს და სოციალური, პოლიტიკური განთავისუფლება ვიწროდ გაკებულ ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დააყვეს. მძურ მრავალეროვან ოჯახში თავიანთი შრომით, თავიანთი გონებით საბჭოთა ადამიანებმა შექმნეს მშლავი სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ძველი, წარმავლი საშყაროს წარმომადგენლებმა, სწორედ იმათ, ვინც დასკინოდა მეფის რუსეთის ჩამორჩენილობას.

ტარას გრიგოლის ქე შეგრენკო არ იყო მარქსისტი, ეინაიდა მამინ მარქსიზმი ის-ის იყო იქნებოდა. მაგრამ XIX საუკუნის შუა წლების რუსეთის პირობებში კი იგი სწორად გრძნობდა ახალი დროის სუნთქვას, მუშათა კლასის ჩასახვას და მის დიდ მომავალს.

ავიღოთ თუნდაც ასეთი ჩანაწერი ტარას შეგრენკოს დღიური. გადასახლებიდან რომ ბრუნდებოდა მდინარე ვოლგით, იგი წერდა, რომ „...ეს გემი მე რაღაც უზარმაზარ, ყრუდ მოგუკუნე ხახადალებულ ურჩხულად მეგრენება, რომელიც მზად არის გადაყალბოს ინკვიზიტორი შემამოვლელი. დიდო ფულტონი და დიდო ენაქ! თქვენი პატარა ქმნილება დღეობით კი არა, საათობით იზრდება და მალე გადასასწავს მათრახებს, ტახტებსა და გვირგვინებს, დილობატებითა და მეამბოხლებით კი მხოლოდ ბირს ჩაიტიკარუნებს, გაერთობა, როგორც მოსწადელე ყინულმაქართით. იმას, რაც საფრანგეთში ენციკლოპედისტებმა დაიწყეს, მთელ ჩვენს პლანეტაზე თქვენი კოლოსალური გენიალური ქმნილება დაასრულეს. ჩემი წინასწარმეტყველება უდავოა“.



ამ სიტყვებში მოჩანს შეგჩენკო მოაზროვნე, რომელიც წინასწარ კვრეტდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ტექნიკურ პროგრესს საზოგადოების განვითარებისათვის მომავალში.

ამხანაგებო! ტარას გრიგოლის-ძე შეგჩენკოს ძეგლის კვარცხლბეკზე ამოკვეთილია გულშიამწვდომი სიტყვები პოეტის განთქმული ანდერძიდან:

და ახალ დიდ ოჯახში
შეებით თუ დამკვიდრდით,
შეც გახსოვდეთ, მომიგონეთ
სათნო, წყნარი სიტყვით.

ჩვენ დიდ პატივს ვცემთ დიდი პოეტის ხსოვნას თავისუფალ, ახალ ოჯახში, მარტო კეთილი სიტყვით კი არა, ყველაზე შესანიშნავი, ყველაზე დიადი სიტყვით ვიგონებთ მას, რომელიც კი შეუძლია გამოთქვას ადამიანმა. ჩვენ მას ვიგონებთ კეთილი სიტყვით. მაგრამ წყნარი კი არა, მჭექაბრე სიტყვით და ვალიარებთ მის სიდიადეს და დამსახურებას მთელი ჩვენი მრავალეუროვანი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა წინაშე, მთელი კაცობრიობის წინაშე.

ჩვენ წინ ტარას გრიგოლის-ძე შეგჩენკოს ძეგლი დგას, მაგრამ უფლებას მივცემ ჩემს თავს ისე მივმართო დიდ კობზარს, როგორც ცოცხალს:

— გადახედეთ, ტარას გრიგოლის-ძე, ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს! ჩვენი მრავალეუროვანი სოციალისტური სამშობლო — საბჭოთა კავშირი ახალ, თავისუფალ ოჯახად გადაიქცა! და ჩვენ არ დავვიწყებთა და არასოდეს არ დავიწყებთ, რომ თქვენ ხალხის ბედნიერებისათვის სახელგანთავსებელი იმ რიგებში იყავით, რომლებიც ძირს უთხრიდნენ თვითმპყრობელობას, არ იშურებდნენ თავიანთ ძალას, თავიანთ სიცოცხლეს მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მშრომელი ადამიანების თავისუფლებისა და ბედნიერების-

სათვის, განმათავისუფლებელ ბრძოლაში გამარჯვებულ სათვის!

თავისუფალმა და შრომისმოყვარე საბჭოთა ხალხმა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოება ააშენა. ახლა მარქსის, ენკელსის, ლენინის დროში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი კომუნისმს აშენებს. სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის გზით მიდიან ბევრი ქვეყნის ხალხები, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ გზას დაადგება მთელი კაცობრიობა.

სოციალიზმი კულტურის იმ ფასეულობათა ნამდვილი მემკვიდრე, რომლებიც ხალხის გენიამ შექმნა. და ამ ფასეულობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და უპიკნობია შეგჩენკოს პოეზია. ვიხდით რა შეგჩენკოს იუბილეს, ჩვენ ვადასტურებთ, რომ მის მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აწმყოსა და მომავლისათვის.

შეგჩენკოს სახელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი პროგრესული კულტურის ისტორიაში. დიდი კობზარის ძეგლის გახსნა მოსკოვში, სადაც იგი რუსული კულტურის გენიოსების — პუშკინისა და გოგოლის, გორკისა და მაიაკოვსკის ძეგლებთან ერთად იდგება; ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმობის თვალსაჩინო გამომხატულებაა.

ჩვენ — ახალი, თავისუფალი სოციალისტური სამყაროს ადამიანები უდიდესი მადლიერებით ვიგონებთ უკრაინის შესანიშნავ შვილს, ხალხთა ინტერნაციონალური ერთობისა და მეგობრობის დიდ მომღერალს.

დაე მარად ცოცხლობდეს შთამომავალთა გულში ტარას შეგჩენკოს ხსოვნა!

დაე მტკიცდებოდეს თავისუფალ ხალხთა მეგობრობა, დაე მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერნაციონალური ძმობა!

დიდება ტარას გრიგოლის ძე შეგჩენკოს!

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დროს არაერთხელ გაიხმა

მჭექაბრე, ხანგრძლივი ტანო)



შემდეგ სიტყვა წარმოთქვა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ე. შელესტამ: მან აღნიშნა, რომ ტარას გრიგოლის-ძე შეგჩენკოს ძეგლის გახსნა მოსკოვში ტ. გ. შეგჩენკოს შემოქმედების საერთო სახალხო პატივისცემის დიდებული ისტორიული აქტია. შეგჩენკოს ნაწარმოებთა ძალა და სიბრძნე, — განაგრძო ამხ. შელესტამ, — ის არის, რომ ის იყო დიდი ინტერნაციონალური პოეტი. მისთვის უაღრესად გასაგები იყო ყველა ჩაგრულისა და დამონე-

ბულის მისწრაფებანი. იგი ჩაგრულთ გულში უნერგავდა გამარჯვების მტკიცე რწმენას, იმის რწმენას, რომ მშრომელი ხალხი დაამსხვრევს მონობის ბორკილებს და დედამიწაზე შექმნის ნათელ და სასიხარულო ცხოვრებას. აღსრულდა ტარას გრიგოლის-ძის საწვევარი ოცნება. ჩვენს განახლებულ ქვეყანაში თავისუფალ, ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ ჩვენი სამშობლოს ბედნიერი ადამიანები.

შეგჩენკო, ხანჯახით აღნიშნა ორატორმა, იყო და ყო-



ველთვის იქნება ხალხთან ერთად, რადგან იგი როგორც პოეტი ხალხის ღვიძლი შვილი იყო. უკრაინელი ხალხი კანონიერად ამწყობს იმით, რომ რუს ხალხთან და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად აქტიურად იბრძოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, მათთან ერთად გაიარა რევოლუციური ბრძოლებისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა. ახლა რესპუბლიკის მუშები, კოლმუშურნიკები, ინტელიგენცია თავისი დაუცხრომელი შრომით ახორციელებენ კომუნისტების მშენებლობის დიად პროგრამას, რომელიც ჩვენი პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ მიიღო.

3. ე. შელესტმა თქვა, რომ ყველას გულის სიღრმემდე ჩასწვდა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, რომელმაც გულწრფელი სიყვარულითა და გულითადობით გააშუქა უკვდავი კობზარის დიდებული სახე, მისი თვალსაჩინო როლი მოძემ ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა უკრაინელი ხალხის სახელით დიდი ამაღლება გადაუხადა დიდ რუს ხალხს, ყველა მოძემ ხალხს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ამ ძველსათვის და ყოველივე იმისათვის, რაც მათ გააკეთეს და ახლაც აკეთებენ დიდი კობზარის სსოვნის უკვდავსაყოფად, იმისათვის, რომ დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა უკრაინის ეკონომიკის, ინდუსტრიისა და კულტურის აყვავებისათვის. მან პირობა მიწვიდა, რომ უკრაინის კომუნისტები, უკრაინელი ხალხი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსებით წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

მოსკოვის მშრომელთა სახელით მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ვლადიმერ ილიას ძის სახელობის ქარხნის მუშამ ა. ა. კუბარევიძემ ა. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტარას გრიგოლის—ძე შევჩენყო ყველასათვის საყვარელი სახალხო პოეტი. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირში, სადაც დიდი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანების ნებითა და შრომით იჭედება ხალხთა ბუნდოვანება, მოძემ ხალხების თავისუფალ თანამეგობრობაში კეთილი, მამაშვილური სიტყვით მოისინებოდა უკვდავი ტარასის სახელი.

დაე აღამაზებდეს ჩვენს მშობლიურ მოსკოვს კობზარის — ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მომღერლის, დედამიწის უბრალო ადამიანების თავისუფლებისა და ბუნდოვანებისათვის მამაცი მებრძოლის ძველი! — თქვა ა. ა. კუბარევიძე.

ეს ძველი ჩვენი ხალხების, ტარას გრიგოლის—ძის პოეტური გენიის ყველა თავყანისმცემლის სიყვარულსა და პატივისცემის მარადიული სიმბოლო იქნება, განაცხადა მიტინგზე ნ. ს. ტიხონოვმა — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის

გამგეობის მდივანმა, ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მომწყობი სრულად საკავშირო საბუთელი კომიტეტის თავმჯდომარემ.

გავიდა ასე წელი, განაგრძო ნ. ს. ტიხონოვმა და აი, ტარას გრიგოლის ძე შევჩენყო კვლავ შეხვდა მოსკოვს, მაგრამ არა ისეთ მოსკოვს, როგორსაც იგი იცნობდა, არამედ მოსკოვს — დიდი მსოფლიო სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქს. მოსკოვი, რომელიც მშვიდობისა და პროგრესის, განათლებისა და ხელფენების მსოფლიო ბურჯია, არა მარტო დიდი გულთბილობით, არამედ უდიდესი საერთო სახალხო სიყვარულით აღნიშნავს დღეს დიდი უკრაინელი პოეტის იუბილეს.

ნ. ს. ტიხონოვმა აღნიშნა, რომ შევჩენყო თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით განამტკიცებდა ჩვენი ლიტერატურის ძიობას, რუსი და უკრაინელი პროლეტარიატის კავშირს, სიტყვა შევჩენყო კიდევ უფრო მეტად აკავშირებდა ჩვენი ხალხების ერთობას.

ამხანაგების პ. გ. შელესტის, ა. ა. კუბარევისა და ნ. ს. ტიხონოვის სიტყვების დროს არაერთგზის გაისმოდა ტამი.

მიტინგი დათავარდა. დიდებულად ვერს უკვდავი შევჩენოსული „ანდრძი“. მის ასრულებენ სახელმწიფო აკადემიური ბანუნდო კაპელა „დუმკა“, უკრაინის ხალხური გუნდი, მანღურისკა სახელმწიფო კაპელა.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მიულოცეს ტარას შევჩენკოს ძველის ავტორებს — ახალგაზრდა უკრაინელ მოქანდაკეებს მ. ა. გრიციუს, ი. ლ. სიგევიჩს, ა. ს. ფუენკოს, არქიტექტორებს ა. ა. სინიარევს, ი. ა. ჩევანიუკს და მათ შემდგომი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვეს მუშაობაში.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა, უკრაინის დელეგაციამ ყვავილებით შეამკეს ძველი. ძველი ყვავილებით შეამკეს აგრეთვე დედაქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, საწარმოთა, მწეველობათა, შემოქმედებითი კავშირების, დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა, სკოლათა წარმომადგენლებმა.

ტ. გ. შევჩენკოს ძველის მახლობლად ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებმა დარგეს ნორჩი მუხები, რომლებიც უკრაინელებმა ჩამოიტანეს, როგორც რუსი და უკრაინელი ხალხების მარადიული და ურღვევი მეგობრობის სიმბოლო





ეგობრობისა და სიუვარლის კიდევ ერთ ნათელ დემონსტრაციად იქცა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის გამსვლელი სხდომა საქართველოში. თბილისში ჩამოვიდნენ საქართველოში აკადემიის პრეზიდენტი ვ. სეროვი, ე. ვერტიტი, ლ. კერსელი, ა. ლაქტოროვი, ზ. აზგერი, დ. შაირინოვი, დ. ნახანდანი, ვ. ორენიკოვი, ი. რომანი, ე. კაქშინი, ი. კოლინსკი, ა. გრიცაი, ა. სარქიანი, ე. ცვალი, ი. ზარდარიანი, ზ. ვილენსკი.

თბილისის სურათების გალერეაში მოეწყო აკადემიის წამდელი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წაჭარბებისა დიდი გამოფენა. როგორც საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა ვ. სეროვმა განაცხადა, სამხატვრო აკადემიას განზრახული აქვს ასეთი შიპრავი გამოფენები მოაწუოს ევროპაში რესპუბლიკაში. ამ ფართო გეგმის განხორციელება კი საქართველოდან იწყება.

გამოფენისაში უდიდესი ინტერესი ბუნებრივი და ვასკაბი იყო: აქ წარმოდგენილი იყო საბჭოთა ხელოვნების წაყვან და აღარბულ ოსტატთა შემოქმედება, ის ხელოვნება, რომელიც სამაგალითოდ არის ქცეული საბჭოთა სოციალისტური რეალიზმის განსამტყებლად ჩვენს მხატვრობაში.

სამატო სტუმრები ეწყვიენ თბილისის სამხატვრო აკადემიის და საფუძვლიანად გაეცნენ მის შემოქმედების მუშაობას, დაათვალიერეს სტუდენტთა და დიპლომანტთა ნამუშევრები, ესაუბრნენ მომავალ მხატვრებს. აკადემიის საქტო დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის გამსვლელი გაფართოებული სხდომა. მოხსენება თბილისის სამხატვრო აკადემიის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ გააკეთა აკადემიის რექტორმა, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ა. კუთათელაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ ლენინგრადის ი. რეპინის სახელობის სახვითი ხელოვნების ინსტიტუტის რექტორი ვ. ორენიკოვი, მოქანდაკეები: ლ. კერსელი და ე. ვერტიტი, ხელოვნებაშკოლდენ ი. კოლინსკი, ბელორუსიის სსრ სახალხო მხატვარი ზ. აზგერი, დ. შაირინოვი, ვ. სეროვი, თბილისის აკადემიის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კათედრის გამკედ. ციციშვილი, ფუნჯისა და სკერტლის ოსტა-

მხატვარი — აკადემიკოსები თბილისის სამხატვრო აკადემიის სახელოსნოებში



თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრა მხატვარ-აკადემიკოსებთან, ტრიბუნაზე ვ. სეროვი.

ტბმა მაღალი შეფასება მისცეს სტუდენტთა შემოქმედებას, ილაპარაკეს საბჭოთა ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე.

გაიმართა შეხვედრები მხატვართა სახელისწილებში, სტუდენტები ეწვივნენ საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე პროფესორ კორნელი სანაძეს, სახალხო მხატვრებს ლალო გულიაშვილს, კოტე შერაბიშვილს, სილოვან კაკაბაძეს, ნიკოლოზ კანდელაკს, შოთა შიქაძეძეს, კოლბეგს შორის იმართებოდა ცხოველი საუბრები საბჭოთა ხელოვნების პრობლემების ირგვლივ. მხატვარმა-აკადემიკოსებმა იმოჯაურეს კახეთში, ივანე სიღნაღში, გურჯაანში, კარდსაში, მუკუჯანში, წინადაღში, თელავში, უფლებანი შეგობრული, გულთბილი და სასაზარლო შეხვედრები გაიმართა. სტუდენტები გაეცნენ კახეთის ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს, ეწვივნენ ალავერდს, ივანოვსა და შემაძის.

თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელი სახელოვან შემოქმედით შეხვედრენ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. შეხვედრა შესაფერი სიტუაციი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სტურუამ, დამსწრე დედი ინტერესით მოისმინეს საბჭოთა სახეიო ხელოვნების ოსტატთა დრამად-წინასიანი გამოცვლები. საქართველოში მიღებულ შობებელებებზე და სახეიო ხელოვნების მრავალფეროვანი საკითხების ირგვლივ ლაპარაკობდნენ: ვ. სეროვი, ი. კოლბასკო, ლ. კერბელი, დ. ნაღანიანი, ე. უესტრი, ზ. ახვარი. საქართველოს ხელოვნების მუშაოთა სახელო სტუმრებს მიესალმა მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ზ. ლუგაია.

ა. ლაქტიონოვი, ო. ზარდარიანი, ე. იაქიანი



სამხატვრო გალერეაში, სიტყვას ამბობს ვ. სეროვი



გამოსვლებში და პლენუმზე მიღებულ დადგენილებებში მკაფიოდ იქნა ჩამოყალიბებული ის წარმატებები, რაც ქვეყანაში ქვეყანამ, საბჭოთა ხალხმა ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით უკანასკნელი წლების მანძილზე მოიპოვა ეკონომიკის, პოლიტიკისა და იდეოლოგიის დარგში.

„პარტიის საქმიანობის მთავარი შედეგი, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — ის არის, რომ საბჭოთა ხელი-სუფლების წლებში სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა. იზრდება კომუნისტური იდეალებისა და მღალღი მორალური პრინციპების ადამიანი, მილიონობით ადამიანის მსოფლმხედველობა პირველად ისტორიაში ყალიბდება მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერულ საფუძველზე: ახლა საბჭოთა ხალხს აქვს კომუნისმის აშენების კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა“.

პლენუმის გადაწყვეტილებების შემდეგ კიდევ უფრო დიდი ადგილი დაეთმო მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების, მთელი იდეოლოგიური მუშაობის გადაწყვეტი როლის ორგანიზაციის, მისი იდეური დონისა და ქმედითობის ამაღლებას, მასების პოლიტიკური განათლების ფორმების სასულიეროს.

ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების მოქალაქის აღზრდის პრობლემა განუყრელად დაკავშირებულია ბურჟუაზიული იდეოლოგიის, საბჭოთა ადამიანების შეგნებაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლასთან.

„თანამედროვე პირობებში პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ამოცანა ის არის, — ხაზგასმულია პლენუმის დადგენილებაში, — რომ იდეოლოგიურად უზრუნველყოფს სკკპ პროგრამის განხორციელებას, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ახალი ადამიანის აღზრდას; გააძლიეროს პოლიტიკური სიფხილეს, გაშლილი ფრონტით შეუტეოს იმპერიალისტურ იდეოლოგიას, ადამიანთა წარსულის გადმონაშთებს“.

ესლა იმპერიალისტური ქვეყნების მმართველი წრეების ხელს არ იღებენ სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ფორმებზე ისინი მთავარ იმედს ამყარებენ იდეოლოგიურ დივერსიებზე სოციალისტური სახელმწიფოების მიმართ, გაყვირიან აფერახსნილ ანტიკომუნისტურ. ისინი იდეოლოგიათა მშვიდობიანი თანაარსებობის ღონისძიების საფარით ცდილობენ შემოაპარონ ჩვენს საზოგადოებაში ხელოვნების „არაპარტიულობის“, „შემოქმედების აბსოლუტური თავისუფლებების“, „უიდეობისა და აპოლიტიკურობის“, „თაბობათა კონფლიქტის“ ყალბი კონცეფციები.

იდეოლოგიური მუშაობის მთავარ საშუალებათა შორის ამ ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხელოვნებასა და ლიტერატურას, რომლებსაც საქმე აქვს ადამიანის შეგნებისა და ფსიქიკის სფეროებთან, ღრმად წვდება მათ. იგი აყალიბებს კომუნისმის მილიონობით მშენებლის სულიერ საბჭოს. ამიტომ ბუნებრივია, რომ მხატვრული შემოქმედების შინაარსისა და მიმართულების საკითხს ახლა უმდიდრესი იდეოლოგიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

თავის მოხსენებაში იენისის პლენუმზე ამხ. ილიჩოვმა აღნიშნა, რომ „პარტია დიდად აფასებს საბჭოთა მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, თეატრისა და კინოს მუშაეების

იენისის პლენუმის

გადაწყვეტილებათა

ცხოვრებაში

ბანსორ ცილებისათვის

ექტივი გოგიაშვილი



როტი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1963 წლის იენისში განიხილა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები. ეს იყო უდიდესი მოვლენა ჩვენი პარტიისა და ქვეყნის იდეურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. იენისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა შემოქმედებითი ძალები და ენერჯია შემატა კომუნისმის მშენებელ საბჭოთა ხალხს.

ბ. ს. ხრუშჩოვის უაღრესად შინაარსიან სიტყვაში, ლ. თ. ილიჩოვის საფუძვლიან მოხსენებაში, კავშირის მონაწილეთა



შემოქმედებით საქმიანობას, მიაჩნია ისინი თავის ერთგულ თანაშემწეებად. მათი შემოქმედებითი საქმიანობის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება ახლა, როცა ადამიანთა კომუნისტური აღზრდა, ახალი ადამიანის ჩამოყალიბება პარტიის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა გახდა.

იენისის პლენუმი შეეხო საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და შრომის ყველა სფეროს, სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგს, რადგან, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი ვასაწყავის, იდეოლოგიური მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის წინსვლა, მისი სიძლიერე, მისი სამყურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატება. იენისის პლენუმი შეეხო პროფკავშირთა მთელ საქმიანობას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მოწოდებულია ჩაუნერგოს მშრომელებს თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძობა, აღზარდოს ისინი ახალი პროფკავშირის მშენებლობის დიდი საქმისათვის პასუხისმგებლობის მაღალი გრძობით, განუმტკიცოს კომუნისტურ მშენებლის ისეთი მნიშვნელოვანი თვისებები, როგორც არის შრომისმოყვარეობა, დისციპლინა, ორგანიზებულება, კოლექტივიზმი, საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური ცხოვრების წესების დაცვა. ცხადია ამ საქმეში მთავარია შრომითი აღზრდა.

მეტად დიდი და პასუხსაგები ამოცანები ეკისრებათ კულტურის მუშაკთა პროფესიულ კავშირებს ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ქვემოთაა იდეოლოგიური მუშაობის მოწინავე ხაზზე იმყოფებიან.

პლენუმის დადგენილების შემდეგ რესპუბლიკური კომიტეტის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა გახდა შემოქმედებითი დაწესებულებების, განსაკუთრებით თეატრის პროფესიული ორგანიზაციების ბრძოლის უნარიანობის ამაღლება, მათი როლისა და გავლენის გაზრდა თეატრის მთელ საქმიანობაზე, ამასთან მოვეყვით ხელოვნების მუშაკთა შორის კულტურულ მასობრივი და ორგანიზატორული მუშაობა დღევანდელ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

იენისის პლენუმის შედეგებზე რესპუბლიკის ყველა თეატრში ჩატარდა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, საწარმოო თათბირები, სამხატვრო საბჭოს სხდომები, იენისის პლენუმის დადგენილებას მიეძღვნა კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირის აქტივის რაიონური და საქალაქო კრებები და რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმები, სადაც ფართოდ იქნა განხილული პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრების მასალები, იენისის პლენუმის შედეგები და დასახული იქნა მხატვრული შემოქმედების შემდგომი განვითარების კონკრეტული გზები. რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე რეგულარულად იხილება საკითხები პროფორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ შემოქმედებითი დაწესებულებების მუშაობაში, სამყურნეო და სარეპერტუარო კულტურის შესწავლაზე, სადადგომო ხარკების შემცირების, ეფექტიანად მუშაობაზე გადასვლის, მასობრივი დატვირთვის, საწარმოო და შემოქმედებითი დისციპლინის განმტკიცების, მორიგე თეატრებისა და თეატრალურ სანახაობათა დაწესებულებების მუშაობის გამოცდილების განხორციელებისა და აღზრდის შესახებ...

იენისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, მის საფუძველზე შედგენილი რეგულაციების დადგენის შედეგად, ხელშეწყობა გატარებულმა ღონისძიებებმა დიდად შეუწყო ხელი ხელოვნების მოღვაწეთა კავშირის განმტკიცების ხალხის ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. შემოქმედებითი დაწესებულებები და მთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაქცობულა მუშაობა, გაიზარდა აქტივობა, განმტკიცდა შრომისა და საწარმოო დისციპლინა.

ამას წინათ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის III პლენუმმა კვლავ განიხილა ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის იენისის პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა კულტურის დაწესებულებებში და მათ პროფესიულ ორგანიზაციებში. ანგარიშით იენისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ გამოვიდნენ კულტურის პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო და ახალქალაქის რაიონური კომიტეტების თავმჯდომარეები ბ. შიშინაშვილი და ვ. მარტოხიშვილი. როგორც მომხსენებლებიც, აგრეთვე კამათში გამოსული ამანაგები, — მურათა კავშირიდან ს. წყნარავას, რუსთაველის თეატრიდან ნ. მარგალიტაშვილის, ქუთაისიდან საჭარო ბიბლიოთეკის გამგის ნ. ფანცხავას, ახალქალაქიდან კულტურის განყოფილების გამგის ვ. დურგარაიანის, ქუთაისის ლაღო მესხიშვილის სხვ. თეატრიდან ვ. გვერდიძის, ახალქალაქიდან კინოფილიის განყოფილების გამგის ს. ხუცარაიანის, საქ სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის ა. კალანდარიშვილის და სხვათა გამოსვლებში იგრძნობოდა ის დიდი ორგანიზატორული, მასობრივ-აღმზრდობითი და მაღალი იდეურ მხატვრული შემოქმედებითი მუშაობა, რასაც კულტურის დაწესებულებები და მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ატარებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმის გადაწყვეტილების მასებმდე დაყვანისა და ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

იენისის პლენუმის დადგენილების შემდეგ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და პროფორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით გადაიხვეული იქნა თეატრების, საკონცერტო ორგანიზაციებისა და კოლექტივების მოქმედი რეპერტუარი და გაუმწიფდა იქნა იგი სუსტი და უეიფო სპექტაკლებისაგან, მნიშვნელოვანი მნიშვნელოვანი გადაიღდა თეატრების მომავალი სეზონის რეპერტუარის გასაუქმებლად. ბევრმა ქართულმა მწერალმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, შექმნა ახალი პიესები და კვლავ ნაყოფიერ მუშაობას ეწყვედა დრამატურგიული ნაწარმოებების შესაქმნელად, რომლის მთავარი თემა საბჭოთა ადამიანი, შემოქმედი, მშრომელი და მებრძოლი.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტთან არსებულ ხელოვნების მუშაკთა საბჭოში ხშირად ვაწყობთ თეატრალური სპექტაკლების განხილვას, ახალი მუსიკალური ნაწარმოებების გარჩევას, მხატვართა ნამუშევრების გამოფენას და განხილვას, კულტურის მოღვაწეთა შეხვედრების მშრომლებთან, ამასთან იმართება შემოქმედებითი საღამოები და შემოქმედებითი ანგარიშები... ეს ღონისძიებები დიდ როლს ასრულებს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული ღონისძიებების მუშაობის დაწესებულების გაუმჯობესებაში.



ყველა თეატრში შეივსო და გაძლიერდა სამხატვრო საბჭოების შემადგენლობა. ახლა მაიმი მონაწილეობენ თეატრალური ხელოვნების საუკეთესო მცოდნენი, საზოგადოებრივი ორგანიზებისა და შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები. რესპუბლიკის თეატრები და მათი პროფორგანიზაციები აქტიურად გამოიწვენენ საბჭოთა კავშირის მოწინავე თეატრების მოწოდებას, რომლებმაც იენისის პლენუმის საპასუხოდ თავიანთ სამართლო ამოცანად გამოადგინეს სპექტაკლების იდეური და მხატვრული დონის ამაღლება, სადადგმო ხარჯების შემცირება სახელმწიფო სახსრების დაზოგვა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ვოლგოგრადის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მუშაობის მაგალითი, ეს თეატრი ჩაება რა კომუნისტური შრომის დაწესებულების წოდების მოპოვებასათვის გამოსული შეჯიბრებამო, ვალდებულება იყისრა შემწმას მაღალიდური და მაღალმხატვრული სპექტაკლები, განახორციელოს მუდმივი კულტურული შფობა სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელზე, ამაღლოს მათეურებელთა მხატვრული მოსახერხების დონე, სისტემატურად მოაწიოს გასულით სპექტაკლები, მტკიცედ დაამყარდროს შრომასა და ყოფაცხოვრებამო კომუნისზის მშენებლობის მორალური კოდექსი. ამაღლოს შემოქმედებითი კოლექტივის პროფესიული დონე. ჩვენში ორგანიზაციები აქტიურად გამოეხმარუნენ მოწინავე თეატრების — განსაკუთრებით ვოლგოგრადელთა თაონობას. დასახეს პრაქტიკული ღონისძიებები. თეატრებში შემოქმედებით მუშავთა შორის გაიშალა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მუშაობის იდეური დონისა და მხატვრულობის ამაღლება.

სკკ ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმის შმედგ რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრების სცენაზე ასზე მეტი ახალი პიესა განხორციელდა, აქედან უმრავლესობა თანამედროვეობის თემას მიეძღვნა. ახალ დადგმათა შორის აღსანიშნავია თანამედროვეობის ამსახველი პიესები: მ. მამონიას „მეტეხის ჩრდილოში“, ე. როზოვის — „ვახშობის წინ“, ბ. პრეტის — „სამტრონიანი ოპერა“, ნ. დუმბაის — „მე ვსე-დავ მუსს“, გ. მდინის — „კონსული მოიარეს“, ა. შტეინის — „ოკუნე“, კ. ვიტლინგერის — „ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი“, გ. აბაშიძის — „მოგზაურობა სან დროში“, გ. მამლინის — „მეგობრები“, რ. ლაიძის — „მეგობრები“ და ს. ცინცაძის „აბლაბუა“ (მუსიკონიის თეატრში), ს. პროკოფივის — „სემიონ კოტკო“ (ოპერის თეატრში) და სხვ.

1963 წლის სარეპერტუარი გვემით გათვალისწინებული იყო 148 ახალი პიესის დადგმა. ფაქტიურად დაიდგა 145, მათგანბელთათვის უნდა ექნებოდა 8.742 სპექტაკლი, ფაქტიურად აჩვენეს 8.838 სპექტაკლი. შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესებით და სამეურნეო სარეპერტუარი გვემების შესრულებით მთელ რიგ თეატრებში ვალიერდა და განხტკიცდა მატერიალური ბაზა, გაიზარდა ფულადი შემოსავალი. ამის სალოტესაკოები შეიმტება მოვეყვანით შემდეგი ფაქტები: თუ ხუთი-ექვსი წლის წინათ ე. ი. 1957/58 წლების სეზონში რესპუბლიკის თეატრების ფულადი შემოსავალი 1518,5 მანეთის არ აღემატებოდა, მარტო 1963 წელს სპექტაკლების შემოსავალმა 2701,5 მანეთს მიაღწია, ამავე პერიოდთან შედარებით განახევრდა სადადგმო ხარჯები, გაიზარდა ახალი სპექ-

ტაკლების რაოდენობა და ამაღლდა მათი იდეურ-მხატვრული დონე. შემოსავლის გადიდებისა და მატერიალური, მატერიალური მტკიცების შედეგად რესპუბლიკის მთელი რიგი თეატრები გადასესი არიან უღოტაკო მუშაობაზე. სახისმართლოს ის, რომ უღოტაკო მუშაობაზე გადასვლის პირობებში კი არ შემცირდა თეატრის სპექტაკლების იდეური მხატვრული დონე, არამედ იგი კიდევ უფრო გაუმჯობესდა და სრულყოფილი გახდა.

თეატრების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში მცირე რაოდენობის არსებული პროფკავშირული ორგანიზაციები. ისინი კულტურულ-მასობრივ და აღმზრდელითი მუშაობის გაუმჯობესებით სერიოზულ გავლენას ახდენენ შემოქმედებითი კოლექტივის მთელ საქმიანობაზე, რასზედ მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისათვის. ადგილობრივი კომიტეტების საქმიანობა მარტო ამით არ იფარგლება. ისინი ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის ხორცს ასახენ პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ადგილებზე მიღებული დადგენილებების შესრულებას. ხშირად მსჯელობენ საფინანსო და სარეპერტუარი გვემების შესრულების საკითხებზე. მაგალითად, რუსთაველის თეატრის პროფორგანიზაციამ განიხილა 1963/64 წლის რეპერტუარი, სპექტაკლების „მეტეხის ჩრდილოში“ და „ვახშობის წინ“ მსადების მიმდინარეობა, სადადგმო ხარჯების შემცირებისა და სახელმწიფო თანხების გკონომიით ხარჯვის, საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, მუშა-მოსამახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესების, საწარმოო სანიტარის, ტექნიკის უმოწოდების საკითხებზე მოგარგების და სხვა მრავალი საკითხი, სადავ შემოქმედებითი მუშაობის მთელი პრიციპულით და ინტერესით იხილავდნენ დასმულ საკითხებს, ახმედუნენ ნალოთავებებს მუშაობაში და შექონდთ კონკრეტული წინადადებები შემდგომ მუშაობის გასაუმჯობესებლად. ყველა ამ ღონისძიებას უმჯობედ არ ჩაუვლია თუ თეატრის უკანასკნელი წლების საქმიანობას გადაებედათ ცხადი გახდებოდა, რომ 1963/64 წლის სეზონი ცაცლებით კაცკოვრათის იძლევა. ამამად თეატრის მთელი კოლექტივი ცაცკოვრებით მუშაობს მტკიცე მატერიალური ბაზის შესქმნლად, რათა წარმატებით განახორციელოს უღოტაკო მუშაობაზე გადასვლა. თუმცა აქვე უნდა შევნიშოთ, რომ თეატრის უპირველესი საბრძოლო ამოცანა მანევ შემოქმედებითი მუშაობის დონის ამაღლებაა, რადგან ამ მიმართებით ჯერ კიდევ ბევრი რჩება გასაცვებლად. ჯერ კიდევ მთელი ძალებით არ არის გამოსული ბრძოლა, რომ ყველა სპექტაკლი გამოირჩეოდეს მაღალ იდეურობითა და მხატვრულობით.

წლების განმავლობამო მახარაძის სახელმწიფო თეატრი არ სირულებდა შემოქმედებით და საფინანსო გვემებს, სცენაზე ხშირად იდგებოდა უფროთა პიესები, ნაკლებ ორგანიზებულად ტარდებოდა გასულით სპექტაკლები, გასტროლები, არამაცამყოფლებლად ზრუნავდნენ შინა რესურსების მაქსიმალურად გამოყენებაზე. თეატრი გამოეხმარა რა ვოლგოგრადელთა მოწოდებას, ვალდებულბა იყისრა ფართოდ გაეშალა თავისი საქმიანობა. სერიოზული ღონისძიებები გატარდა რეპერტუარის გამდიდრებისათვის, სპექტაკლების იდეური და მხატვრული დონის ამაღლებისათვის. ესლა მისი აფიშა არ არის დამტკიცებული, მის რეპერტუარში შემტებთ სპექტაკლებს ქართული და რუსული კლასიკური და თანამედროვე-



იბის ამსახველი დრამატურგიიდან. შემოქმედებითი მუშაგები ხლის მიღებენ ცხოვრებასთან. რვეულარულად, მოფიქრებულად და შინაარსიანად ატარებენ კულტურულ-მხატვრულ ღრინძობების სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კომპიუნენობებსა და საბჭოთა მურენიებში, სკოლებსა და საწარმო დაწესებულებებში. ამან განაპირობა თეატრის ატორიტეტის ამაღლება, გაამდივრა მატერიალური ბაზა. 1963 წელი თეატრმა მოგვით დაამთავრა, ხოლო წლის მთავრ ნახევარში შემოქმედებითი და სამეურნეო მუშაობაში საუკეთესო მანქანებლების მოპოვებისათვის ფულადი ჯილდო დაიმსახურა, ვოლოგრადის თოჯინების საოლქო თეატრის წამოწყების საპასუხოდ მასხარაძის თეატრის კოლექტივი ესა ერთსულოვნად იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელის მოსაპოვებლად. მახარაძელთა თაოსნობა მისამაია და მას აქტიურად უნდა გამოებმურონ ჩვენი თეატრები.

მუშაობის კარგი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ თბილისის მოზარდ მყურებელთა რუსული თეატრის, თოჯინების თეატრის, სოხუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ბათუმის თეატრების, თოჯინების ქუთაისის და სხვა თეატრების მუშაობიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გაქვს შემოქმედებითი დაწესებულებების პროფორგანიზაციების მუშაობაში. ყველგან სათანადოდ როდი მუშაობენ იგნისის პრემიის დადგენილების ცხოვრებაში განხორციელებისათვის. ზოგჯერ გამყოფილებიან საკითხების განხილვით და დადგენილებების მიღებით. პროფკავშირის ზოგიერთი ადგილობრივი კომიტეტი ნაკლებ გავლენას ახდენს თეატრების რეპერტუარის პოლტიკის გაუმჯობესებაზე. არის შემთხვევები, როცა ხორციელდება უსტიკო, ზოგჯერ იდეურად მანკიერი ნაწარმოებები, რამაც დანაშაული მიუძღვის შემოქმედებითი კოლექტივების პროფკავშირულ ორგანიზაციებსაც. ზოგიერთ თეატრში ჯერ კიდევ ნაკლებად არის გამოილი ბრძოლა შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, საფინანსო და სარეპერტუარო გვებების სისტემატური შესრულებისათვის, მყურებელთა და ინტერესებისა და მოზიდვისათვის, ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ გასული წელი თეატრებში ზეგვემოური ზარალით დამთავრდა.

1963 წელს რესპუბლიკის თეატრებმა ნაცვლად 3.619.300 მყურებლისა, 3.278.200 მყურებელი მიიზიდა, რომ ცხოვრება უკან კი დგას იდეურად დაბალი და მხატვრულად უსტიკო სპექტაკლები, რომლებმაც თავისთავად ცუდი ფინანსური მდგომარეობა განაპირობეს.

ჭიათურის თეატრის მუშაობის შემოქმედებით გამოირკვა, რომ აქ პროფორგანიზაციის მონაწილეობით იმეორება ტარდებოდა საწარმო თათბირები, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, სათანადო სიმამლევზე არ იდგა საწარმოო და შრომის დისციპლინა, ადგილი ჰქონდა რეპეტიციებზე დაგვიანებას და გავლენას. მსახიობთა ნაწილი ვერ ასრულებდა დატვირთვის ნორმებს. აღინშნული ნაკლოვანებები უარყოფით გავლენას ახდენდა თეატრის შემოქმედებით მუშაობაზე, მის რეპერტუარში არსებული სპექტაკლების ნაწილი მხატვრულად უსტიკო იყო. სათანადოდ ვერ ემზადებოდა აქტივალურ საკითხებს განსაკუთრებით ეს უნდა აღინიშნოს სპექტაკლზე „ტრიფონი

მტკვრის პირას“, რომლის რევისორული დონე და აქტიური-ული შესრულება იხდებდა დაბალი იყო, რომ მყურებელთა მიზიდვა. თეატრის 1963 წლის გვეგმის არცერთი მანქანებელი არ შესრულებია. მართალია, უკანასკნელ პერიოდში თეატრმა ნაწილობრივ გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ გასაკეთებელი ბევრი რჩება.

მარჯვენაშელის სახელობის სახელმწიფო თეატრმა გასული სეზონში შედიხედ გამოეშვა რამდენიმე მხატვრულად უსტიკო სპექტაკლი, რომლებმაც მყურებლის მოზონება ვერ კპოვა. აღარ შეგვირდებით იმაზე, რომ ამ თეატრის გასული წლის ფინანსური მდგომარეობა არასაკმალოდ სურათს იძლეოდა.

განსაკუთრებით ცუდი მანქანებლებით დაამთავრა გასული წლის სეზონი შაშინის სახ. სიმეურმა დრამატულმა თეატრმა, რომელმაც მყურებელთა მოზიდვის 1963 წლის გვეგმ 67,7 პროცენტით შესარულა, — ხოლო ფულადი შემოსავლისა 69,7 პროცენტით. გრიბოედოვის სახ. დრამატულმა თეატრმა მყურებელთა მოზიდვის გვეგმ 83,2 პროცენტით შესარულა, ხოლო ფულადი შემოსავლისა 87,4 პროცენტით. არადამკმაყოფილებლად იმუშავეს აგრეთვე ცხინვალის სახელმწიფო თეატრმა. ზარალით დაამთავრა სამეურნეო წელი სახელმწიფო ფლარმონიათაც.

სანახობათა დაწესებულებების სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობის მანქანებელი ეს ციფრები იმიტომ მოგვეყავს, რომ იგი პირდაპირი გამოხატულება კოლექტივის შემოქმედებითი ღრინძისა და პირიქით, თეატრის დაბალი შემოქმედებითი დონე უარყოფით გავლენას ახდენს თეატრის ფინანსური მდგომარეობაზე, მის მატერიალურ ბაზაზე.

გასული თეატრალურ სეზონში, მიუხედავად ერთგვარი წარმატების, თეატრებმა მაინც ვერ გაკავასტეს დიდი მნიშვნელობის სპექტაკლებით თანამედროვეობის აქტიურ საკითხებზე. ზოგიერთ თეატრში მხრუნველობით როდი გვიდებიათ ჭარბველ დრამატურგთა პიესების დადგმას.

თეატრები ჯერ კიდევ მწვავედ განიცდიან დიდი მოქალაქეობრივი ელვადობის სპექტაკლების უქონლობას, სადაც ასახული იქნება ჩვენი სოციალისტური ცხოვრების სიდიადე, მოქმედ გამირებად გამოყვანილი იქნებიან მოწინავე ადამიანები. ჩვენი თეატრების სცენაზე აღიზარდა ახალი ტიპის მსახიობი — ტრიბუნა და მოქალაქე, სწორედ ასეთ მსახიობს ძალუბ შექმნის კომუნისმის მოწინავე მშენებლის სახე. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მსახიობებმა წარმატებით შესარულდ ეს კეთილშობილური მისია. მცირე რაოდენობით იდგმება ისეთი პიესებიც, რომლებშიაც გამირა აქტიურად იბრძვის წარსულის გადმონათების წინააღმდეგ.

ჭარბველი მწერლები და ხელოვნების მუშაკები ჯერ კიდევ ვალში არიან პარტიასა და ხალხის წინაშე. თეატრების რეპერტუარში არსებული ნაკლოვანებები გარკვეულად განპირობებულია ჩვენი წამყვანი დრამატურგების ჯერ კიდევ არამდამკმაყოფილებელი მუშაობით. მაგრამ ეს სრულიადე ვერ სხნის პასუხისმგებლობას თეატრის მუშაკებს, მის სამხატვრო სამბეოს, რეჟისორის და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მათი ვალია დრამატურგის გაუმჯობესებაზე სერიოზული ფორმა, ისინი დრამატურგებთან ერთად მთელი მონდომებით უნდა იბრძოდნენ ახალი, საინტერესო პიესების შესაქმნელად, მჭიდრო



შემოქმედებით კონტაქტში იყვნენ მათთან. ზოგიერთმა თეატრმა დღემდე ვერ შეძლო ნორმალური შემოქმედებით ურთიერთობის დამყარება მწერლებთან. სცენისა და ლიტერატურის მოღვაწეთა შემოქმედებით ურთიერთობასა და თანამუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

ჩვენი თეატრების რეპერტუარის გაზიდვების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელ რესპუბლიკებისა და სოციალისტური ქვეყნების დრამატურული ნაწარმოებების დადგმას. ამასთან დაკავშირებით ამოავივივ პრაქტიკული ნაბიჯი უნდა გადავიდეს.

ცხოვრების უფრო ახლოს გაცნობის მიზნით, მაღალიდგურ და მაღალმატრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად უნდა მოიწიოს დრამატურების შემოქმედებითი მივლინებები მშენებლობებზე, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ამგვარ ხანგრძლივ მივლინებებს სასურველი შედეგები მოაქვს.

ახლა ყოველგვარი პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ თეატრები და მათი პროფორგანიზაციები უკეთესად მუშაობდნენ. ვერ შევერიდებით იმ ფაქტს, რომ რომელიმე თეატრში დაბალდონეზე იდგეს შემოქმედებითი სამეურნეო საქმიანობა. ერთი წუთითაც არ უნდა შეწელებს მხრუნველობა იენისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომლებშიც ღრმად არის მოცემული შემოქმედებითი მუშაობის ყველა ის სასიცოცხლო საკითხი, რაც დღევანდელ ეტაპზე ევროპა-აუცილებელია იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

იენისის პლენუმმა განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა სოფლის მოსახლეობაში იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების ამოცანებს, მშრომელთა კომუნისტურად აღზრდას, მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას, დახვეწას. ამ მხრივ ცოტა რამ როდი გააკეთეს საქართველოს მხატვართა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფის მუშათა კავშირებმა, თეატრალურმა საზოგადოებამ, აგრეთვე თეატრებმა, კულტსაგან-მანათლებლო დაწესებულებებმა, პრესამ, რადიო-ტელევიზიამ. საინტერესოა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თაოსნობა, რომელმაც არაერთი კონცერტი და გასკულით პლენუმში გამართა რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებში, რომლის დროს შესრულებულ იქნა, საბჭოთა კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებები. ის, რაც გაკეთდა მოსახლეობის მუსიკალური განათლების ასამაღლებლად, მათი მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების დასახვეწად, დიდი მოწონების ღირსია და კვლავაც უნდა განაგრძონ.

სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურების საქმეში განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის თეატრები. შარშან ჩვენმა თეატრებმა 2985 გასკულით სპექტაკლი მოაწივეს სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო მხატვ-

რულმა კოლექტივებმა და ანსამბლებმა უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე სოფლის მოსახლეობისათვის 2500 სპექტაკტი გამართეს. უკანასკნელ პერიოდში სისტემატურად ეწეობოდა მხატვართა ნაწარმოების მოძრავი გამოფენები, რაიონის ცენტრებსა და მსხვილ დასახლებულ ადგილებში, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების შეხვედრები სოფლის მოწინავე ადამიანებთან, ახალი ლიტერატურული ნაწარმოებებისა და კინოფილმების განხილვა ავტორებისა და შემსრულებლების მონაწილეობით და ა. შ. სოფლის მოსახლეობის მოსახურების საქმეში დიდ როლს ასრულებს მხატვრული თვითმოქმედება, სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლები, სახალხო თეატრები, ავტომხატვრული ბრიგადები, თვითმოქმედი კინო-სტუდიები და სხვ.

ჩვენი პარტიის გასული წლის დეკემბრისა და მიმდინარე წლის თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა საბაზოზე რესპუბლიკის 31 კულტურის წარყვანი დაწესებულება და ორ განიხაცაო კულტურულ შეფობას უწევს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მსხვილ ობიექტებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მათ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელს. მაგალითად: ქ. რუსთავის ავტოსასუ-ქების ქარხნის თვითმოქმედ კოლექტივებს შეფობას უწევს რუსთაველის თეატრი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომბინატის თვითმოქმედ კოლექტივებს — მარჯანიშვილის სახელ-მწიფო თეატრი, ორთქლმავლაგავიანთმშენებელ ქარხანას — ოპერისა და ბალეტის თეატრი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობის თვითმოქმედ კოლექტივებს — ზუგდიდის თეატრი, ბათუმის ნავთობდამამუშავებელ ქარხანას — ბათუმის თეატრი, მახარაძის რაიონის სოფ. შოკ-მის, გურიანთას, ძიძიძის, ნატანების, ვაკიჯავრის და ურეკის სასოფლო კლუბებსა და მათ თვითმოქმედ კოლექტივებს — მახარაძის თეატრი და სხვ.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ როგორც კავიტალისტური წყობილების დამხობისათვის ბრძოლაში, ისე კომუნისტების მშენებლობის დროს იდეოლოგიური მუშაობას, ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმიდისათვის ერთ-ერთი პირველხარისხიან მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამით აიხ-სნება დღეს ის შეუნულებელი ყურადღება, რომელსაც კომუნის-ტური პარტია უთმობს იდეოლოგიურ მუშაობას.

კომუნისტების მშენებელი უნდა იყოს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი, რომელშიც შეხამებული იქნება სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმიდე და განვითარებული ესთეტიკური გემოვნება. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს ჩვენი სახელმწიფო ორგანიზაციები. ერთი წუთითაც არ უნდა შეწე-დეს მუშაობა საბჭოთა კავშირის კვ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის იენისის პლენუმის დადგენილების ცხოვრებაში გან-ხორციელებისათვის, საბჭოთა ადამიანების კომუნისტური სუ-ლისკვეთებით აღზრდისათვის.



„მთიბის“ პირველი რედაქტორი ლავრენტი ქართველიშვილი
(1924 წლის 1 ნომრის)



რედაქტორი შხველი კახიანი
(1926 წლიდან — 1929 წლამდე)

„მთიბის“ 40 წელი

9764

ცენტლეით ჩვენი ტრიალებს ხანა,
ჩვენი „მთიბიც“ ცეცხლის ფერია;
მან ზევირ რული და შვილი ხანა
ქარიშხლის ხმებით შოიკერია.
ჩვენი მხურვალ სულში „მთიბის“,
საღში ხანის, რომ ვასცა ჩარჩოს!
დროშის, ვაწვეს, ძალთა მოკრებას!
ინტერნაციონალის ზმას ვაუმარჯოს,
ინტერნაციონალის აბოპქრებას.

გალაკტიონი

ქ

ვენი ეპოქის ადამიანთა ფიქრსა და
ოცნებას, მათ სანუკვარ იდეალებს და
მისწრაფებებს ასახავს ჩვენი საბჭო-
თა ლიტერატურა. არასოდეს არ მდგარა მწვერ-
ლობის წინაშე ისე მწვეავედ და აქტუალურად
ახალი ადამიანის ფიქრისა და ოცნების გამო-
ხატვის საკითხი, როგორც ეს დღეს, ჩვენს ეპო-
ქაში.

საბჭოთა მწვერლობა ღირსეულად იხდის
ვალს ხალხის წინაშე და გვიჩვენებს თანა-

მედროვე ადამიანებს მთელი თავისი მრავალ-
ფეროვანი და დიადი ბუნებით. ასახავს ჩვენი
ცხოვრების გრანდიოზულ მოვლენებს, საბჭო-
თა ადამიანების საარაკო შრომას, რაშიც
ვლინდება ჩვენი დროის გამირის ხასიათი, ხო-
ლო საბჭოთა არსას კი თავის ფურცლებზე
გადმოაქვს მათი ნააზრები.

წიგნებისა და ჟურნალების საშუალებით
მყარდება კონტაქტი მწვერლობასა და მკითხ-
ველებს შორის.





ქართულ მკითხველებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჟურნალი „მნათობი“ ქართულში თავს იყრის ახალი და საინტერესო, რასაც კი ქმნის ქართული მწერლობა. არ ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში საინტერესო ეტაპი, რომ მას თავისებური მაღალმხატვრული ასახვა არ ეპოვოს ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე.

ჟურნალი „მნათობი“ საბჭოთა ეპოქის პირველი წელიწადიდან მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1924 წელს. და დღემდე მისი დაბეჭდვისა, „მნათობის“ გამოცემა არ შეწყვეტილა. სარგებლობს ხანდაზმულობას — ორმოც წელს მიაღწია. მართალია, წარსულში მრავალი მხატვრულ-პუბლიცისტური ჟურნალი გვექონდა, მაგრამ ასეთი რეზონანსი და ხანგრძლივობა არცერთ მათგანს არ ჰქონია. ორმოცე წელი — ეს დიდი დროა პერიოდული ჟურნალისათვის.

დღემდე ჟურნალ „მნათობის“ რამდენიმე ასეული ნომერია დაბეჭდილი, რომელიც რამდენიმე ათეული მწერლისათვის პირველ ეტაპზე იქცა. პირველად მისი ფურცლებიდან შეხედენ ისინი მკითხველებს... იზრდებოდა ქართული მწერლობის პოპულარობა, მასთან ერთად იზრდებოდა ჟურნალ „მნათობის“ პოპულარობაც.

ვისაც სურს ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიაზე ნათელი წარმოდგენა იქონიოს, მის მჩქეფარე წარმატებებითა და წინააღმდეგობებით სავსე გზას გაეცნოს, უნდა ჩაწვედეს ჟურნალ „მნათობის“ მთელს მუშაობას, ჩაუკვირდეს მის უკვე ფერდაკარგულ ფურცლებს, რომელშიც, როგორც სარკეში, აისახა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ცხოვრების მიზნები და მისწრაფებები, და ბევრს საგულისხმოსა და საინტერესოს მოიძიებს, სწორ დასკვნებს გამოიტანს.

„მნათობის“ პირველ ნომერში რედაქცია ასეთი განცხადებით გამოვიდა:

„დღემდის ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არც ერთი სერიოზული ჟურნალი, რომელსაც შეეძლო თავის გარშემო შემოეკრიბა რეალური ინტელიგენციის საუკეთესო ძალები. ჟურნალ „მნათობის“ მიზანია გამოსწოროს მნიშვნელოვანი ნაკლი. „მნათობი“, უპირველესად ყოვლისა, მხატვრულ-ლიტერატურული ორგანოა, რომელიც თავის ფურცლებზე ადვილს დაუთმობს საუკეთესო მწერლების მხატვრულ ნაწარმოებებს, ფართო გასაქანს მისცემს ჩვენს ლიტერატურულ ძალებს.

რედაქტორი დავით დემეტრაძე
(1937 — 4 ნომრიდან 1937 — 8 ნომრამდე)
რედაქტორი ვალაია ზახტაძე
(1924 — 2 ნომრიდან 1926 წლამდე)

„მნათობი“ მიზნად ისახავს აგრეთვე საშუალება მისცეს ჩვენს მეცნიერულ და მარქსისტულ ძალებს გააღრმავონ თავისი მუშაობა და ქართულ ენაზე მიაწოდონ ქართველ მუშებსა და გლეხებს მეცნიერული მარქსისტული ცოდნა.

ამრიგად ჩვენი ჟურნალის მიზანი ვიწრო ფარგლებით არ შემოიხზება.

იმ მწერლებისათვის, რომელთაც აქვთ მიღწევები ხელოვნებაში და მეცნიერებაში, ღია იქნება ჩვენი ჟურნალის კარები“.

რედაქციის ეს განცხადება ჟურნალის ამოსავალ პროგრამად იქცა... იგი დრომ გაამართლა... და როგორც ვხედავთ ჟურნალმა „მნათობმა“ თავისი მოწოდება პირნათლად შეასრულა... ჟურნალის პირველსავე ნომრის, (რომლის რედაქტორიც ლავრენტი ქართველი-შვილი იყო) სამხატვრო სალიტერატურო განყოფილებას ამაკრად ეტყობოდა ის სიძნელებები, რომელსაც რედაქცია ჟურნალის გარეშე მწერალთა საუკეთესო ძალების შემოკრების საქმეში წააწყდა. ამ განყოფილებაში მხოლოდ ოთხი ავტორი იყო და აქედან მართო ორია ქართველი.

„მნათობის“ პირველი ნომერი იხსნება დემნა შენგელიას რომანით „სანაერდო“, (რომლის ბეჭდვა შემდეგ ნომრებშიც გაგრძელდა) მეორე ნომერში ჩვენ უკვე გვითხვლობთ ვალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობას... ამ დღიდან მოყოლებული მიხეილ ჯავახიშვილი ჟურნალ „მნათობის“ განუწყერელი მეგობარი ხდება და მის ფურცლებზე ქვეყნდება თითქმის მისი ყველა რომანი, მოთხრობები და ბოლოს „არსენა მარაბდელიც“. ვალაკტიონი, რომელიც თავს მის ერთ-ერთ დამაარსებლად თვლიდა, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ჟურნალის აქტიური თანამშრომელი ხდება.

ჟურნალ „მნათობის“ პირველივე ნომრებმა ფართო მკითხველი საზოგადოება მიიზიდა, მოწინავე ინტელიგენციის მხარდაჭერა დაიმსახურა. თანდათან, ჟურნალის ფურცლებზე ნომრიდან ნომერში გამოჩნდა უკვე მტკაე პოეტლარელი, ქართული პროზის პატრიარქის ეპილ ბარნოვის ისტორიული რომანები, ნიკო ლორთქიფანიძის ბრწყინვალე მოთხრობები და მინიატურები, გიორგი ლეონიძის, ტყვიან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, ალექსანდრე ავაშელის, კონსტანტინე კიჭინაძის პოეტური ნაწარმოებები.



რედაქტორი ვიორჯი ჟურულაშვილი (1933 წლიდან — 1936 წლამდე)




რედაქტორი აკაკი თათარაშვილი (1936 წლიდან — 1937 წლამდე)



მთხზობელი



რედაქტორი ირაკლი აბაშიძე (1946 წლიდან — 1953 წლამდე)



რედაქტორი შალვა რაულიანი (1930 წლიდან — 1932 წლამდე)

ქურნალ „მნათობის“ საშუალებით მწიფე-
ლი პირველად გაცემო საბჭოთა პროზის საუ-
კეთესო ნიმუშებს: კონსტანტინე ვამსახურ-
დაის — „მთვარის მოტაცებასა“ და „დიდოს-
ტატის მარჯვენას“, ლეო ქიაჩელის — „სისხ-
ლსა“ და „გვადი ბიკვას“, დემნა შენგელაი-
ას — „ბათა ქეჭას“, სერგო კლდიაშვილის —
„სვანურ მოთხრობებსა“ და „ფერფლს“, კონ-
სტანტინე ლორთქიფანიძის — „კოლხეთის
ცისკარს“ აღექსანდრე ქუთათელის — „პირის-
პირ“ და ვინ ჩამოსთვლის კიდევ რამდენი
ბრწყინვალე ნიმუშია დაბეჭდილი ქართული
პოეზიისა და პროზისა, დრამატურგიისა, კრი-
ტიკისა და ლიტერატურის თეორიისა.

მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის
პარალელურად ქურნალი ათავსებდა საინტე-
რესო წერილებსა და სტატიებს ხელოვნების,
ესთეტიკის, ფილოსოფიის, ლიტერატურის ის-
ტორიის საკითხებზე, ფართოდ ბეჭდავდა საბ-
ჭოთა რუსული, მოძმე ერების ლიტერატურის
წარმომადგენელთა და დასავლეთ ევროპის
პროგრესულ მწერალთა საუკეთესო ნიმუშებს.
ქურნალი ყოველთვის ცდილობდა ქართველი
მკითხველი მსოფლიო ლიტერატურის აქტუა-
ლური პრობლემების კურსში ჰყოლოდა, თავი-
სი კომპეტენტური, სწორი აზრი გამოეთქვა
ყოველგვარ ლიტერატურულ-მოდურ მიმ-
დინარეობაზე. ამ კარგ ტრადიციას ქურნალი
აგრძელებდა და დღესაც აგრძელებს.

ქურნალს წლების განმავლობაში რედაქ-
ტორობდნენ საბჭოთა ლიტერატურის ისეთი
გამორჩენილი მოღვაწეები, როგორცაა: ირაკლი
აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი, ალიო მირცხულავა
და სხვები. 1960 წლიდან ქურნალის „მნათო-
ბის“ რედაქტორია გრიგოლ აბაშიძე.

მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქურნა-
ლის კარები ფართოდ იყო გაღებული ყველა
თაობისა და ყველა ენარის მწერლებისათვის,
კრიტიკოსებისა და ხელოვნებათმცოდნეები-
სათვის.

„ჩვენ ბედნიერად ვთვლით თავს, — განა-
ცხადა საიუბილეო საღამოზე მოხსენებაში
გრიგოლ აბაშიძემ, რომ ჩვენი მწერლობა
„მნათობს“ თვლის თავის საკუთარ სისხლხორ-
ცად, ხოლო ჩვენს რედაქციას საკუთარ ოჯა-
ხად, სადაც მათ მუდამ სიხარულითა და
მღელვარებით ელიან. და არ არსებობს რედაქ-
ციისათვის იმაზე ბედნიერი დღე, როცა „მნა-
თობის“ კარს შემოაღებს ხოლმე რომელიმე
ჩვენი საყვარელი მწერალი, იმ ხელნაწერთ
რომელიც შემდეგ ჩვენი ხალხის სიყვარულის
და ფიქრის საგნად იქცევა, ქართული მწერ-


ლებს ძველი გვარდიის რიგები სამწუხაროდ
ნელ-ნელა თხელდება. ესტაფეტა გადადის
ახალ თაობაზე. ახალგაზრდა პროზაიკოსებისა
და პოეტების, დრამატურგებისა და კრიტიკო-
სების ახალი და ახალი გუნდები შემოდინ
ჩვენს მწერლობაში. ისინი „მნათობის“ ფურ-
ცლებზეც მკვიდრდებიან და რედაქციის მუ-
შაოაში თავიანთი წველილი შეაქვთ. „მნათო-
ბი“ მუდამ კეთილი მეგობარი იყო ახალგაზრდა
მწერლებისა და იგი მომავალშიც თავის ღირ-
სების საქმედ ჩათვლის მათ გამოჩენას, გამოყ-
ვანას და დაწინაურებას“.

ჟურნალის რომელი ნომერიც არ უნდა გა-
დგემალით, მის ფურცლებზე არ შეიძლება არ
შეხედეთ ცნობილი მწერლების რამდენიმე ნა-
წარმოებს. საერთო სურათი კი ასეთია: რედაქ-
ციის მუშაობაში უშუალო მონაწილეობას
იღებენ: პ. ინგოროყვა, პ. ქვინტი, ს. შანშია-
შვილი, ს. ჭილაია, კ. ლორთქიფანიძე, გ. ჯიბ-
ლაძე, გ. ნატროშვილი, ლ. კალანდაძე, კ. კა-
ლაძე, შ. რადიანი, თ. ბუაჩიძე, ალ. ქუთათე-
ლი, დ. ბენაშვილი, რ. მარგანი, ი. ნონეშვი-
ლი, გ. მარგველაშვილი, ნ. აგიაშვილი, შ. აფ-
ხაიძე, ე. ქარელიშვილი, დ. გამეზარდაშვილი,
ე. მალრაძე, ალ. გომიაშვილი, ვ. გორგაძე, გ.
ჩიჭვანი, გ. შატბერაშვილი, ხ. ბერულავა, რ.
ჯაფარიძე, ალ. სულაკაური, ე. ყიფიანი, ი. წუ-
ლუკიძე, შ. ალხაზიშვილი, ხ. ვარდოშვილი,
რ. შოგრაძე და სხვ.

ამ ბოლო წლებში ჟურნალ „მნათობის“
დამსახურებად უნდა ჩითვადოს კ. გამსა-
ხურდიას „დავით აღმაშენებლისა“ და ირაკ-
ლი აბაშიძის ლექსების ციკლის „რუსთა-
ველის ნაკვალევზე“ გამოქვეყნება. ეს ციკლი
ირაკლი აბაშიძემ იერუსალიმში მოგზაურო-
ბამდე დაიწყო, მაგრამ ამის შემდეგ კიდევ
უფრო გააღრმავა და სრულყოფილი გახადა.
ქართულ მოღვაწეთა იერუსალიმში მოგზაუ-
რობაზე არა მარტო დიდი რუსთაველის სახე
დაკვირრება, არამედ იგი ცნობილი ქართველი
პოეტის შთაგონების წყარო გახდა... ი. აბა-
შიძის მაღალი პოეტური სიტყვის წყალობით
იგი ქართულ პოეზიაში მთელი თავისი სიდი-
ადით წარმოგვიდგა.

ჟურნალის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ
მისი საშუალებით მკითხველი გამოჩენილი
ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის კოლო-
რატულ შესანიშნავი ქართულით დაწერილ
ზოთხრობებს გაეცნო.

კიდევ მრავალი საინტერესო ნაწარმოების
დამსახურება შეიძლება, რომლებმაც მნათობს
მკითხველი საზოგადოების დიდი პოპულარო-
ბა და სიყვარული მოუტანა...



რედაქტორი სიმონ ჩიქვაშვილი
(1955 წლიდან — 1960 წლამდე)

მნათობის პირველი მდივანი ვანო წულუკიძე (მარჯვნივ),
განყოფილების გამგებნი გიორგი შატბერაშვილი და
ირაკლი სულაკაური





რედაქტორი ალიო შირაძე (1937 წლიდან — 1946 წლამდე, 1953 წ. — 1955 წლამდე)

რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე (1960 წლიდან დღემდე)



ქურნალის სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ იგი არასოდეს არ შემოფარგულულა შარტოლდენ ლიტერატურული ინტერესებით. მისი დიაპაზონი ფართოა, ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს სწევდება...

პარტიის ზრუნვა, ხალხის სიყვარული „მნათობს“ კიდევ უფრო მეტს ავალებს. იგი მარად უნდა იდგეს ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე დასმული რთული და საპატიო ამოცანების სიმამლუხე.


„მნათობის“ საიუბილეო ზეიმში მონაწილეობა მიიღო მსცოვანმა პოლიგრაფისტმა კონსტანტინე მჭედლიშვილმაც — ამ ქურნალის პირველმა ამწეობმა.

კონსტანტინემ 1902 წელს დაიწყო მუშაობა ქართულთა ამხანაგობის სტამბაში, რომელსაც ალექსანდრე ჯაბადარი ხელმძღვანელობდა. სიამაყის გრძობით იგონებს იგი ილია ჭავჭავაძესთან, აკაკისთან, ვაჟასთან და იაკობ გოგებაშვილთან შეხვედრებს რედაქციაში. კონსტანტინე მჭედლიშვილი მუშაობდა ყოველდღიურ გაზეთ „ცნობის ფურცელზე“ სურათებიანი დამატებით. ახსოვს რედაქციის იმდროინდელი კოლექტივის წევრები: გიორგი ლასხიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, სამსონ ფირცხალავა, ილია ნაკაშიძე, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, შაქრო ბილანიშვილი, ქაიხოსრო ქავთარაძე და სხვ.

1921 წლიდან კონსტანტინე მჭედლიშვილი ახლადდაარსებულ გაზეთ „კომუნისტის“ ამწეობაშია. აქ ორი წელი იმუშავა, მერე კი გადავიდა პოლიგრაფსკოლაში, სადაც 1924 წლიდან გამოსვლა იწყო ქურნალმა „მნათობმა“.



„მნათობის“ პირველი ამწეობი კონსტანტინე მჭედლიშვილი



უცხოელი მოღვაწენი

საქართველოს

უხსახე

დავით ფანჩულიძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

სხვის მიერ გადაღებულ სურათებსაც, შემდეგ ყველა ამ მასალას წესრიგში მოიყვანდა, მეცნიერულად დაამუშავებდა და ჯერ ფრანგი ფართო აუდიტორიის წინაშე წაიკითხავდა და შემდეგ კი ცალკე წიგნად დაბეჭდავდა.

სწორედ ამ წესითაა გამოქვეყნებული მისი შრომები: „საქართველოში“ (1898 წ.), „კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით“ (1899 წ.), „კავკასიონის ქედის სამხრეთით“ (1899 წ.), „თბილისი“ (1900 წ.), „იმერეთში“ (1902 წ.) და სხვ.

თბილისის შესახებ თავის შთაბეჭდილებათა გადმოცემას ბარონ დე ბაი ასე იწვევს: „მხატვარი ან პოეტი უნდა იყო, რომ დახატო თბილისის სურათი, ან უმჯობეს იმ სანახაობას, რასაც თბილისი წარმოადგენს“¹.

სამწუხაროდ, არც ერთი ვარ და არც მეორე, არამედ უბრალო მგზავრი, რომელიც ამ ქალაქის თავისებურებამ შესამედ მომიყვანა აქ. მსურს გავიზიაროთ ის შთაბეჭდილებანი, რომლებიც თბილისში ყოფნის დროს მივიღე. აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქალაქი წარმტაცია, ადგილობრივი ელფერიით, თუ თავიანთი მრქეფარე ყოველდღიური ცხოვრებით. ციცილიზაციის ძეგლები, საუკუნეთა განმავლობაში რომ ძინავთ, მზისაგან სუსხულობენ ძალას, რათა თავიანთი ბრწყინვალე და დიდებული სახე გამოაჩინონ².

ბარონ დე ბაი აღნიშნავს, რომ თბილისის დაარსება ლეგენდასთანაა დაკავშირებული. განმარტავს კიდევ: საქართველოს მეფეს — ვახტანგ გორგასალს ნადირობა უყვარდა. ერთ-სულ თბილისის მიდამოებში ნადირობისას მეფე ირემს გამოუღდა და დაჭრა. დაჭრილი ირემი წყლისკენ გაიქცა, იქიდან კი წმინდა უფნებელი ამოვიდა. მეფე მლიერ გააოცა თბილმა წყალმა. ბრძანა — ამ ადგილზე გაემშენებინათ ქალაქი, რომელ-

უ

რანგი მეცნიერი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, საზოგადო მოღვაწე და პოეტი ბარონ დე ბაი რამდენჯერმე იყო საქართველოში.

პირველად იგი 1898 წელს ჩამოვიდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა წიგნი სათაურით „საქართველოში“.

ამ შესანიშნავ ადამიანს ასეთი წესი ქონდა: წავიდოდა სამოგზაუროდ, დაათვალიერებდა მისთვის საინტერესო ქვეყანას, მის ხალხს, ჩაიწერდა ყველაფერს, რასაც გაგიონებდა და ნახავდა, თვითონ გადაიღებდა საჭირო სურათებს, შეკრებდა

¹ Le Baron de Baye, Tiflis, Paris, 1900. გვ. 5.

² იქვე.



გიგო გაბაშვილის სურათი მიწოდებულია დედასა და ბაბუას მიერ



გიგო გაბაშვილი
1858-1927

LE PEINTRE GIORGI GABASHVILI

un Italien très de longue date à Tiflis, excellé dans ce
est qu'un jeune Georgian, Guigo Gabashvili, dont j'ai eu le

საკ შემდეგ თბილისი უწოდეს, რაც ქართულად თბილ წყალს ნიშნავს.

ბარონ დე ბაი იქვე დასძენს: ვახტანგ გორგასალმა თბილისის საფუძველი ჩაუყარა 469 წელს, მისი ადგილსამყოფელი იყო მცხეთაში — საქართველოს სამეფოს დედაქალაქში, ცხოვრობდა მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში (446 — 499). უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც თბილისი გაშენდა, უკვე არსებობდა ციხე-სიმაგრე სპარსელთა თავდასხმისაგან მთავარი ქალაქის დასაცავად. ვახტანგის შვილმა დარიმ VI საუკუნეში სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. დე ბაის არც ვახტანგის ზედმეტსახელი „გორგასალანი“ რჩება მხედველობიდან, მაგრამ შეცდომით განმარტავს, რომ „გურგ“ სპარსულ ენაზე ქართველს ნიშნავს და „სალანი“ ლომით. ნამდვილად კი „გურგ“ სპარსულად მგელსა ნიშნავს, და „სარ“ — თავს. ვახტანგს „გორგასალი“, სპარსელებმა დაარქვეს იმიტომ, რომ მის მუხარანზე მგელი იყო გამოსახულ.

დე ბაი აღნიშნავს, რომ თბილისი იმ დროს სამი ნაწილი-საგან შედგებოდა. ესენია თბილისი, რომელიც გარს ერტყმის მინერალურ წყლებს, „კალა“, ანუ ციხე-სიმაგრე, რომლის ნანგრევები დღესაც მოჩანს, „ისანი“, რომელიც იმყოფება შტკერის მარცხენა ნაპირზე, ქალაქის დანარჩენ ნაწილთან ხიდი რომ აერთებს.

ბარონ დე ბაი სწორად განმარტავდა თბილისის მდებარეობას და მის შემადგენელ ნაწილებს:

² შტკ. ავად, ავადი შინდო, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის, თბილისი, 1500, საბჭოთაო კრებულის, უნივერსიტეტის გამოცემა, 1958 წ., გვ. 12-20.

ავლაბრის ხილზე გასვლამდე ეხედათ მებრძოლებს და მათი თითოს ციკაბო კლდისათვის გვირგვინი დაუდგინეს. ისინი დიდურად გამოიყურება იგი. ეს ტაძარი ოდესღაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კათედრალი ყოფილა, ახლა კი ციხის კედლებითაა გარემოცული. ტაძარი თავისი სილამაზით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, იგი უნდა გახდეს არქეოლოგების შესწავლის ობიექტი, როგორც ყველაზე უძველესი რელიგიური ძეგლი თბილისში.

ტაძარი როგორც შეინიდან, ისე გარედან, თავისი მდიდური გუმბათით და შესანიშნავი მოხაზულობით აღტაცებს იწვევს. მეტეხი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ქვე მონასტერს. ტაძარი აშენებულია იმ დროს, როდესაც თბილისის საფუძველი ჩაეყარა. იგი სამხაურს უწევდა მეფეთა კარს, რადგან სასახლე მუნიციპალური იმყოფებოდა. დღეს მხოლოდ ძველი ტაძრის საძირკველი დარჩენილა, გუმბათი XIII საუკუნეს მიეკუთვნება.

მე-17 საუკუნეში, როდესაც საქართველოს მეფეები ისლამიზმით იყვნენ შეპყრობილი, ვახტანგ V, რომელსაც შერქმეული ჰქონდა მუსლიმანური სახელი შაჰ-ნავაზი, ცელსიის მუნიციპალური წამლის მალაზიად გადაქცევა. მე-18 საუკუნეში, როდესაც სპარსელთა პატრიარქობის ბოლო მოეღო, ერგულე მეორემ ეს ტაძარი შორეულმთა სამხაურში ჩააყენა.

მეტეხის ციხე-სიმაგრის აღმოსავლეთით ერთი ადგილია საგორდებელი (ეს სიტყვა ავტონს მწერელი აქვს ფრანგული ასოებით), რომელიც ქართულად „მწეხარების ადგილს“ ნიშნავს. VIII საუკუნეში ციხესიმაგრისმცემლობა დასწევს სპარსელი აბო, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო. ქრისტიანებმა აბო წმინდანად აღიარეს, მეტეხის ციხის ძირში აღმართის პატარა სამლოცველო, საიდანაც წველებულის ფერფლი მტკვარში გადაეარეს. როგორც ხედავთ, ციხესიმაგრისმცემლობა ძლიერ ფემპოიდებულყოფილა თბილისში. საქართველოს მეფეებმა შემოინახეს ავტონის ძველი ძეგლი, — ტაძარი ციხესიმაგრისმცემლობისათვის.

731 წელს არაბმა ხალიფამ მურვან ყრუმ თბილისი აიღო და X საუკუნის დამლევამდე ეს ქალაქი უფრო მუსლიმანური იყო, ვიდრე ქრისტიანული. არაბებს მაშინ საქართველოსათვის სამეფო არ მოუსპიათ. იგი იმ დროს ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იყო. VII საუკუნეში მას ალყა შემოარტყა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ, თავის მოკავშირე ხაკანთან ერთად ხაზარების მეფედ წოდებულმა, რომელიც სპარსეთის შაჰს ხოსროს ეომებოდა.

ბარონ დე ბაი სწორად გადასცემს ფრანგ მკითხველებს თბილისის ისტორიას და ამაღლებულ ამბებს მოუთხრობს მათ. მის მახვილ თვალს თითქმის არაფერი არ რჩება შეუმჩნეველი და ობიექტურად ყველა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების ისტორიას. ხიფათში ჩაყარდნილი თბილისის მოსახლეობა უბრალოდ კი არ იხედდა უკან, არამედ ყოველთვის მხნედ იბრძოდა, ინარჩუნებდა მებრძოლ სულსა და მშფოთვარე, ცოცხალ ხანიათსო — წყარს დე ბაი.

VII საუკუნეში ქრეკლემ მისმა მოკავშირე ხაკანმა ალყა შემოარტყეს თბილისს, მაგრამ მისი აღება ვერ შესძლეს. მაშინ დედაქალაქის მცხოვრებლებმა მოიტაცნეს ვეპერითულა კეხი, რომლის დიამეტრი არმინზე მეტი იყო, მისგან ხაზარე-

ერისნული
ბიბლიოთეკა

ბის მეფის თავი გააკეთეს და დამპყრობლებს აჩვენეს. ქართველებს მეფის თავი ძალიან კარგად გაუკეთებიათ. იგი მართლაც კარგად ხაზართა მეფეს თვალმხაცხვენილი, მებნური წარებით, ქობა. თან ასე შიდახებს დამპყრობლებს: არ წახვიდეთ, თქვენი მეფე ჯიბლუ-ხაკანი, მივსალმეთ მას, ხაზარების მეფე გაეცალა, მაგრამ შემდეგ კი ამ შურაქცეყოფისათვის შური იძია. გავიდა ერთი წელი და ხაკანმა დაიპყრო თბილისი, მისი მცხოვრებნი აწამა, ზოგი ტყვედ წაიყვანა. ორი ქართველი თავადი, რომლებიც იმ დროს ქალაქში იყვნენ, დაატყვევეს და ზღელბუკრული მიუყვანეს ხაკანს. მან თავადებს თვალები დათხარა და მდინარეში გადაისროლა. მდინარიდან ამოიღეს გვაშები, ტყავი გააძვრეს, შიგ ჩადვეს ჩალა და ციხე-სიმაგრეზე გამოიწინეს. ხაკანის ბრძანებით მათი სახლკარი გაძარცვეს.

ილია ჯავახიშვილის სურათი მიძღვნილი დე ბაისსიმის ავტოგრაფით



LE PRINCE ILYA ERISTVASHVILI.
(Photographie de M. Boudard)

tegraphie vous donnera une idée. Il est encore porté p
nables dans des circonstances solennelles.

იმ დროს თბილისი ვაჭრობისა და ცივილიზაციის ცენტრი იყო, მას ჭონდა ასტრონომიული და მეტეოროლოგიური ობსერვატორია. ვაჭრობდნენ ხორბლით, თაფლით, ხალჩებით, ფართელულით, საქონლით. X საუკუნიდან საქართველო ფეხზე წამოდგა. დავით კურაპალატმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ბიზანტიასთან.

ბარონ დე ბაის ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ანჩის-ხატის ეკლესიამ. იგი წერს, რომ ეს ეკლესია VII (უნდა იყოს VI. დ. ფ) საუკუნის დასაწყისში არის აგებული, იგი მხატვრულად ძალიან კარგადაა გაფორმებული, წარმოგვიდგენს ქრისტეს შესანიშნავ სახეს. ანჩი ქართული სოფელია.

ბარონ დე ბაის ასევე დაუთვლიერებია და აღუწერია ქაშველის ეკლესიაც. ამის შემდეგ დე ბაი მთაწმინდაზე ასულა. იგი წერს წმინდა დავითის ეკლესია უბილავ ძალას მაღალ დიდზე აუსრულია, იქ საკურთხეველი დიდი პატივისცემით სარგებლობს, 30 წელია, რაც იგი აღადგინეს. თითოეულ მგზავრს იქ ერთი ან ორი აგური აუტანია. ეკლესიამი განუწვევტყვე მოდიან ქალები, რომ ღმერთმა ბედნიერება მიანიჭოს — გახდნენ დედები.

ბარონ დე ბაი იხსენიებს სიონის ღვთისმშობლის ტაძარსაც: აქა კათედრალი წირვა-ლოცვა. ტაძარი შიგნით დიდი გემოვნებით შეუკეთებია თავად გაგარინს. აქ ინახებოდა გერცელის მდიდარი სამარტვილე, ჯვარი, რომლითაც საქართველოს მოციქულმა წმინდა ნინომ IV საუკუნეში იქადაგა ქრისტიანობა.

ავტორი ზოგადად ებება 1795 წელს საქართველოში აღამამდ-ხანის შემოსევას. ამ თავდასხმასთან დაკავშირებით იგი გადმოგვცემს საქართველოში გავრცელებულ შემდეგ სარტატურს ლეგენდებს (მთავრებს ფრანგულიდან მისი ზუსტი თარგმანი. დ. ფ.).

„იგი ერთი ქართველი თავადის ქალი, რომელსაც სალომე ერქვა. აღამამდ-ხანის შემოსევისას ქმარი მოკლეს, ზეილი ზემოზე ხელადან გამოტაცეს და აუწყეს.“

თავადის ქალი ძალიან ღალბი იყო, იგი სპარსელებმა გაიტაცეს და ბაბილის ციხეში მოათავსეს.

სპერსისმა შაჰმა ქალი გაჰყიდა. იგი ილიდა ჯაფარ ბეგმა, ჩავეტა ვერ კიდევ არსებული ციხის ერთ-ერთ კოშკში და წინადადება მისცა ცოლად გაჰყოლიდა. ქალმა გადაჭრით უარეს ვ წინადადება და შევეცდრა თავის ბატონს მოეღვა იგი. სპარსელმა ქალს ერთი ღმე მისცა მოფიტრებისათვის.

ეს მოხდა სექტემბერში. იქ, სადაც ახლა ბოტანიკური ბაღია, თავადის ქალის მასების მლოდინში სპარსელი რბილად წამოწვა ხას ქვეშ, ბაღოში მსგავს მუთაქანე მიღო თავი. უცებ გამოიწვა სალომე, თოლივით თვარი ვრქელ ჩაღრმი გაჭველი, ფერმკრთალი, წყნარი. ის ჯაფარ-ბევის შვიარალებულმა მცველებმა მოიყვანეს.

ქალმა აინშიმა მცველებს გასცლოდნენ. — ათანამა ხარ, რომ გახდე ჩემი ცოლი? — ჰკითხა დამპყრობელმა. ქალმა უპასუხა: „ღობს, მსურს შევიყვარო, რადგან ქმარ-შვილის ბატონის შემდეგ, მხოლოდ ისეა დამარჩნია, რომ შენი ცოლი გახდეს, ეს ყოფილა ჩემი ბედი, რომელიც მიწინააწარმტყველდა.“

— ვინ? — ჰკითხა, საქართველოში, ბევრმა ოჯახმა უცაო იცის ეს საოდუმლო: დედაჩემმა იწინააწარმტყველდა, რომ მე ჯაფარის ცოლი ვახდებოდი. დედაჩემისგან სწავტრად მივედი ზედის ვაგოსანობი. მომეტი ხელი, რომ ხელის გულის ხაზებით დავრქმუნდა, დიდხანს ექმეტი თუ არა შეინან ბედნიერია. ჯაფარმა ქალს თავისი ძლიერი ხელი გაეწოდა, ქალი გაფთხობდა და შემაქმრებელი ცივილი ამობოდა: აჩემო ბატონო! — უთხრა ქალმა, — შენ იცი, რომ სავადლი გულის? და შესაძლოა ამამავე? —

ჯაფარ ბეგი, ცემობრქმუნე როგორც უცაო სპარსელი შერთა. „შენ მოკვებდი იმ ადამიანის ხელით, რომელსაც დღეს შენ შეუტრაცებოფა მიყვენი.“

— იქნებ ეს ასა-ღუდა-ბეგია, რომელსაც დღეს შენი გულისათვის წაველამარტყ, მასაც შენი ყიდა ენდოდა.

— ოჰ, ჩემო ბატონო, შენს გადასარჩენად სპერსია ისეთი სავანა, რომელსაც დღეს მან თვალის შეიკლო. მაშინ შეუკლებ ამ უხეღერების თავიდან აცილებას და მისი იარაღის ენებულად გაფტყევის.

Adrien Jagarelli
Paris de Versailles
Paris de Baye
Paris 1900
Heures aimées



დუ ბის ლექსების კრებული „სტრავინსკის წიგნები“ მიმდინარეობს. ალ. ცაგარელი-სადმი ავტორგაფით.

სხვა ქრისტიანებსაც ცოდნით და სხვა ქვეყნების ლიტერატურაშიც ვხვდებით.

თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად აკად. კ. კველიძეს მოაქვს რამდენიმე მაგალითი: 1. ამერიკელი მწერლის ჯეჯ ლანდის მოთხრობიდან „დაკარგული სახე“, 2. ბასილ იმპერატორის „მწიროვანიდან“ და 3. სლავური თქმულებიდან ევფრასიას შესახებ.

აკაკის საიუბილეო დღეებში გამოქვეყნდა აგრეთვე მიხეილ კაციცაძის საკუთარსში წერილი: „ბაში-არჯუნი“ გამოყენებული ლექსების პარალელი იტალიურ ლიტერატურაში (იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1940 წ. № 152), რომელშიც ავტორს მოაქვს იტალიელი მწერლის ლოდოვიკო არიოსტოს (1474—1533) „შმაგი როლანდიდან“ მცაესი ლექსების შინაარსი და დასკვნის, რომ სხვებზე უფრო მეტად ჩვენში შემოსული უნდა იყოს საქართველოში მისიონერების მოღვაწეობის დროს.

ბუნებრივად ისმება კითხვა: საიდან აიღო ფრანგმა მეცნიერმა ბარონ დე ბაიმ ეს ლექსები? ცხადია, იგი მის ვერ გაიყენებდა. პოტოს წიგნიდან, რადგან იგი 1906 წელს გამოქვეყნდა, ხოლო ბარონ დე ბაის ნაშრომი კი — 1900 წელს. როგორც შედარებამ დაგვიჩვენა, ფრანგმა სწავლულმა იგი თარგმნა გაზეთ „ტელისკი ლისტოკის“ 1899 წლის 1 იანვრის სურათებიდან დამატებიდან, სადაც გამოქვეყნებული იყო ვ. პოტოს მიერ ჩაწერილი ეს ქართული ლექსები უფრო ვრცლად. სწორედ ამ წელს ბარონ დე ბაი კვლავ ჩამოვიდა საქართველოში და დიდხანს ცხოვრობდა თბილისში.

ალსანინზაგა, რომ დაკვირვებული და ფრთხილი ბარონ დე ბაი თითქმის ყველგან მიუთითებს წყაროებს, ამ ლექსების ფრანგული თარგმანის ბოლოს კი არ აკეთებს არავითარ შენიშვნას, რადგან თვლის, რომ ეს ქართული ლექსებია, ფართოდ პოპულარული საქართველოში და ეჭვი არ ეპარება, რომ იგი ამ გმირი გაეცაცებისა და სამშობლოსათვის თავდადებული ქალების ქვეყანაშია შექმნილი.

ჩვენს მიერ მოტანილი მასალები საფუძვლად გვაძლევენ არ დაეთანხმით მოსაზრებას, რომელიც ვარაუდობს ამ ლექსების უცხოურობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: ყველა წიგნით მოტანილი თქმულებებში (კარდა ქართულია) ჯადოდ მიღებულია ბალახი. ეს არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალო განმარტავებულ ნიშნად. რატომ არ შეიძლება ვერაშენი, რომ ეს საინტერესო ლექსებია ქართველი ხალხის მიერ მისხვე მიწა-წყალზე ადრინდელი ცხოვრების მხელბუდეობის გამაა შექმნილი, ხოლო შემდეგ გადასულია რომელიმე მუზიკალურ ქვეყანაში და აქედან გაუცვლდა მსოფლიოს სხვა-სხვადასეუ კუთხეში?

ბარონ დე ბაი გულთბილად მოუთხრობს ფრანგ მკითხველებს, რომ თბილისში ყოფნისას ახლოს გაიყნო ქართველი ხალხის დიდა და საყვარელი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. ჩვენს ძვირფას მწერალსა და ბარონ დე ბაის შორის ახლო მეგობრული ურთიერთობა დამყარებული ილიამ მის არუქს თავისი სურათი წარწერით: „ბარონს დე ბაის ილია ჭავჭავაძე. 1899 წ. ტფილისი“.

ბარონ დე ბაი ილია ჭავჭავაძეს ამასიათებს, როგორც გა-

— როგორ, შენ ვაქვს ამის ძალა? — უთხრა გაკვირვებულმა ჯაგარმა.

— რასაკვირვებია, ჩემო ბატონო, მომეცე შენი ხანჯალი. ჯაგარმა მისი ხანჯალი. ქალმა ეს შეხედა, პირჯვარი გადმოწერა, ხანჯალი მასვე დაუბრუნა და დაიწერა, რომ იაიას ნების მიტანა აღარ შეეძლო.

— მოდი, მოსინჯე, — უთხრა სალომემ და თან ხანჯლის წვერი მიიბჯინა გულზე. თათარმა ელვისებურად დასკრა ხელი ხანჯალს, ქალი დავი და ეს სიტყვებოლა წარმოთქვა: „ო, ღმერთო, მიიღე ჩემი სული“. და სული განთქვა.

შემინებელი ჯაგარი წამოტრა სამეველად, მაგრამ ქალს სიცოცხლის ნატამილ აღარ ეტყობოდა.

ეს ლექსებია დაკვირვებული იმ ადგილიდან, სადაც დაიღუპა თავისი ქალი სალომე, სოლოჯის ფეხების იმ მკვავალ კოშკთან, სადაც იგი დასავეებული იყო.

ბარონ დე ბაის მიერ ფრანგულად თარგმნილი ეს ქართული ლექსები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებელია მისზე მოკლედ მინც არ შევიჩრდეთ.

ცნობილია, რომ ეს ლექსები პირველად და თავისებურად აკაკი წერეთელმა თავის „ბაში-არჯუნი“ გამოიყენა.

1927 წელს იოსებ გრიშაშვილმა თავის „ძველი თბილისის ლიტერატურულ ლიპონიში“ იმავე ლექსების შემოკლებული ტექსტი გამოქვეყნა.

აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ბევრი საინტერესო შრომა აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ იუბილეს მიუძღვნა ნარკვევი: „ბაში-არჯუნი“ ერთი ეპიზოდისათვის“.

ის პირმოთარისას გმირულ თავგანწირვას ამასიათებს და „ბაში-არჯუნიდან“ მოაქვს ცნობილი ადგილი. შემდეგ კი შესადაურებლად გვაცნობს აღმოსავლეთ საქართველოში გაგრძელებული ლექსების შინაარსს, რომელიც ვ. პოტოს ჩაუწერია და გამოქვეყნებულია.

კორნელი კველიძე მიუთითებს, რომ ლექსების სიუჟეტი ზედმიწევნით განმორჩეულია და დასძინს: ეს ლექსებია არ ყოფილა ეკუთვნილება საქართველოს რომელიმე ცალკეული კუთხისა, ის ზოგადი ქართული ეკუთვნილებააო, მაგრამ არ მიინებს მის ქართული წარმოშობის ლეგენდად, რადგან იგი

⁴ Le Baron de Baye, Tiflis, Paris, 1900. გვ. 21-23.
⁵ კორნელი კველიძე, „ბაში-არჯუნი“ ერთი ეპიზოდისათვის. აკაკი წერეთელი, საბიბლიო კრებული, უნივერსიტეტის გამოცემა, 1940 წ. გვ. 198-199.



მოჩენილ ქართველ მწერალს, უაღრესად პოპულარულ პოეტს, რომლის ნაწარმოებებს ვეგლა კითხულობს. მის ლექსებს მდინარე წყაროს, სასახლეებსა და კიბოებში. ილია ჭავჭავაძე არის ინტელექტური, მოაზროვნე ადამიანი, ეკუთვნის მაღალ არისტოკრატიულ წრეს. იგი არის სათავადანაწარმო ბანკის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს შორის ვეგლამ ვაგლენიანი ორგანიზაციის, „ივერიის“ რედაქტორი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი და სხვ. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობები, რომლებიც ისეთივე მნიშვნელობა აქვთ საქართველოსთვის, როგორც გოგოლის მოთხრობები რუსეთისათვის. ილია ჭავჭავაძის პოეტური ნაწარმოებები უაღრესად ქრისტიანული, პატრიოსტული და ფილოსოფიურია.

ბარონ დე ბაის ასლი ურთიერთობა აქონდა, აგრეთვე, დიდ ქართველ მხატვარ გიგო გაბაშვილთან. გიგო გაბაშვილსაც უძლიერა მისთვის სასურვარად თავისი სურათი. ბარონ დე ბაი აღნიშნავს, რომ იტალიელი მხატვარი ბატონი ლინგო დიდხანს ცხოვრობდა თბილისში, გამოირჩეოდა თავისი შესანიშნავი ნიჭით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა ქართველი მხატვარი გიგო გაბაშვილი. ფრანგმა სტუმარმა დაათვალიერა მისი სამხატვრო სახელოსნო. ეს თბილისელი მიჭი, — წერს ბარონ დე ბაი, — ძველ აზნაურთა ოჯახს ეკუთვნის. სიტყვა „აზნაურს“, იგი ფრანგული ასოებით წერს. ის სწავლობდა პეტერბურგში, მიუხედავად, შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და განაგრძობს თავისი ნაყოფიერი საქმიანობა. გიგო გაბაშვილი დაიღობა საქართველოს სხვადასხვა კუბოებში, სწავლობდა თავისი ხაზის ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას და ქმნიდა შესანიშნავ ურთაბეჭდს.

სტუმარმა სტუმარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართველ მამაკაცთა და ქალთა ტიპებს, მან ბევრი სურათი გადაიღო. თბილისშივე გაიცნო კლასიკური სახის თავადის ქალი ნინო ჩოლოყაშვილი, რომელმაც იგი განაცვიფრა.

როგორც ი. გრიშაშვილი წერს: ყოველი მგზავნი, თბილისის ყოველი სტუმარი, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო მოსული, რა საშური საქმეც არ უნდა აქონოდა, თავის წმინდა მოგონებებში სთვლიდა, რომ თბილისის აბანოებზე ენახა და გაბანილიყო მის მაღლიან კაშკაშა წყალში. და აი ბარონ დე ბაიმაც ინახა თბილისის განთქმული აბანოები და ძალიან მოეწონა. აქ მას მოაქვს პუშკინის „არზრუმს მოგზაურობიდან“ ის ადგილი, რასაც რუსი პოეტი აღწერს თბილისის აბანოებზე შემდეგ კი ინგლისურად უმატებს თომას შუტის სიტყვებს: „მშვენიერია ქართველი ქალწული ფერ-უმაბურთლოთა და ლოცვებზე ისეთი ნელ-გრძობი სიმსურვეალით, როგორც აქვთ ხოლმე მისი ქვეყნის ქალწულებს, როდესაც ისინი თბილისის აბანოებიდან გამოდიან“.

ბარონ დე ბაი აღფრთოვანებულს ლაპარაკობს ქართველ ხალხში გავრცელებულ ლექსებზე თუ გამოჩაბებებზე, რომლებშიც აღნიშნულია, რომ მტრის გამანადგურებელ, საბრძოლო, მჭრელ ელვარე ხმალს ეძახდნენ „ფრანგულს“. მან ეს საინტერესო მასალებზე მიაწვდინა თავის მკითხველებს.

ბარონ დე ბაის ძალიან მოეწონა აგრეთვე ქართველების ერთმანეთთან შეხვედრა და სალმის მიცემა. აღნიშნავს, რომ დღითი ქართველები ერთმანეთის ესალმებიან სიტყვით

„Gamardjoba“ და იქვე განმარტავს, რომ ეს ნიშნავს: „Soviet victorieux“ ეს იგი — „გამარჯვებული იყავი“. ქართულად უნდა იყოს: „გამარჯვებული კმაყოფილებითა და აღტაცებით“.

მოსწონე ქართველი და რუსი მოღვაწეების ასლი ურთიერთობაზე ის განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ გამოჩენილი რუსი პოეტები: — პუშკინი, ლერმონტოვი, პოლონსკი და სხვები, ასე მსლიერ იყვნენ გატაცებული საქართველოთი, ქართველი ხალხით, უმღეროდნენ მათ. ლერმონტოვის ცნობილი ლექსი „პაემანი“ მას ფრანგულად პროზით უთარგმნია.

საინტერესო ფაქტია, რომ ბარონ დე ბაიმ წიგნი — „თბილისი“ სარედაქციოდ მიატოვა თავის სათავადო ქართველ მეგობარს კიმიურ მეცნიერებათა დოქტორს, მრეწველსა და საზოგადო მოღვაწეს დავით სარაჯიშვილს ასეთი წარწერით: „რეგის საუბერო მეგობარს დავით სარაჯიშვილს, რომლის სიყვარული მე შთამაგონა მისმა კეთილმა გულმა და მისმა მომხიბვლელმა ქვეყანამ“.


როგორც მკითხველი ხედავს წიგნის ყდაზე, დე ბაის ამ ფაქტშიმდებს ბოლოს ფრანგული ასოებით მიწერილი აქვს: „სოსიკო დე ბაი“.

ჩვენ დავეკვირდით ამ ხელმოწერას და მივედით დასკვნამდე, რომ ფრანგ მწერალს ჯერ დაწერია ფრანგული ასო „სე“ და, რადან ეს ასო ფრანგულში „ოს“ წინ იკითხება, როგორც „კ“ იგი გადაუსწორებია „ესად“ და გამოსულა „სოსიკო“.

როდესაც ჩვენ ხელთ ჩავივიარდა დე ბაისგან ილია ჭავჭავაძისადმი ნაწუქარი წიგნი „კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით“, სადაც ფრანგი მწერალი რუსული ასოებით აწერს თავის სახელს და გვარს „სოსიკო დე ბაი“, ერთხელ კიდევ დავაწვინდით, რომ მას სახელად რქმევია „ჟოზეფი“, რაც ქართულად ნიშნავს „იოსებს“. რის გამოც მისმა ქართველმა მეგობრებმა მას შუარქვეს საალერსო — სასიყვარულო სახელი „სოსიო—სოსიკო“. დე ბაიმაც სიამოვნებით შეიფერა ეს მოსაფრებელი სახელი და ქართველი მეგობრებისადმი გამოგზავნილ წიგნებს აწერდა „სოსიკო დე ბაი“.

ჩვენს მიერ განხილული წიგნი „თბილისი“ დე ბაიმ ასეთივე გულბოძლი წარწერით აჩუქა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწესა და პოეტს გიორგი შერვაშიძეს.

წიგნში თბილისის მამინდელი ცხოვრების ამსახველი ავტორის მიერ გადაღებული 35 ფოტოსურათია მოთავსებული.



დე ბაის წიგნი „თბილისი“ მიმდევრილი დავით სარაჯიშვილისადმი დოქტორის ფოტო.



ტელევიზია დამკვიდრდა ჩვენს ყოფაში. ყოველდღიურად ათათასობით ოჯახი ინტერესით მოელის საღამოს 6 საათს, როცა აინთება ცისფერი ეკრანი და შთაწმინდიდან ტალღისებრ წამოვა წარწერა — საქართველოს ტელევიზია უჩვენებს.

პირველი გადაცემა ჩვენში ამ შვიდიოდე წლის წინ მოეწყო, მაგრამ დროის ასეთ მცირე მონაკვეთშიც ამკარა გაბნა საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდული კოლექტივის დიდი შესაძლებლობანი. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავისინთო შესანიშნავი ქართული ტელეფილმები — „დედის ხელი“, „გაცოცხლებული ფურცლები“, „შემთხვევა გზაზე“, „ომარ ჯონაძე“, „დავით მანანაძის ოჯახი“ და სხვები, რომელთა უმრავლესობამ არა ერთი საკავშირო პრემია დაიმსახურა და რომელთაც წარმატებით უჩვენებენ ჩვენშიც და საზღვარგარეთ. პოპულარობითა და მოწონებით სარგებლობს მკაურებელთა შორის ისეთი საინტერესო ურნალები და გადაცემათა ციკლები, როგორცაა „ოქროშირი“, „ივენანია“, „სალაღობო“, „მშობელთა ტელევიუერისტიტი“, „მოწინავეთა გამოცდილების ტრიუნა“, „კინოსაღამოები“, „სპორტი ყველასთვის“ და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუსიკალური გადაცემა „ძველი თბილისის სურათები“, საბჭოთა კავშირში პირველი ტელეოპერა „გამზრდელი“ და ა. შ. მაგრამ ყოველივე ამის შესახებ ნაკლებად ვწერთ.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციამ გადაწყვიტა მეტი ყურადღება დაუთმოს საქართველოს ტელეხელოვნებას, შემოიღოს რუბრიკა „ტელევიზია“ და სისტემატურად გამოაქვეყნოს მკითხველ-მაყურებლის აზრები და შენიშვნები ჩვენი ტელევიზიის მუშაობაზე.

ცისფერ ეკრანზე

რევაზ ურუშაძე

1959 წლის აგვისტო. მოსკოვი. მცირე სპორტული არენა. სპორტის ისტორიაში ჯერ არანახული მატჩი, ევროპის თასის მფლობელ და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონ რიგის არმიელ კალაბურთელ ვაჟთა შეხვედრა ქართველ სპორტსმენებთან...

მოედანზე სამი თბილისელი ხუთი ლატვიელის წინააღმდეგ. ტაბლოზე თანაბარი ანგარიში და მესამე დამატებითი დრო.

წამსაზომი უკანასკნელ წრეს არტყამს. ფარქვემ გაიჭრა თბილისელი სპორტსმენი და... არის!..

თამაში დამთავრდა. ტრიბუნებმა ფეხი აიღვეს. მატჩის გმირები ხელში აყვანილები გაყავთ მოედნიდან...

რამდენიმე საათში ქართველმა ტელემაყურებლებმა ცისფერ ეკრანზე ნახეს ეს კადრები, ისინი უშუალო დამსწ-

რენი გახდნენ ვაგაკური ორთაბრძოლისა..

სწორედ ამაშია ტელევიზიის უპირატესობა, ჟურნალისტიკის სხვა დარგებთან შედარებით.

ფიზკულტურასა და სპორტს არასდროს ენიჭებოდა ისე დიდი მნიშვნელობა, როგორც კოსმოსის ათვისების საუკუნეში. მომავლის მშენებელი ყოველმხრივ ჯანსაღი უნდა იყოს. ამიტომაც განუზომლად ზრუნავს პარტია და ხელისუფლება საბჭოთა ადამიანის ფიზიკურ აღზრდაზე.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული მის ფართო პროპაგანდასა და პოპულარიზაციაზე. ამ მიზართვით კი, ისეთ მაღალ ტრიბუნას, როგორც ცისფერი ეკრანია, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება.

ქართულ ჟურნალისტიკაში ტელევიზია ახალი დარგია, მაგრამ მან ბევრი რამ გააკეთა რესპუბლიკის, საკავშირო და საზღვარგარეთის სპორტული ცხოვრების ასახვის საქმეში. გადაუჭარბებლად შე-

იძლება ითქვას, რომ არ არის არც ერთი ტელედედ სპორტული გვერდის გარეშე, ხალხთა მეორე სპარტაკიადის მსვლელობის გაშუქებას ყოველდღიურად მიუღ კავშირში მხოლოდ საქართველოს ტელესტუდია ახერხებდა... მილიონიან მსურველს ჩვენი ცისფერი ეკრანიდან იპნატკიულად მოესმოდა: „დღეს შონაკოში... და ეს მაშინ, როცა საქმე გვეწონდა არა მარტო სადიქტორო ტექსტთან, არამედ კინოფირთან, სასარგებლო გამოდგა კრიტიკული გადაცემები, რამაც გამოაფხიზლა მომღვამე ძირეული კოლექტივები. ბალსმიდებულ, მიტოვებულ მოედნებზე ვლავ გაეყარა ბურთი...“

აქვე უნდა მოვიგონოთ ასეთი ფაქტი: თბილისის „დინამოს“ და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერეს ფეხბურთელთა გუნდის შუბევედრისას, მსაჯამა ჩათვალა საეჭუო ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა თამაშის ბედი...

ჩვენ დადინტერესდით და სიმართლის დადგენის მიზნით, სიუჟეტის დემონს-

ტრირებისას შევანელეთ ფირის მსვლელობის ტემპი თვალნათლივ გამოჩნდა, როგორ მიიღო ბურთი თამაშგარე მდგომარეობაში მყოფმა თავდაპირველმა და დაუყოვნებლივ გაგზავნა „დინამოელთა“ კარში. ასე, რომ მაყურებელს საშუალება მიეცა ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში „შინ ყოფილიყო“...

საქართველო დიდი სპორტული კულტურის ქვეყანაა. ტელერედაქციებისათვის, რომელთა პროფილები სხვადასხვაა, ძნელი იყო ფეხდაფეხ მიჰყოლოდა სპორტულ ცხოვრებას. ამიტომაც, ცოტა ხნის წინათ საქართველოს ტელევიზიაში შეიქმნა სპორტულ გადაცემათა რედაქცია. ჩანაფიქრი და სურვილები დიდია. ინტერესმოკლებული არ იქნება გავაცნოთ იგი მკითხველებს, რადგან ყველას შეუძლია თავისი რჩევით დახმარება გაეცილოს.

როგორც ძველ რომსა და საბერძნეთში, საქართველოშიც სპორტის სხვადასხვა სახეობით გატაცება და მისდამი პატივისცემა ისტორიული წყაროებით დადასტურებული ფაქტია. ყოველი თამა ისწრაფვოდა კარგი მოპურთაღი, ცხენოსანი, ისრის მტყორცნელი, მოფარიაკე, კარგი მოჭიდავე ყოფილიყო ახალგაზრდა. ძველი საქართველოს საზოგადოებრივი აზრიც სპორტს მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა და მის გარეშე აღზრდა სრულყოფილად არ მიაჩნდა შეიქმნა თვითმყოფადი სპორტული თამაშობები. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი მიივიწყეს. ჩვენ ვფიქრობთ ჯეროვანი ყურადღებესი დაუთმოთ ცხენოსნურ სპორტს, ლახტს, რიკ-ტაფელს, გაკვრბურთს, შეილდოსნობას. ამ მიზნით შემოიღეთ სატყეაღური ციკლი: „ირმის ნახტომი“.

ფიზიკური კულტურა და სპორტი დღევანდელ საქართველოში ჯეროვანი სიმაღლესე დგას. ამიტომაც ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც მაყურებლები იჩენენ სპორტის სხვადასხვა სახეობათა მიმართ. ცნობილია, კარგ მოპურთა კარგი მაყურებელიც უნდა ჰყავდეს. ჩვენი ახალგაზრდობა ძირითადად თავშეგაგებული და დისციპლინირებულია,



მსოფლიო რეკორდსმენი ვ. ბრეშელი და ტელეკომენტატორი ე. მანარაძე თბილისის „დინამოს“ სტადიონზე



ლია, მაგრამ ზოგიერთები უხერხულ მიკერძობას იჩენენ თავიანთი ფალანგების მიმართ და როცა მათთან გამარჯვებული გამოვა მოწინააღმდეგე, ამაზე თავისებურად რეაგირებენ. მგალითად, როცა ბურთს გაიტანენ თბილისელთა კარში, სტადიონზე საპანაშვიდე განწყობილებაა. ჩვენი ზალხის მაღალ მორალურ სიწმინდეს ეს არ ეკადრება... ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სპორტსმენი პატივს უნდა სცემდეს მაყურებელს. ამიტომაც, პროფ. იასე ცინცაძის რჩევით შემოვიღეთ ციკლი: „მაყურებელთა და სპორტსმენთა კულტურისათვის“, რომელშიაც პერიოდულად ვესაუბრებით მაყურებელს გულშემატკივართა ზნეობრივ სიწმინდესე, სპორტსმენების ვაჟკაცურ მორალესე. ამ მხრივ სამაკალითოა მოჭიდავე რომან ძნელაძის ვაჟკაციური საქციელი მელბურნის ოლიმპიურ თამაშობებზე, სადაც იგი ფინალში გავიდა.



მობდა ისე, რომ თუ რომანი მოიგებდა გადამწყვეტ შეხვედრას, მაშინ იგი მესამე ადგილზე გამოვიდოდა, ხოლო თუ ფრედ დამთავრებდა — მეორეზე. მან მაინც მოიგო შეხვედრა.

ჩვენს ქვეყანას სახელი გაუთქვეს ნათელი აზრის ადამიანებმა. გამრჯე ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა. არაერთი მტერ-მოყვარე მოუყვანია ალტაცებაში ქართველ სპორტსმენებს. ნ. გაფრინდაშვილი, ნ. დუმბაძე ე. გოციელი, ბ. პაიჭაძე, ე. წაჭაძე, მ. მესხი, ლ. სანაძე, გ. ჩხოველი, ვ. ბარჭაია, შ. იაშვიანი, ა. ლოლობერიძე, ო. ქორჭია, გ. კარტოზია, ა. მგოციანი, ვ. ბალაგაძე, გ. ჩიქვანია, ნ. გვაზარია, ო. ფხაკაძე, ა. მეტრეველი დადაფნული სახელებია, ჩვენი ქვეყნის ქების გარეთ გამტანნი... ჩვენი მიზანია შეიქმნას ყველა გამოჩენილი სპორტსმენის პორტრეტი. შემოვიღოთ ციკლი: „ჩვენი ფაღავენები“... ამ ციკლი-

დან სულ ცოტა, თვეში თითო ნარკვევი მაინც უნდა გაკეთდეს. ეს თავისებური სპორტული კინომატანეც იქნება.

ჩვენს ქვეყანაში სპორტსმენთა — ღირსებაა, მაგრამ იგი პროფესია როდია. ჩვენი სპორტსმენები სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობენ და სახელოვნადაც, სწორედ ამის ასახვას მიეძღვნება ციკლი: „ოსტატთა კლუბი“. ეს იქნება ოსტატთა საღამოების ტრანსლაციის მოძრავი სატელევიზიო სადგური.

პარტიამ, ხელისუფლებამ, ხალხმა, უმარავი თანხები გაიღო სპორტული ბაზების ასაშენებლად. მაგრამ სამუშაოდ, ზოგიერთი ხელმძღვანელის უნათობის გამო, მთელი დატვირთვით არ იყენებენ მათ. არიან საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც იღვივან მხოლოდ საკუთარი მარკის ღირსებისათვის. ეს მისასაღმებელი და მისაბაძია, მაგრამ სპორტს რომ ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ, თანრიგოსნებისა და ნიშნობების აღზრდაზე რომ ზრუნავდნენ, უფრო მეტის გაკეთებას შესძლებდნენ. სწორედ მათ, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს გულცივად უყურებენ, დაუნდობლ ბრძოლას ვუცხადებთ ციკლებით: „ლაბტის წრეში“... „გამოიყვებით სპორტული ბაზები“...

ტელევიზიას (და არა ტელეხედავას, როგორც მას ზოგიერთი უწოდებს) ერთი უპირატესობაც გააჩნია მას ერთდროულად შეუძლია ესაუბროს მილიონობით მაყურებელს. მისი ეს თვისება, ბევრ რამეში უნდა გამოვიყენოთ. ალბათ ასლო მომავალში დადგება დრო, როცა გადაცემები ადრე, დილიდან დაიწყება. მაშინ შესაძლებელი იქნება ერთ ტელეინსტრუქტორს ეგრანზე ფიზიკურ ვარჯიშში აჭყვას მილიონობით მშრომელი სამუშაო საათების დაწყების წინ, რუმეალოდ საწარმოებში, დაწყებულუბებში, საკომუნურნი მინდვრებში. ზემოტკია ლაპარაკი საწარმოო ტანვარჯიშის მნიშვნელობაზე.

ტელევიზიიდან შესაძლებელია ჩატარდეს საჭადრაკო სეანსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება მოსახერხებელი



იქნება მთელი რესპუბლიკისათვის. სათანადო ყურადღებას ვუთმობთ სამკურნალო ფიზკულტურასაც. ამისათვის გამოწვლია გადაცემათა ციკლები „სპორტი ყველასთვის“ და „ჯანმრთელობის კლუბი“. რაც შეეხება ყოველდღიურ სპორტულ ცხოვრებას, იგი შექმდება ათათ წუთიან გამოშვებებში „სპორტული კვირეული“, რომელიც მრავალფეროვანია ეანობობრივადც და თემატიკურადც. ყოველ გამოშვებას იქნება იუმორისტული გვერდი. ქურნალო ერთსა და იმავე დღეს ოთხშაბათობით გადაიციემა.

კიდევ ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი აქვს რედაქციას. ეს იქნება სპორტული ვიქტორინები, კონკურსები, საჭადრაკო ალმანახი, საუბარი მრგვალ მაგიდასთან... ერთი ცია, ჩვენ ჯერჯერობით ნაკლებად ვიყენებთ მოძრავ სატელევიზიო სადგურს. ამ მიზნით პირველი ნაჯავები გადადგმულია. ვმუშაობთ კომენტატორების მომზადებაზე. დანარჩენი კი ცისფერ კვრანს მივანდით.



კადრები ტელევიზიიდან.
1) საცემორო ასპარეზობა მოტოკაროსში
2) ვ. პაიჭიას გააქვს ბურთი



აგრეთვე, რომ ფალაშვილის შემოქმედებებში და განსაკუთრებულად კი „აბესალომ და ეთერში“ ეს მაღალი იდეურობა მარტოვე არ ღიბრტყის ანუ ნაწარმოების ფაბრიკის სფეროში არ შემოიფარგლება. კომპოზიტორის იდეალს უკველთვის ლიტერატურული პირველწყაროს სახეობისა და ხასიათების სრულყოფილი, შესატყვის მუსიკალურ მხატვრულ ფორმებში გამოხატვა წარმოადგენდა. ამიტომ არის, რომ ფალაშვილი თავისი ნაწარმოებებით სრულიად სხვადასხვა სტილისა და ენარის ოპერის ავტორად წარმოგვიდგება, უკველი ნაწარმოები აღბეჭდილი მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებებით. საკმარისია შევადაროთ „აბესალომისა“ და „დაისის“ კლავირები, რომ ნათლად დაინახავთ კომპოზიტორის პირდაპირ მოხილვებს თმისაღმი მიღვამის საკითხში. აქ ქადაგ ჩანს, რომ „ეთერისაში“ ებოძა მას იტყუებს საუფრობრები ეროვნული კულტურის თვითმყოფლობა და მაღალი ზემანერობით, ხოლო „დაისი“ — თავისი წარმტაცი ლირიკით, რომელსაც თან ხდევს ქართული ერის არც თუ ისე შორეული წარსული ცხოვრების არამტატი. ადვილი შესაძინებია, რომ ორივე ოპერის ლირიკაში კომპოზიტორის თავისი შემოქმედების საშიზროდ მოქმედი პერსონაჟების შინაგანი სულიერი ცხოვრების საშუალო აღჩვენია. მაგრამ თუ ფალაშვილმა „ეთერისაში“ ცენტრალურ პერსონაჟებში ამოკაობა ქართული ხალხის საბოლოანი წინაპრების უაღრესად შიდაფარი მუცნება, მაღაზ-მარო-კიაზოს სახეებში მან დაინახა სიუჟეტის გრძობით დამოკრალი, წარსული საუფუნის შუილება.

ოპერა

„აბესალომ და ეთერს“

ზოგიერთი

სტილისტური

ნიშანთვისების შესახებ

ინახება კითხვა, მუსიკალური მტყველების რომელ კომპონენტებში უნდა ვეძებოთ ამ ოპერებში მოცემული სახეების ეს ტიპური ნიშანთვისებანი?

ჩვენ არ ვიზარებთ იმ აზრს, თითქოს ამ ნიშანთვისებებს ხალხური მემკვიდრეობის მარტოოდენს ის წყაროები განსაზღვრავენ, რომლებსაც კომპოზიტორი საფუძვლად უდებს ამ ოპერებს. მართალია, ფალაშვილი „აბესალომის“ შექმნისას უპირატუნად სოფლურ ფოლკლორის ემყარება, ხოლო „დაისის“ საბირველის შერჩევისას უფრო ქალაქური ფოლკლორისაგან იხრება, მაგრამ მარტო ამ პირველ წყაროებში არ უნდა ვეძებოთ მათი სტილის განსახვედრელი ნიშანთვისებანი.

ამ აზრის სისწორეს აღნიშნული ოპერებიდან მონათესავე — მსგავსი ადგილების უბრალო შედარებები კი აღსტურებს. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, მაღაზისა და აბესალომის არიები — „თავი ჩემო“ და „ვეძებები ბედსა“. მიუხედავად თემატის მსგავსებისა და იდენტური მუსიკალური საშუალებებისა, (ორივე ქალაქური ფოლკლორზე დამყარებული და ერთი და იგივე ტიპის ხშირსათვის არის დაწერილი), კომპოზიტორი ქმნის ორ სრულიად სხვადასხვა ხალხის ნაწარმოებს, რომლებშიც თანაბარი მხატვრული ზემოქმედების ძალითა და ბატონებით არის გადმოცემული მოქმედ პირთა განცდები.

უპირატუნებს უკვლისა, აქ თვალში გვაქვს მოქმედ პერსონაჟთა განცდის გადმოცემის განსახვედრელი მანერა, განსახვედრელი საკომპოზიციო ზერბი: აბესალომი გვაუყვება თავისი ტრავიული მდგომარეობის შესახებ, ხოლო მაღაზი გვისურათობატებს თავის ვულსურ ხეობს. მაღაზი უშუალოდ გადმოგვცემს თავის წამიერ განცდის, აბესალომი კი მოგვიხიბრობს, გვაუფრებს დაკარული ბედის შესახებ. ფრიად საუფრადღებოა, რომ განცდა-განუყოლებათა გადმოცემის ეს ღმბობითი ხასიათი ოპერა „აბესალომ და ეთერში“ ზოგად სტილისტურ ნიშანთვისებად წარმოგვიდგება, — იგი წოდებ უნდოივით განცდის ოპერის ვრცელ მარტიურას და ამტკობ მან უნდა განპირობოს მთლიანად ოპერის ედერის ძირითადი ხასიათი.

რავი ოპერის ედერის ძირითადი ხასიათი განსაზღვრავთ, ჩვენს წინ უშუალოდ წამოგვრება საკითხი იმისა, თუ რავრავ მხატვრულ ასპექტში განსკვრიტა კომპოზიტორმა ებოსი აღბეჭდილი ადამიანური განცდანი და რავრავ მუსიკალურ ფორმისა ხამოკითხვებული ეს მონუშენტური დარბა.

გადაწვებითი შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურულმა საბირველმ განპირობა ოპერის მიდელი აღნაგობა და მისი იდეურ-ემოციური არსი.

ნიკოლოზ ჭიაურელი

ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი უფემდელობის, ზ. ფალაშვილის მემკვიდრეობის, ეგრძოდ კი მისი გენიალური ქმნილების, ოპერა „აბესალომ და ეთერის“ სტილისტური ნიშანთვისებები კარგა ხანია მუსიკოსიდრეთა კვლევის ობიექტს წარმოადგენს. მაგრამ თვით „აბესალომ და ეთერის“ ვრცელი მარტიურა ამ თვალსაზრისით იმდენად მრავალწახანგავენია და თავისებურა, რომ მრდელი რივი კრიტიკური საკითხები ჯერ კიდევ გაურკვეველი და დასაზუსტებელია. საუფრადღებო წეროლის ფარგლებში მოკლედ შევეხებით მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებსაც წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ცნობილია, კომპოზიტორი თავისი სახივე ოპერით პატრიოტიზმა და ამაიანს მაღალ ეთიკურ ნორმებს უმდერის. ცნობილია



 დემეტრიუსი — აჰ მამაჯანა! უნდა შედგებო უკუელი. ივანი
 ხომ სულ მოვარეზე არანა! ჩემთან თისბი მოდის.

**შემოიღინა თისბი
 თისბი — ნინუს საფლავსი, ჩემი საბრეო სადარის, ნეტა?
 (ლომი ღრიალებს, თისბი ვარბის)**
 ლომი — ო...
 დემეტრიუსი — ურად, ლომო, კარავად ღრიალებ.
 თუ გე უსი — შენც ურადად ვაგვარე, თისბი.
 პირამუდსი — შენც კარავად ანათებს, მოვარე... აჰ, მართლაც და-
 დებულად არ ანათებს!
 (ლომი თისბის მოსახვედს დღეობს და ვაგარბება)
 თუ გე უსი — პირ, პირ, რას ვამოცნო...
 დემეტრიუსი — საცაო, პირამუდსი განჩნდება.
 ლინაწარის — ლომი აღარ ვაგვარებს.
 შემოიღინა პირამუდსი
 პირამუდსი — მაღლობს გიძვენი სინალოთისი, ძვირფესო
 მოვარე.

**მაღლობს გიძვენი, სიკაუშუმს რომ აფრქვევთ თვალებს,
 მაღლობს გიძვენი, დღესაცათი რომ ანათებს ღამეს,
 შენი წყალობითი, ჩემს თისბისაც ვიხლოვებ მალო.
 მარტო, დივიცა... პირა, ვადა მე—
 დეგარო ძლიერი, რაკოვ დამლაგებერი
 საბარლო რანდის რა მერგო ბედად —
 რა საბარეველებო...
 რა განსაცდელი...
 ჩემო კუჭოლო, ამას რას ვხედავი
 სისხლი ატყვიას.
 ამ შენს მანტიას
 ფურის ღამეჭარო, მიშვილე ჩქარა
 სცემთ ვახლავთ,
 სდიო, დაღვარებო,
 ვარსიცი, მოსინა... მომინა ქმარა.**

**თუ გე უსი — ამისთანა ელდა და ძვირფესი მეგობრის სიყვდილი
 მართლაც რომ გაამწარებს ადამიანს.
 პირამუდსი — თავს ვერცხობთი, ნამდვილად მეგობრება ეს კაცი.
 პირამუდსი — ოჰ, ბუნება, ნეტა ლომებს რად აინებ ქველად!
 რომ ჩემს სავარდის მოუწარავს სიცილებზე წმინდა!
 ის ქალი იყო... ქალი... ო, წუ ჩამიოვლავთ კვებნად,
 ვინაც ბადელი არ კულოა განჩნის დღიდან
 ცრემლებს მინარევე წმინდის ლომის...
 ხალხო, ჩქარაში დასტოვე წამით,
 მეკრეს დამეძვარე წუ დამტუს არეს,
 გააბე გული
 დამწუხრებულთი,
 და მოქალ, მოქალ, მოქალ ბარემ.
 (ავსი ივლავს)**

**ვაგთავდი მუსევი,
 მფიჭრისა ცისკენ,
 აღარ ვიფლებო ციცილებთი სულად...
 ენა, ჩამავდი,
 მოვარე წამავდი,
 (შთაბე გადის)
 ბოლო მომეღო, ვაგთავებულვარ.
 (ქვდება)**

დემეტრიუსი — რამ? ბოლოდ მოდო და თავიცი! სწორედ
 ამაზე პაწაწები, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებო.
ლიზანდრი — ვაჟავებულს ისევ ბოლომოდებული სჯობია,
 მაგისთანა კაცო თავი ვინ მისია.
მეფეუსი — რასა, დღსტამარა თუ მოაშვებდეს, იქნებ ვერის თავი
 გამარბას.
ამელია — ძალიან უღერო დროს კი გავიდა ეს მოვარე; თისბი
 რომ მიმართებდა, შევარებული როგორღა ნახოს!
მეფეუსი — ვარსკვლავების სინამდღეე მოძებნის. აგერ, მოდის
 კიდევ. ერის იფთხებას და პიესას დამოვარდება...
 მეშოდის დისბი

ამელია — იმედო მაქვს, მალე მოაშავენ: ამისთანა პირამუსზე
 დიდებნით აფეთქება უფრობოლკვა. ერთი ბეწვი ქმარა, რომ
 ან თისებზე გადაიხარის სანსროს ან პირამუსისკენ; პირ-
 ამბი — როგორც კაცი, დღებით დავკვფარე. თისბი კი — პირ-
 გარცქელი, ღმერთო გვეყვედღ.

ლიზანდრი — უავე შენიშნა თავისი მშვენიერი თვალებითი.
დემეტრიუსი — შენ ახლა იკითხე ხენშემა და კარუსული.

თისბი — ჩემი მტრედო, ვინაყს ვანა?
 თუ სკვდელმა წაგიყვანა?
 ი, პირამუს, ადექ. წამო!
 ხმა გაიძვი, რას დამუქნდა?
 შიასუბე, ნუ ხარ ურჩი...

მეფეუსი უნდა შევიკავოს
 ეგ თვალბე, ბროლის დარი,
 მგეტუნი სანუყარი,
 ვარდისფერი კობა ცხვიარი,
 ეგ ლაწები, დაბარწული...
 შამ წახედი გაძვარა სული?
 შიტომ ვტირი, შიტომ ვუყირი.
 სამო დო, მე თვეენ გელოთ,
 ეგ რისიფერი თქვენი ხელი,
 რაჟი სისხლით მოიხსნავო,

ამელია — როცა საბრუო მოქალაქითი
 და დამოკრეთი იზღად ქალი...
 წუ აუოყენბა, მოდით ბარბე,
 ენაწ წუმად, მოდი ხმალო,
 რაჟედ უნდა დაგავალი;
 ეს ბულმეტრედი გამეძებნითი
 გამიხე და შორჩი ხელად...
 (თავს იკლავს)
 აქ მშვიდობას ვითოლოთ ყველას.
 ვყადებო, ვყადებო, ვყადებო, ვყადებო.
 (ვეხება)

მეფეუსი — მოვარე და ღმირი ამ დაბოცილთა დასამარხად დარ-
 ჩნენ ცოცხლები.

დემეტრიუსი — ღაბ, და კედელიც მაგათთან ერთად.

მეფეუსი — არა, ბატონო, თავი ნუ მომიკლებდა, არა. მაგათი მა-
 მების გამოყოფი კედელი უკვე დაიწვრა ახლა რას იწებებთ —
 ეპილოგს წახადით თუ ბერკომასულ ცდავს მოსმინდით?
 ჩვენი ორი მსახიობა იყავებს.

მეფეუსი — ეპილოგს მოშვით, თქვენი პირამეო, თქვენს პიე-
 სას მომობდებო რაჟი სვირდებო? მოსამოდებელი რა ვაქვი:
 ვინც თამაშობს, აველა ვაწუბა — ვილა უნდა გავიცოცხლოთ
 იცოცხლდ. კარგი იქნებოდ, თვით ამ პიესის დამწერის რომ
 ეიამო პირამუსის როლი და მერე თისბის წესისკარგით
 წამოხტინო თავი. წამფელი ტრაველი იქნებოდა. თუქვე კაც-
 მა რომ თქვას, იმედო კარგა. კარგად ვაითამაშეთ. ახა,
 თქვენი ბერკომასული ცეკვა ვგაჩვენებ. ეპილოგს მოეშვით.
 (ცეკვა)

მეფეუსი — ჰე, შუალამის აქონას ენამ თორმეტჯერ დაქარა.
 ახა, საწოლებს შიამურეთი, შევარებულწო,
 ფეფარიული ჯადოქრობის ვამი დაგვოფა.
 როგორც ამ ღამეს შევარევი და დიდხანს ვიფხიზლეო,
 ენაშობ, რომ დღითი მალს შევარევი, დაქანს ცოცხლები.
 ამ სოფელთარბე წამოდებენა ზოზონა დამე
 კოტლითი მარცხ შევარევიდა, შევარეობებუდა.
 ახა, ძვირმასო მეგობრებო, ლოვინშო ჩქარა!
 გვარ ორი კვირა ისევ წინ ვაქვს — ეს ორი კვირა
 ვადაამულ ღობის და დროსტარებებს უნდა დაუთმოთ.
 მეშოდის პაკი
 (ვიღობ)

პაკი — ვამბით ღრიალებს მშვიტი ღმირი,
 მთვარის შეტყუებით მგლის ხროვა, მწერალი,
 ვლხი, დაღლილი, მთელი დღის შრომით,
 მივდებულა და ხტონიყვს, სანუალი.
 ჩანარებულა ბუზარის ცეცხლი,
 კოტი მოთქვას და გაკვივის მწარედ.
 კოტის კიჯოლე სწული ხენშის
 და ეჩენებო სუდარა მკვდარის.
 ფაროოდ ვაალებს ხახს სანარე,
 და შუალამის რომ დაარავს ვამი,
 წრიალს იწებენ სუდები გარბო,
 დაჩრდილებენ — არც ისინი ჩქამი.
 ჩვენ ფტრები, ჩვეულ სინამდე
 ვაგვიცოცხლოთ ვეკათას მარბს,
 როგორც სოზარე, დავეცხვებით ღამეს,
 შუეს ვენალებითი — სინამდე ვარჩევთ.
 არაჟედ გაისნა თავისი ფარწები,
 სიმწიდე დამას შეტარას არაჟი!
 მე დამკვირვებ სკეპე საშური —
 ცოცხით დავავი ვეულა კარავი.

მეშოდის ობეკრონი და ტიტანიო ამალოთ.
ობეკრონი — მებუტავი ცეცხლის სინამდე ქმარა,
 რომ ვავაპალით ცეკვა-მოდებენ,
 ახლა მოავევით ჩიტებს დარად,
 სკუ-სკუილი ზღუწვას და, ცაში ფრენას.
 სიმღერით დაცხობი — ან დეკანასო,
 მე დავწერებ და მოთხარო ხანი.

ტიტანიო — გვარ დავისწავლო შენი სიმღერა,
 აველა სიტყვა და უკოლე ბგერა...
 მერე ჩაკვილით ერთმანებს ხელი
 და კურთხეულავებით ეს ნაწყოლოლი.

(მღერან და ცეკვავენ)
ობეკრონი — მთელი სანამდე ვასწავლო ფრთხილად
 მანად კარგ მოვადგა დღეს;
 პირველ პატარას მიუძღვნათ ბულით
 პირველი ღოცვა და სობარული,
 მოძებნეთ მოსა საწოლი ხელად
 და სასიგბით ვაყრებოთ ყველამ,
 არ მოკლებოდეს ღებნას, ღრბობას
 აქ გაჩენილი მეგვიდრობა...
 მერე დალოცოთ ის ორი წყვილი —
 მათაც ცხოვრება ჰქონდეთ ტბოლი,
 მათაც ჰყოლოდეთ შედობი ხელი,
 არ დაჩნისო ბუნებამ დელი,
 არ დამყოლოდეთ სხედლის ნალო,
 არც კურდღლის ტური, არც სხვა რამ მანკი,
 არც ლქა საღებ, არც ვანაყარი,
 სანამდე მოქვდეს ბუნება მკაცრი.
 შემოურბენა სანამდე წამით
 და მოკურთხეთ ეს მინდვარის ნამი,
 არ მოკლებოდეს პატარას ძეობა,
 სობარული და კეოლოდებოთ,
 გასწვით ჩქარა,
 ზოზონა ქმარა,
 დღლით მწივიო ჩემს ვასანარად.

(ვიღობ ობეკრონი, ტიტანიო და ამალო)

პაკი — თუკი რამეზე დავწერებო ბული,
 თუ ეს ვარობა არ იყო სწული,
 და ვაიკრებო იმედი მწარედ,
 მანამ ეს ობოყანა მიიღო ბარემ:
 ჩამოვდინათ სკამზე თოქოს
 და რაც აქ ნახეთ, სიმზარო იყო.
 რაჟად სტეფით არ ვაგვიცოცხლოთ
 და მოკრატვეთ ცოდვები ჩვენი,
 რაკი შევარდნით და არ დავგვარებო,
 პაკი არ ვიყო, ცრუ დამიწვებო,
 თუ მაღი ისევ აქ არ გიბილობო
 და თქვენს გემოზე არ მოვლოდობო —
 ახლა მწვიდობიო!... ცეკვაიც გიბრდებოთ —
 სიტყვას არ ვაგებებ არას დიდებოთ.
 (ვიღობ)



არსენა



მიტო გორდელაძე

ხატავს მიტო გორდელაძე

1

ავშემა არ ხატოს—არ შეიძლება. მოვა დრო და ქალაქი და ფანქარი შეცვლის სათამაშოს... ფურცელზე ისახება მწვანე სახლი და ვარდისფერი ბოლი, რომელიც ცხეთელი საკვამლე მილიდან ამოდის...

ჩემს წინ არის მამინ ჯერ კიდევ ხუთი წლის ბავშვის, მიტო გორდელაძის პირველი ნახატები. ნორჩ მხატვარს ქალაქში მექანიკურად როდი გადაუტანია ადამიანები და საგნები. ყურადღებას იქცევს ხაზების ძებნა, შტრიხებით მოძრაობის, ცვალებადობის შთაბეჭდილებების შექმნა... ბავშვთა ნახატებისათვის საერთოდ როდია ნიშანდობლივი გამომსახველობის ძებნა თვით ხატვის პროცესში, მათთვის მთავარია დეტალების სიზუსტე, სისწორე, შკაფიობა, ხუთი წლის მიტო კი ყოველ შტრიხში ხედავს სახასიათოს და როდი უღის მას, თუ კი გრძნობს, რომ ზედმეტი არ არის. იგი ინტუიტურად ეყრდნობა თავის მხატვრულ ალღოს, იმ ალღოს, რომლის მნიშვნელობის გაგებამდე კიდევ მრავალმა წელმა უნდა გაიაროს... მამამისი — გიორგი გორდელაძე პროფესიონალი მხატვარი, ოიდი გი-

ორდელაძე და გამოცდილებით, სიფრთხილით ზრდის ბავშვის ნიჭს.

ცნობილია, 5—10 წლის მოზარდები ზოგჯერ ჩამოყალიბებული მხატვრები არიან, მაგრამ ყველა მათგანს როდი მიუღწევია მომწიფების პერიოდში უმაღლეს მწვერვალზე. მრავალი მათგანი ჩვეულებრივ, რიგით ოსტატად დარჩენილა. ვფიქრობთ, ასეთი ხვედრი არ ელის მი-

ბეზია

ორთაბრძოლა



ტოს, რომელიც ახლა უკვე თორმეტი წლისაა და ნამუშევრებში მისი შემოქმედების ახალ სიმაღლეებს ვხედავთ.

ჯერ კიდევ სულ პატარა ბიჭუნას ნახატებში გაცივით საგნების გამოხატვა სივრცეში, ფორმების გადმოცემა ბუნებრივი ხაზების ძებნა, მტკიცე და დაჯერებული ხელი. პირველი ნახატები — უკვე როდია ბავშვური ნახატები. მიტო ვერ იტანს სიყალბეს. ამიტომ ეძებს შთაგონებით, გატაცებით, მისი ბავშვობა მხოლოდ სიუჟეტის შერჩევაში ვლინდება. არასოდეს არ უყვარდა გადახატვა, უბრალოდ არაფერს იხატავდა. მხატვრის ინტელიციით გრძნობდა იგი ვანსხავეზას შექმნასა და ვანმოორბას შორის, მიბაძვას მისთვის არ მოჰქონდა კმაყოფილება.

პირველი საფეხბურთო სიუჟეტები... ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ფეხბურთის თამაშს უშუალოდ ნახავდა, თავის ნახატებში აღბეჭდავდა მოძრაობის დინამიკას, სხვადასხვა მდგომარეობას, სიტუაციის სიმძაფრეს. მისთვის მთავარი იყო ექსპრესია, სპორტსმენთა სხეულების სიძრით-ლით გადმოცემა.

აი ნახატი „ჰორიკანები“. იგი ექსპონირებული იყო ბავშვთა ნახატების გამოფენაზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მასში ჩანს ნორჩი მხატვრის მახვილი თვალი, ღრმა დაკვირვება ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ქალების მხრების მოძრაობა, თავის დახრა, წაგრძელებული კისრები ცოცხლად გვაგრძნობინებს ნახატზე აღბეჭდილი ადამიანების ბუნებას, ხასიათებს. ეს არის ადრეული პროფესიონალიზმი, რომელიც სპეციალისტებისა და არასპეციალისტების გაცივას იწვევს. ნიჭიერი ბავშვის ყურადღებას არ ეპარება ერთი შეხედვით უმნიშვნელო, რასაც ხშირად ჩვენ ვერ ვამჩნევთ.

არსენანს ფიგურა დაუხატავს მიტოს. სახე ოდნავ მოუნიშნავს. ჩანს არ აინტერესებდა. მთელი ყურადღება გაუმახვილებია ფიგურაზე. ძალას, შეუოგრობას, ვეცაკობას

ჩუბა თბილისში



შუკვე მიმენტი კართან

გამოხატავს იგი. თუმცა ნახატი დაუმთავრებელია, მაგრამ სათქმელი უკვე ნათქვამია.

მხატვრის კვირეულის დღეებში, ხელოვნების მუშაკთა სახლში ყველას ყურადღება მიიზიდა მიტოს ნამუშევართა პერსონალურმა გამოფენამ, რომელზეც 120 ნახატი იყო წარმოდგენილი.

ახლახანს მიტო გორდელაძის ნახატები ექსპონირებული იყო ბავშვთა ნამუშევრების გამოფენაზე, რომელიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მოეწყო. ამ გამოფენამ დაადასტურა, რომ ხალასი მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები ჩვენ ქვეყანაში ერთეულები როდია. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა. მათთან ერთად ვუსურვოთ მიტო გორდელაძეს გასულიყოს დიდსა და ფართო გზაზე ქართულ ხელოვნებაში.

მანადი ჩიხაკაძე



ფეგობრული შარე
საქართველოს სსრ დამსახურებული
არტისტის მ. მონეძაძის

40 წელი

მეზარეულებთან

ორსზე მეტი როლი, რომლებიც სახსენა მი-
წარდი მაურებლისადმი ფაქიზი სეყარუ-
ლით, მისი აღზრდის საქმისადმი ტრეკულე-
ბით, მაურებლების მესხიერებაში ღრმად
აღიბედა მისი ვ. ი. ლენინი — შატროვის
„რევოლუციის სახელით“, ფრანკ მოიარი —
შილერის „უკანაღებში“, სორინი — ლერ-
მონტოვის „ესპანელეში“, კიკილა — ზ-
ნახუტროვილის „ნაცარქეჩაში“, ჩერნაჩი-
ნი — ტრენევის „გიმნაზიელებში“ და შა-
ვალი სხვა.

მსახიობი დამსახურებული ავტორიტეტი
სარგებლობს თავის კოლეგებს შორის. აქ-
ტივობა ახალგაზრდა თაობა უოველითის
ღიად უურადლებით უსმენს მის რჩევასა და
შენიშვნებს. თეატრომ არსებულ სტუდიაში
იგი გარემოს გავყოილებს ატარებს.

ღირსსახსოვარ დღეს იუბილარს გულ-
თბილად მივსალმუნე კოლეგები სხვა თეატ-
რებთან, მივსალმუნე ჩვენი ქალაქის მი-
წარდი მაურებლები, რომლებმაც მსცოვარ
შემოქმედეს ჯანსაღობა, სიმხევე და შე-
დგომი შემოქმედებითი წარმატება უსურვეს
მიმავალი თაობის აღზრდის საყვილ-
დღეოდ.

ქ იმდინარე წლის 8 მაისს თბი-
ლისის მოწარმ-მაურებელთა
რუსულ თეატრში გაიმართა ამ
თეატრის ერთ-ერთი ფუნქციონე-
ლის, ალექსი არკადის ძე იუდინის დაბადე-
ბის 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის
40 წლისთავის აღსანიშნავი საუბილო სე-
დამო.

ა. იუდინის შემოქმედებითი ცხოვრება
დაიწყო თბილისში, 1827 წელს ზელდენების

დამსახურებული მოღვაწის, რეჟისორ ნ. ი.
მარშაკის ზელმღვაწეობითი.
თეიფიული როლი — დიდი თუ პატარა,
რომელიც იუდინმა განახორციელა, გამსკე-
ვლულია კემარტი შემოქმედებითი შოგო-
ნებით. მსახიობი ყებეს ახალ, ირიგინალურ
ნახატს, ფსიქოლოგიურ მოტივირებას, და-
მაჯერებელ გარეწობას.


ა. იუდინის 40 წლის ნაუფიერი შემოქ-
მედებითი შრომის სარებრტუარო სიაშია

სახელმწიფო

რესპუბლიკური

ბიზლიოთეკის შენობის

არქიტექტურა



ლოგია შივარდნის ფასადზე

ნოდარ ჯანბერიძე


სათავადაზნაურო ბანკის შენობას თბილისში, რომელშიც ამჟამად სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკაა მოთავსებული, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არა მარტო ცნობილი ხუროთმოძღვრისა და პედაგოგის ანატოლ კალგინის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქართული არქიტექტურის ისტორიაში, როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისის მეტად მნიშვნელოვან ნაწარმოებს.

ამ შენობის დაპროექტების მოკლე ისტორია ასეთია: ჩვენი საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც იყიდეს მიწის ნაკვეთი ლორის-მელიქოვისა და საგრაფო

ქუჩების (ამჟამად კეცხოველისა და ვანაძის ქ. ქ.) გადაკვეთაზე, სათავადაზნაურო ბანკის აგებისათვის გამგობამ დახურული კონკურსი მოაწყო. კონკურსში თბილისელი არქიტექტორები მონაწილეობდნენ. წარმოდგენილი იქნა წ პროექტი.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის თანახმად, სასურველი იყო შენობის აგება ე. წ. „ქართული სტილით“, კონკურსის მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ გვერდი აუხვია ამას. ხუთი პროექტი იმ მოდერნული არქიტექტურის სხვადასხვაგვარ ვარიანტს წარმოადგენდა, რომელიც ასე იყო ფუნქციონირებელი იმდროინდელ თბილისურ არქიტექტურაში. მხოლოდ მეექვსე პროექტი იძლეოდა შენობის არქიტექტურაში ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების ელემენტთა გამოყენების ცდას, და ამით იგი პრინციპულად განსხვავდებოდა სხვებისაგან.

ამჟამად ძნელია დადგენა ყველა პროექტის ავტორისა, რადგან არსებულ პროექტებს მხოლოდ საკონკურსო დღეებში შემორჩათ. მაგრამ კონკურსის შედეგების შესახებ არსებული დოკუმენტით ირკვევა, რომ ე. წ. „ქართული სტილით“ ნაგე-



შესასვლელთა მოწყობამ რამდენადმე განსაზღვრავს კომპოზიციაც: თუ კუთხიდან შესვლისას მათეფიოდა დიფერენცირებული ერთის მხრივ საადმინისტრაციო, ხოლო მეორე მხრივ — ხალხმრავალი დარბაზები, ერთ მხრიდან შესვლისას ეს ორი ჯგუფი ნაგებობისა ერთმანეთთან შერწყმულია ისე რომ წამყვანი მნიშვნელობა სადგომთა მეორე ჯგუფმა (ე. ი. დარბაზებმა) დაიკავოს.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტზე „სანა“ (3) შესასვლელი ლორის-მელიქოვის ქუჩიდან, შენობის ცენტრშია მოწყობილი, აქ კიბის უკრედისა და ვესტიბულის შიდა გადაწყვეტა ისეთია, რომ იგი მაინც კუთხის ვარიანტს ემორჩილება.

ვესტიბულები, კიბის უკრედები, დარბაზები ამ პროექტში პასუხობენ „მოდერნული“ არქიტექტურის პრინციპებს. ამითაა გამოწვეული კიბეთა საფეხურებისა თუ შოაჯარების მრუდუნაზღვანი, მომრგვალებული ნახატი, ფართო სარკმელები, მომრგვალებული კუთხეები სადგომებში და სხვ.

ფასადებზე აქცენტებს ისევ შესასვლელი სვამენ. თუ იგი კუთხეშია მოთავსებული, როგორც მაგ. „ესკიზზე“, ხაზგასმულია გუმბათთა თუ სკულპტურული ჯგუფებით. სხვა შემთხვევაში ფასადთა კომპოზიციის ცენტრული გადაწყვეტა უნიჭობა (მაგ. „სანა“ და სხვ.)

როგორც უკვე ითქვა, პროექტთა უმრავლესობაზე შენობათა არქიტექტურა მოდერნისტული მიმართულების ამჟამად კვალს ატარებს. ფასადები გადატვირთულია ამ სტილისათვის დამახასიათებელი ელემენტებითა და დეკორით: კრონშტეინებით, პილასტრებით, ჰერალდიკით, სკულპტურული ჯგუფებითა და სხვ.

მხოლოდ კალგინისა და ჰინევიკის პროექტზე იყო ცდა ქართული ხუროთმოძღვრული მოტივების გამოყენებისა, რაც პროექტის ფასადზე კვლდის თავისუფალი სიბრტყის შებენით, დეკორატიული თაღებისა თუ ორნამენტული სამკაულების ხმაურებაში გამოიხატებოდა.


ამ პროექტს, გარდა აღნიშნულისა, თვით გეგმით ქონდა უპირატესობა. ეს გამოიხატებოდა ჯერ ერთი იმაში, რომ შენობა კარგად, კომპაქტურად ჯდებოდა კონკრეტულ ადგილზე, მეორეც — მკაფიო იყო სადგომთა ორგანიზაცია. განსხვავებით სხვებისაგან, მასში ღია გალერეათა და ტერასების მოწყობით, სივრცით ელემენტი იყო შეტანილი, რაც აუჯობესებდა, როგორც თვით შენობაში მოშუშვეთა პირ-

ბა შენობის პროექტის ავტორები ხუროთმოძღვარი ანატოლ კალინინი და მხატვარი ჰენრიხ ჰინევიკი იყვნენ. იგივე დოკუმენტი გვიჩვენებს, რომ ორი პროექტი არქ. კლდიაშვილსა და იბლონსკის ეკუთვნოდათ, მაგრამ რომელი, ჯერჯერობით დაუდგენელია, საკონკურსო პროექტები გეგმის გადაწყვეტილებით განიხილდნენ ერთმანეთისაგან.

ავტორები მკაცრად იცავდნენ ტერიტორიის საზღვრებს, სადაც უნდა აგებულიყო ბანკი, ამიტომ ყველა პროექტზე გეგმის თითქმის ერთნაირი კონფიგურაცია აქონდა (სქემაზე მასშტაბი არ არის დაცული). მონაკვეთი ლორის-მელიქოვისა და გრაფის ე. გადაკვეთაზე ყველა პროექტზე ისე ივსებოდა, რომ ეზოს არსებობის შესაძლებლობა ყოფილიყო.

ყველა გეგმა ემორჩილებოდა ძირითად მოთხოვნებებს, ყველა ავტორს იგი სადად აქვს გადაწყვეტილი. მთავარი ყურადღება ვესტიბულებსა და დარბაზებს, საოპერაციო ოთახებს და სხვ. აქვთ განკუთვნილი.

ავტორები სხვადასხვაგვარად მიუდგნენ შესასვლელს შენობაში, რამაც ზეურად განაპირობა ის სხვაობა, რაც სხვადასხვა პროექტის გეგმითს გადაწყვეტაშია.



„სანა“

ბებს, ისე ქუჩათა ვიწრო გაბარიტებს, თითქოს აფართოებდა, ორგანულად უკავშირებდა შენობას გარემომცველ სივრცესთან.

ამგვარად, ბანკის შენობას საფუძვლად ა. კალგინისა და კ. პრინცივის პროექტი დაედო. საკონკრეტო პროექტსა და ამხედრებულ სახლს შორის, ხუროთმოძღვრული იდეის გავების თვალსაზრისით, პრინციპული ხასიათის სხვაობა არ არსებობს. ამ საკითხზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით.

თვით კონკრეტს, მის მასალებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამარჯვებულ პროექტს, ახალი არაფერი უთქვამს ქართული არქიტექტურის განვითარებაში. პროექტები ისეთი-ეუ იყო, რომელთა მიხედვით საკმაოდ შრავლად იგებოდა შენობები იმდროინდელ თბილისში, (იგივე ლორის-მელიქოვის ქუჩაზე). მაგრამ კონკრეტის მოთხოვნა, შენობის ეროვნულ ფორმებში განხორციელების შესახებ. შეტად საყურადღებოა, რადგან ამ პერიოდში, როცა ეროვნული ფორმა არქიტექტურიდან თითქმის განდევნილი იყო, ეს პირველი შემთხვევა არ არის. სულ ორიოდე წლით ადრე, 1910 წელს დამთავრდა ქვეშეთის ეკლესიის მშენებლობა, რომლის ავტორსაც წინასწარვე ჰქონდა მითითება ძველი ქართული არქიტექტურის ნიმუშის მიხედვით დაეწყო პროექტირება (მშენებლობა დაიწყო 1904 წ. არქ. ბილფელდი).

ეს მაგალითები, უკვე საღი აზრის გაჩენას მოწოდებენ არქიტექტურაში. მართალია, მან გადაწყვეტი მიიღწევა მისი მოპოვება ვერ შესძლო, მაგრამ მისი პროგრესულობა ამკარა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საპროგრამო მოცემულობით საერთო იყო შენობის აგება „ქართული სტილით“, ავტორთა უმრავლესობა მდურთ არქიტექტურის გავლენის ქვეშ მოექცა. ქართული ფორმების გამოყენება კი შეეძლო შემოქმედს, რომელიც კარგად იცნობდა ძველ ქართულ არქიტექტურას, შემცნებელი ჰქონდა ისტორიული ძეგლების თვითმყოფადი მხატვრული მხარეები.

კონკრეტზე გამარჯვებულმა პროექტმა, როგორც უკვე ითქვა, მშენებლობაში განხორციელებისას (მშენებლობა 1916 წ. დამთავრდა) გეგმაში უწინმწინელი ცვლილებები განიცადა, კერძოდ შეიცვალა შესასვლელში ძირითადი კიბეების განლაგება და პირველი საართლის ლოჯია-თაღები მოთავსდა ფსადზე — განვითარდა ფსადის მთელ ფრონტზე;

პროპორციები იცვალა შესასვლელის ღერძზე მოთავსებულმა საოპერაციო დარბაზმა, რომელიც თუ საკონკრეტო პროექტში ორსართულზე ერთიან მოცულობას ქმნიდა სამივე მაღლის თანაბარი სიმაღლეებით, ახლა იგი სამნაგვანი გახდა, რომელთაგან მხოლოდ ცენტრალურს აქვს ორი საართლის სიმაღლე;

ნატო ვანანძის ქუჩის მხარეს ფსადის ცენტრში შეიქმნა ღია თაღები გალერეა — ნაცვლად ტერასისა; დასავლეთ მხარეს შენობას მცირე მოცულობა მიედა — კიბის უკრედიით; შეიცვალა ზოგიერთი საღმომის განბარიტები, დანიშნულება და სხვ.

მშენებლობაზე ძირითადად სამშენებლო მასალად აგურია გამოყენებული, მოპირკეთება ძვამის კირქვითაა. ბრტყელ თუ კამაროვან გადახრებებზე გამოყენებულია რკინაბეტონი. რკინაბეტონის ნივთიერებზე შეკადრებულია ზედა დარბაზის ჭერიც.

თაღლის სვეტი




ერეკლევი
გამგორცეკვა

X X საუკ. დასაწყისში ამ მასალის ასე გამოყენება მშენებლობას სანიტრესოდ ხდოდა.

როგორ მიუდა ავტორი შენობის დაგეგმარებას? ბანკის შენობა თავის სპეციფიკურ ნიშნებს ატარებს, რაც უმთავრესად გამოისატება მისი მრავალხალხიანობით. აქ ყოველთვის ოთახებსა და დარბაზებში ბევრი ხალხია, დიდი ადგილი უკავია ცალკეულ კაბინეტებსა და სამუშაო ოთახებს, სადაც მომსახურე პერსონალი და ადმინისტრაციის მოთახვებული. აქედან გამომდინარეობს ის მნიშვნელოვანი პირობა საბანკო შენობის არქიტექტურაში, რაც ამ ორი სახის სადგომთა შორის ურთიერთკავშირზე და მოხერხებულ დაკავშირებაზეა დამყარებული.

გეგმის კონფიგურაცია ბევრად განსაზღვრა ტერიტორიამ, სადაც შენობა უნდა აგებულიყო. ქუჩების გადაკვეთაზე, კუთხურ მდებარეობა უკვე თავისთავად კარანახობდა გეგმაში ორ ერთმანეთსა დაში პერპენდიკულარულად მიმართულ სწორკუთხედებს.

შენობის გეგმა მარტივად და გადაწყვეტილი და თუ ამგვარად მისი ექსპლოატაციის დროს რაიმე უზერხულობა ჩნდება, ეს მისი სხვა დანიშნულებით გამოყენების მიზეზია. ისე, კი, ბანკისათვის გათვალისწინებული შენობა, რომელიც სასეხით ითვალისწინებდა საბანკო ნაგებობისათვის საჭირო სადგომებს და მათ მოხერხებულ გადაწყვეტას — თავისი დარბაზებითა და ფართო ოთახებით, კარგად მიუდა საჯარო ბილითი-თეკის მოთხოვნილებას.



პირველი სართულის გეგმა

შენობაში მთავარი შესასვლელი მოწყობილია კეცხოველის ქუჩიდან. საკმაოდ ვრცელი ვესტიბულის მარჯვენა მხარე სადარბაზო კიბეებს უკავია. შესასვლელიდან პირდაპირ დიდი დარბაზია (უწინ — საოპერაციო, ახლა — სამკითხველო). სიღრმეში მას წიგნთსაცავი გვერის, რომელიც უწინ სხვადასხვა დამხმარე და საკანცელარიო ოთახებს ეკავა. შესასვლელიდან მარცხნივ საადმინისტრაციო ოთახები და კაბინეტებია. უწინ აქ მცირე საათობირო დარბაზი იყო, რომელშიც დირექტორის ოთახი გადიოდა.

ცენტრალური ვესტიბულიდან სადარბაზო კიბეებით დიდ დარბაზში ავდივართ, რომელსაც წინ ფოიე აქვს. ეს ამჟამად ცენტრალური სამკითხველო დარბაზი ორი სართულის სიმაღლისა და უწინ საერთო შეკრებულობათა დარბაზს წარმოადგენდა (259 კაციისათვის).

გვერდის ფრთაზე, ამ სართულზე ქვედა სამკითხველო დარბაზის ცენტრალური ნაწი ამოღეს, რომლის გვერდებზე ქუჩისაკენ ღია ტერასა, ხოლო უზოსაკენ — წიგნთსაცავი.

განათლების ქუჩისაკენ თითქმის მთლიანად წიგნთსაცავები.

უზოს მხარეს შენობის ძირითად ფრთას მიდგმული აქვს კუბური მოცულობა, რომელშიც დამხმარე კიბის უკრები, ფოტოლაბორატორია და სხვ. ოთახები გამოდის. ეს ნაწილი, როგორც ჩანს, გადაკეთებული უნდა იყოს. კიბის უკრები ალბათ გვიანაა ჩადგმული, რადგან ახლავეა შერჩენილი ზედა

დარბაზიდან გამოსასვლელი კედელში, რთმეფლც მატყმისა-მალღუზე არ არის.

გვერდის კომპოზიცია ორი ურთიერთპერპენდიკულარული ღრძის გადაკვეთაზეა აგებული. გადაკვეთის წერტილი ასიმეტრიულად, პირიზონტული ღრძის მარჯვენა მხარესა და იგი ვესტიბულის ადგილზე გადის.

ვესტიბული გამართიანებულ ბირთვს წარმოადგენს ამ ღერძებზე აგებული ორი ფრთისათვის. იგი აკავშირებს მათი მოთავსებულ სადგომებს: ერთ სართულზე დარბაზისა და დირექციის ოთახებს, სხვა შემთხვევებში დარბაზსა და წიგნთსაცავებს და სხვ. ე. ი. ორგანულად აერთიანებს შენობის ძირითად შემადგენელ ნაწილებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კომპაქტურ ღერძთა მნიშვნელობა სართულზე სხვადასხვა და ეს ხაზგასმულია ორივე შემთხვევაში: ქვედა სართულზე გვერდში ვერტიკალური ღრძია მთავარი და ვესტიბულიდან შემსვლელი თავიდანვე პირდაპირ მდებარე მთავარი დარბაზისაკენ მიდის. დარბაზის გვერდის მოხაზულობა პასუხობს ამ გრძივ მიმართულებას. ზედა სართულზე სადარბაზო კიბეების გავლის შემდეგ, მახვილი გადმოდის პირიზონტულ ღერძზე — რომლის გასწვრივაც დიდი სამკითხველო დარბაზი და ესეც თავიდანვე ხვდება თვალში მომსვლელს.

მხატვრულად ეს სახეებით მარტივად და დაღწევით: ქვედა სართულზე ვესტიბულიდან პირდაპირ ხის მოხატვებული — ფართოდ შემინული კარებია ყველაზე მეტად აქცენტირებული. გვერდით კედელი ყრუა, დერეფანი მეორეპარსისბინანია; ხოლო მარჯვნივ — მხოლოდ კიბის უკრები იპყრობს ყურადღების. ზეითი — გვერდის კედელში შესასვლელი არ არის, ე. ი. პირდაპირ უნდა შეხედეთ.

გვერდის მომსვლელისათვის თავიდანვე მკაფიოდ გასაგებია და ამდენად, ოთახთა განლაგებაც მოსახერხებელი.

ინტერიერთა მხატვრულ სახეში ძირითად ელემენტებს სინათლის შუქი და კედელთა დეკორატიული დამუშავების ფერადოვნება წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიღგომა აერთიანებს მთავარ სადგომთა შიდა ხედს, ეს მინც სხვადასხვა შემთხვევაში საკმაოდ თავისებურად წყდება.

ვესტიბულში შუქის მთავარი წყარო კიბის უკრების მხრიდანაა, რაც კიბეებზე ამახვილებს ყურადღებას, რასაც კიბეების თეთრი ფერაც უწყობს ხელს.

ვესტიბულის სივრცე დაბალი, „დამჯდარია“. ავტორის არც აქვს სურვილი მისი „ამაღლებოსა“, ამიტომ საერთო არქიტექტურასთან შეფარდებით, სვეტები მაღალი რომ არ ყოფილიყო, მას ვერცხლდგევე — მარტივ ტუმბზე დამს. ეს განიერი დაბალი მრგვალი სვეტებია ბევრად განსაზღვრავენ ვესტიბულის საერთო არქიტექტურის ხასიათს.

ვესტიბულში კამარას მთავარი მნიშვნელობა ენიჭება. იგი განსხვავებით გვერდითი სივრცის პლაფონებისაგან, მთლიანად მოსატული. ორნამენტთა გრებილია ნაწი დინება მთლიანად ავსებს კამარის ზედაპირს. ორნამენტის ნახატი ყველგან მრუდებსზოგანაა და გარდა ოქროთი შეესებულისა, ყველა კონტურშია მოქცეული.

კამარის მოხატულობის კოლორიტი ღია მომწვანო-მოციცფროა, ისე, კი, ნახმარია თითქმის ყველა ძირითადი ფერი,

რომლებშიაც აქა-იქ ოქროსფერი ორნამენტული ნახატის შუაში წითელი ლაქები — აქცენტებს სვამენ. ფერები ისეა ერთმანეთთან შეხამებული, რომ გადასვლა სრულიად შეუმჩნეველად ხდება. აღსანიშნავია, რომ ამ ფრთიან ფერადოვან ზედაპირზე ორ რიგად ჩამწკრივებული მოწითალო ფენის ორნამენტები მაინც ქმნიან ერთგვარ გრძივ მიმართულებას.

ვესტიბულის მუქ ძირითადად მოყვავისფრო-შეინდისფერი კედლებისა და სვეტების ფერით შექმნილ კოლორიტში კამარას მავორული ფერადობა შეაქვს. ამას ხელს უწყობს აგრეთვე თეთრი მარმარილოს კიბეები.

კოლორიტის თვალსაზრისით ვესტიბულიდან გადასვლა, როგორც კიბის უჯრედისაკენ, ისე ქვედა სამკითხველო მეცნიერ მუშაკთა დარბაზისაკენ, კონტრასტით ხდება.

დარბაზის კედლების ღია ყვითელი ტონი და კამარის მოთეთრო-მოყვავისფრო დაფერვა ნათელ კოლორიტს ქმნიან. დარბაზი ფერადოვან მახვილს ქმნის ანტაბლემენტის ელემენტთა სხვადასხვა ფრად შეღებვა და მწვანე მარმარილოთი მოპირკეთებული სვეტები.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დარბაზის არქიტექტურა, აქ გამოყენებული არქიტექტურული ფორმები არ ეთანხმებიან ერთმანეთს, რაც ცკლექტოზისის დღის ამჩნევს მას. ასე, მაგ. თუ კუთხესთან ბურჯები ოპტიკურად მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენენ, მათ შუა მდებარე ორი მეტად ვიწრო წვეილი სვეტი ბუტაფორულია. ფრიზი ზედმეტადაა გადატვირთული კრონშტეინებით, როზეტებით და სხვ. თვით ცალკეული ელემენტები, როგორცაა მაგ. სვეტების კაპიტელები, ბიზანტიური თუ რომანული არქიტექტურის მოტივებით შედგენილი, ვერაფრით უხამება საერთო გადაწყვეტას. თავისი ბუნებით სხვაგვარია ფრიზი და ბრტყლად კვსინირებული კამარა. ეს სტრუქტურულ კიდევ უფრო ძლიერდება კამარის განაპირა კედლებში სამზავი სარკმლის შუა მოთავსებულ უბაზო და უკაპიტულო შუწვეილებული სვეტებით.

ამრიგად, ამ დარბაზის არქიტექტურაში ავტორთა დეკორატიულობისაკენ მისწრაფებამ ვერ გამოიღო ნაყოფი და ნაცვლად მხატვრული აქცენტებისა, მშრალი ცკლექტოზი მივიდეთ.

ვესტიბულიდან ცენტრალური დარბაზისაკენ გასვლაც, როგორც უკვე ითქვა, მხატვრული კონტრასტით ხდება. ნაკლები შუქიანი ვესტიბულიდან თეთრი, კარგად განათებული კიბეებით (აქ კიბის უჯრედის კედლებიც ღია ტონებშია მოცემული) ავიღივართ დარბაზისაკენ.

მნახველს კვლავ თან სდევს კედლის დამუშავებისა თუ საერთოდ, არქიტექტურულ ელემენტთა ხაზგასმული დეკორატიულობა (კიბის უჯრედის პარაპეტის საკმაოდ რთული ორნამენტირება, აჭრული რელიეფიანი ჩანადგარი რადიატორთან, ორნამენტირებული სვეტისთავები, მოხატული კედლები, პლაფონი და სხვ.).

კიბის მოაკირის მოუსვენარ ხაზს ერთგვარი დინამიურობა შეაქვს საერთო კომპოზიციამ.

აქ კედლების ძირითად ტონს ყვითელი წარმოადგენს. მასზე ზედა ნაწილი მთლიანადაა მოხატული. კომპოზიციის ცენტრი დიდი რადიუსის წრეა, რომლის გრეხილი ოთხ მცირე წრეებს ქმნის და მათში ცხოველთა გამომხატულება. შემდგ



კიბის უჯრედის ფრაგმენტი

ეს ცენტრი, ორნამენტების რთული დინებით გადადის საერთო მოხატულობაში. დეკორი პლაფონზე მატულობს. იზრდება მასშტაბიც.

კედლის მოხატულობაში შუა ცენტრალური წრის არის თავისუფლად დატოვება ზედმეტ აქცენტს ქმნის, შეუკუბელი წრე, რომელიც ტონს იმორებს, ანელვებს საერთო შთაბეჭდილებას, იგი კი აქ საკმაოდ საზეიმოა.

ცენტრალური დარბაზი სადადაა გადაწყვეტილი. აქ მახვილია დასმული კედლიდან ჭერზე გადასვლისას, და იგი მკვეთრადაა ხაზგასმული, როგორც მოცულობით, ისე მოხატულობით. დარბაზის არქიტექტურაში დიდ როლს ასრულებს გრანდიოზულ სარკმელთა ალათების ორნამენტული დამუშავება.

დარბაზის კოლორიტი კედლების მუქ შეინდისფერ ტონს ემყარება. კამარის ქუსლთა შორის სიბრტყე ლურჯი ფერით გამოიყვება. ხოლო თვით ქუსლთა მოხატულობა, შედგენილი იგივე პრინციპით, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც მრავალფეროვანია. კამარის ქუსლის ყოველ მონაკვეთში ორნამენტული ნახატში ჩაქსოვილი ცხოველის გამოსახულება ფერთაყ ტა-მოიყოფა და სასაიმომო აქცენტს სვამს საერთო ფონზე.

სხვა ოთახების ინტერიერები სადადაა გადაწყვეტილი. ხალხით ყველაზე მეტად დატვირთული სადგომები განსაზღვრავენ ავტორთა მიდგომას შენობის შიდა სახის დამუშავებაში.



როგორც დავინახეთ, ავტორებისთვის ინტერერთა დამუშავებაში კვლდის დეკორატიული მხატვრობა ტოლფასია არქიტექტურული ფორმებისა. ამის აშკარა მაგალითებია ქვერიდან კვლდებზე გადასვლა მოვარ დარბაზში, ფრიზი ქვედა დარბაზში და სხვ. სადაც არქიტექტურული ფორმები, რომლებიც თავისთავად ყურადსაღები იქნებოდნენ, დაფარულია ან გაძლიერებულია ფერადი მოხატულობით. ხშირად ასეთი მოხატულობით ამა თუ იმ ელემენტის კონსტრუქციული ბუნებაც მეორე პლანზე გადადის (მაგ. კამარა ვესტიბულიში და სხვ.).

ინტერერის დამუშავების ამ ძირითადი ამოცანის შესასრულებლად, ავტორებმა ერთი წყარო აიღეს: ეს არის ქართული კვლდის მხატვრობის ძეგლები — ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ — ქართულ ხელნაწერთა გაფორმების ნიმუშები, როდესაც ამ უკანასკნელზე ვიპაპარაკობთ, ერთგული სიფრთხილე მაინც გეპირთებს: შეიძლება ძნელიც კი იყოს რაიმე კონკრეტული მაგალითის მოძიება ბიბლიოთეკის შენობაში ხელნაწერთა დეპოზის სარეგისტრობა, მაგრამ კვლდის მოხატულობის საფორმა იური, პირველი შეხედვისასავე, სწორედ ხელნაწერთა გაფორმებასთან იწყებს ასოციაციას.

თვით კვლდის მხატვრობის დეკორატიული ნახატის შედგენისას ავტორები გაურბიან სწორსაზოგან ორნამენტს, მათი აგება უმთავრესად ხაზის რბილი გადასვლით ხდება. ძირითადი ნახატიდან გამოსული ყლორტები ავსებენ მოსახატ არეს. ქვევითკენ ორნამენტი უფრო ტლანქია, ზოგჯერ უხეშიც, კი, ხოლო ზევით, თანდათანობით მსუბუქდება, ამასვე ემორჩილება ტონთა შერწყმაც (ვესტიბული).

მაშინაც, როდესაც სადგომის არქიტექტურაში ასეთი მოხატვის არ იყენებენ, ავტორები ფერს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ (ქვედა დარბაზი), რაც იმას მოწმობს, რომ შიდა არქიტექტურაში ფერს წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამისთვის მომსწრელს თავიდაცვე აზრადებენ, გალერეის მოხატული კამარები ერთგვარ გადამავალ საფხურს წარმოადგენს.

ამრიგად, ინტერერთა არქიტექტურაში, მიუხედავად იმისა, რომ არის ხარვეზები (მაგ. ქვედა დარბაზი ამოვარდნილია საერთო სახიდან), იგრძნობა მიზანდასახული, ერთიანი ხუროთმოძღვრული იდეა, რომელსაც არქიტექტორები უკავშირებენ ამა თუ იმ ელემენტის კონკრეტულ გადაწყვეტას.

როგორიღაა ფასადები? შენობას ორი მთავარი ფასადი აქვს: ერთი, მოვარის, საიდანაც მოთავსებულია შესასვლელი და მეორე — ვარძაძის ქუჩაზე გამოშავალი. ვანათლების ქ. და ეზოს შორის ფასადები, მეორეგანისისგანია, და ამიტომ მარტივად არის დამუშავებული.

კეცხოველის ქუჩის ფასადზე ქვედა სართული ღია ლოჯია-თაღის უკავია. ფასადი აბსიმტრულადაა გადაწყვეტილი, კუთხის კოშკი და შესასვლელის დიდი თაღით გამოყოფა განსაკუთრებით უსვამს ხაზს ამას.

ფასადის ზედა სიბრტყეზე მოთავსებულია მხოლოდ ერთი რიგი სარკმელებისა, თუ ვაპარაბა მხარეებში შეწყველებულია ერთი სართული ე. ი. ნორმალური სიმაღლის სარკმელები, მარცხენა ნაწილში სამი მაღალი, ორსართულიანი სარკმელია. სარკმელები ზევით მომრგვალებულია და მათ პირველ შემთხ-

ვევაში სათაურები აქვთ, ხოლო დიდ სარკმელებზე დეკორატიული თაღებია შემოვლებული. კვლდის სარკმელებზე სარკმელებსა და თაღებს შორის ორნამენტული როსტრებიაა შევსებული. შენობას ამოავრებს ორნამენტული კარნიზი და პარაპეტი, რომელიც შესასვლელის ღერძზე წყდება, მაღდება და დეკორატიულ თაღებთან, პარაპეტში იხრდება.

კოშკური ნაწილი ძირითადად ყრუ კვლდის სიბრტყეა წარმოდგენილი, რომელსაც ზევით ვიწრო ვერტიკალური სარკმელი სვრავს. კოშკი დაგვირგვინებულია აჭრული პარაპეტით, რომლის ქვედა ნაწილი იმეორებს შესასვლელის ღერძზე ამაღლებულ პარაპეტის დეკორატიული თაღების მოტივს.

ამრიგად, ფასადის კომპოზიცია ერთლია, მაგრამ შედგენილია ისე, რომ თვალისათვის სირთულე შეუმჩნეველი ხდება. ფასადი მთლიანია და ამდენად, ავიღალად აღსაქმეული.

ძირითად მოტივს ქვედა სართულის ღია თაღები წარმოადგენს. ავტორებმა, გარდა იმისა, რომ საშინურის მხარეს გამოშავალ თიხებზე ჩრდილოვანი გალერეა შეუქმნეს, თვით ვიწრო ქუჩასაც მეტი სივრცე მიაჩიქეს და შენობა ორგანულად დაუკავშირეს ქუჩას. კიბეები გალერეაშია ჩაჭრილი, რათა ვიწრო ქუჩას არ წართვის ზედმეტი ფართობი.

შენობა ამისი სიეფროვის გამო ფორმალურად არსადაც არ აღიქმება. ამიტომ შესასვლელის ხაზგამხმს აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არქიტექტორმა აქ ერთი თაღი გამოტოვა, და ორი მალე გაერთიანა ერთი დიდი თაღით.

ფასადზე მნიშვნელოვან მახეულს დარბაზის სამი სარკმელი სვამს, რითაც ხაზი ესმება იმ სადგომს, რომელსაც ფაქტიურად მოვარის ადგილი უჭირავს შენობაში. აქ ერთი რამ არის შესაჩნევა: ფასადის არქიტექტურა არ პასუხობს შიდა დაგვირგვინებს, და ძნელი გასარკვევია შენობის სართულიანობა. ფასადი ერთ სივრცეშია გადაწყვეტილი, რომელიც ერთიან მოცულობაზე შეტყვევებს, სადაც საჭიროებისამებრ ხერხეობია ჩატანებული.

ფასადის კომპოზიცია ერთიანია, მაგრამ შკაფიოდ გამოხატული ნაწილებისგან შედგება: გამოყოფილია სამი სარკმელი დარბაზისა, შესასვლელი — ე. ი. ცენტრალური ნაწილი, კოშკი, ვეკრდითი მხარე და სხვ.

შესასვლელის ღერძზე ამაღლებული პარაპეტი არა მარტო თვით შესასვლელს უსვამს ხაზს, არამედ თანდათანობით ამაღლებს კოშკისკენ გადასვლასაც. კოშკი კი შენობის ორი ფასადის შემოვრული ელემენტია. იგი აერთიანებს მათ ერთ ორგანიზმში და ამავე დროს კუთხიდან ერთგვარად აქცენს უსვამს მთელ შენობას.

ვეკრდის ფასადზე კოშკი წამყვანია და იგი მთავარი ფასადისებრ მიუთითებს მკერებელს.

ვეკრდის ფასადი მჭიდროდ უკავშირდება მოვარს, რადგან იმეორებს მის ზოგიერთ დამახასიათებელ თემებს. ასეთია, მაგ. ღია ლოჯია, რომლის ხუთი მალი, ჩრდილ-სიდათლისა და თავისი მოცულობით, თავისი პორიონტული გადატანებით აწონასწორებს კოშკით გამოწვეულ მახეულს.

ვეკრდის ფასადზე აქცენს მხარითადაც კენ, კოშკისკენ ამდენად, მოვარის ფასადისკენ მიყვარათ: გაძლიერებულია ზედა ნაწილის არქიტექტურული გაფორმება, ქვევითკენ კი,



სადაც მეორეხარისხოვანი ქუჩა მიემართება, იგი კვლებულთა, თუმც არ არის მოკლებული საერთოდ დამახასიათებელ დეკორაციულობას.

თაღების სივრცითი გადაწყვეტა ამ ფასადზე მთავარ როლს ჩემბლოს, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება კომისიის გვერდითი სიბრტყის, შეწყვილებულ სარკმელთა ხაზ-გასმულ დეკორს. ამ შეწყვილებულ სარკმელთა მდიდრულად ორნამენტირებული სათაურები, კუთხის სვეტები, ქვედა რიზტი — თავიდანვე ამახვილებენ ყურადღებას კუთხეზე, სადაც კედელს უფრო მეტად იპყრობს მხანაველს კომისის სრულიად ყრუ კვლების სიბრტყე.

განთავლების ქ. გამომავალი ფასადი მარტივად, ყოველგვარი მახვილის გარეშე გადაწყვეტილი.

ავტორები ფასადთა დამუშავებისას არქიტექტურულ მასებს დიდ ყურადღებას ანიჭებენ. გათვალისწინებულია მათ შორის მხატვრული ფარდობაც, მაგ. მთ. ფასადზე კომისი, განაპირა მოცულობის, თაღები და მის ზეითი სარკმელქვედა კარნიზიდან პარაპეტამდე დანაწევრება ოქროს კვეთის მწკრივს ემორჩილება.

მარამ ფასადთა არქიტექტურაში ავტორებისათვის მხატვრული გამოსახვის უმთავრეს საშუალებას კედლის სიბრტყე წარმოადგენს. მონუმენტურად გადაწყვეტილი, კედლის თავისუფალ სიბრტყეზე არქიტექტურული ელემენტები ხაზგამსულია ორნამენტებით — ერთ შემთხვევაში, ხოლო მეორეში — ფორმათა მოცულობითი მოცემით.

შენიშნის არქიტექტურა ერთ მთლიან მასივს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ფასადები საკმაოდ რთული კომპოზიციური აგებულებისაა. ფასადებზე ხებვილები სხვადასხვა არქიტექტურულ თემს და მინც მათი გადაწყვეტა ყოველთვის ეფარდება ძირითად ამოცანას — კედლის თავისუფალი სიბრტყის, არქიტექტურის მონუმენტური სიბრტყეობის განმარტების ამოცანას.

ფასადთა კომპოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ მათში შეტანილია სივრცობლივი ელემენტები (თაღები-გალერეა და სხვ.) ძირითად სიბრტყეობრივად, უფრო სწორად კედლის სიბრტყის გახსნის საშუალებითაა მოცემული.

ა. კალგინის რწმენით, კედლის სიბრტყეს აორგანიზებს მასზე მოთავსებული ორნამენტულ დეტალთა მიერ შექმნილი ჩრდილ-სინათლე. ხუროთმოძღვრის ამ მოსაზრების აშკარა ილუსტრაციას სწორედ ბანის შენობის ფასადები წარმოადგენენ.

ფასადები არის ორნამენტირებული, მაგრამ დეკორი გახმეყენებულია მორთულობის ლოგიკას დაცვით. ე. ი. სადაც მას არქიტექტურული გამართლება აქვს. სარკმელთა სათაურები, პარაპეტები, რიზტები, კარნიზები შეესებულია ორნამენტული სამკაულით, რომელთა ნახატები ქართული ისტორიული ძეგლების რეპერტუარიდანაა აღებული.

დეკორის დამუშავებისას ავტორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ჩრდილ-სინათლეს. ხშირად დეკორის საერთო სიბრტყეობრივობას უმატებს მოცულობით ელემენტს, ან ორნამენტის დროს კვეთს იძლევა. თუ ორნამენტი მოცულობით — სკულპტურულია, მისი სხივი თავისთავად ცურავს ზედაპირზე და გარკვეულ ცხოვლებულობას ქმნის. ბრტყელ ორნამენტზე კი

წარმატებულად ფონი ქმნის მუქ ჩრდილს (მაგ. კაპიტელები ა, ბ, იქვე პარაპეტი მოც. ელემენტი და სხვ.).

დეკორიული მოცულობის განხილვისას ყურადღებას იმსახურებს რობს კაპიტელები თაღებზე. აქ ავტორს გამოუყენებია, როგორც გეომეტრიული, მცენარეული მოტივები და ცხოველთა გამოსახულებანი. იგი რაიმე გეოც კანონს არ ემორჩილება. მიზანი ერთია — შეიქმნას მრავალფეროვნება. ამიტომ კაპიტელების სხვადასხვა გვერდები სხვადასხვა ნახატით დგება და მათი თაღების მწკრივში სხვადასხვა გვერდებით დაყენება განუმეორებლობის შთაბეჭდილობას ქმნის.

თვით დამუშავების თვალსაზრისით კაპიტელებში არ არის დაკული ერთიანობა. გარდა იმ სხვაობისა, რომელიც გამოწვეულია შერჩეულ ორნამენტთა ბუნებით, სხვაობაა ორნამენტის გავების, მისი სპეციფიკის თვალსაზრისითაც (მცდელობაში გვაქვს ცხოველთა გამოსახულებათა და ორნამენტულ სამკაულთა გადმოცემის სხვადასხვაობა). ორნამენტულ სამკაულთა წმინდა დეკორაციულობა, პირობითობა, სტილიზაცია აქ ხებდება ცხოველთა „რეალისტურ“ (ამ ტერმინის პირობითი ხმარებით) გადმოცემას, რაც სტილისტურ აღრევას იწვევს.

ეს ერთი შეხედვით, თითქოს უნიშვნელო საკითხი, უკავშირდება მეტად პრინციპულ მხარეს, კერძოდ, ტრადიციათა ათვისების საკითხს.

საქმე იმაშია, რომ როგორც საკონკურსო პროექტთა განხილვის დროს აღნიშნა, ა. კალგინი და პ. პრინციპი ცდილობდნენ შენობის არქიტექტურა მთლიანად ადგილობრივ ტრადიციებზე დაყრდნობით აეგოთ. ამაში დეკორატულ მორთულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ ერთადერთის როდი წარმოადგენდა. შენობის საერთო გადაწყვეტა — ღია ტერასები, გალერეა-თაღები, რომლებიც ჩრდილოვან გადასასვლელებს ქმნიან, კედლის სიბრტყის თავისუფალი არე და სხვ. მჭიდროდ უკავშირდებიან შენობის ადგილობრივ მოთხოვნებებს.

შენიშნის დავგემარებისას ავტორები კლასიკური არქიტექტურის პრინციპებიდან გაზოდიდნენ. რადგან სხვა პირდაპირი სახელმძღვანელო ქართული არქიტექტურიდან, არც გააჩნდა. შენობის კომპოზიცია დასავლეთის კლასიკური არქიტექტურის პრინციპებზეა დაყრდნობილი.

ფართოდ ერუდირებული არქიტექტორის ყურადღება, როგორც კომპოზიციის ემება, ბუნებრივია, რომ რომანულ არქიტექტურაზე შეყრდა. რომანული არქიტექტურა ხომ შესანიშნავ (მაგ. იტალიაში) მაგალითებს იძლევა იმისა, თუ როგორ ორგანულად ირთვება კომისი საერთო კომპოზიციისაში, როგორ არის შენობის არქიტექტურაში კომისი მთლიანად განყოფილი ნაწილი და სხვ. თვით კომპოზიციის ნაწილის მეტად თავისებური გადაწყვეტაც (კვეთით ღია თაღები) რაღაც მსოციაციებს რომანულ არქიტექტურაში ჰპოვებდა. უფრო მეტიც, ცალკეულ ელემენტთა მორთულობის პრინციპებიც კი იქიდანაა აღებული. მაგ. გვერდის ფასადზე ზედა, განაპირა სარკმელები, ცხოველებით კრონტივინებზე, ლომების თავები და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, შენობა ადგილობრივ ტრადიციებთანაა დაკავშირებული და ამაში როლს დეკორაცია თამაშობს. ფასადთა მოხარბეულად, ძირითადად, ცნობილი მოტივებია შერჩეული, რომელიც თითქმის ყოველთვის უცვლელა-

და გამმოტანილი ძველი ძეგლებიდან, ამასთან, ყურადღებას არ აქცევენ, თუ როდინდელია ესა თუ ის მოტივი, რომელიც ეპოქისათვისაა დამახასიათებელი, როგორ არის ორიგინალში სტილისტურად გადაწყვეტილი. მაგ. თუ მთავარი დარბაზის სარკმელთა ორნამენტულ მოზარჩოებად ბოლნისის ორნამენტია გამოყენებული (V საუკ.), შესასვლელების გარშემო ორნამენტებია სამთავროდან (XI საუკ.), ქვათახვიდან (XII საუკ.), როზეტი ახტალიდან (XIII საუკ.) და ა. შ. ე. ი. სრულიად სხვადასხვა დროისა და მიდგომისა. ქართული ძეგლებიდან პირდაპირაა გამმოტანილი არა მარტო ცალკეული ორნამენტები, არამედ მთლიანი ელემენტებიც კი, როგორცაა გვერდის ფასადის შეწყვილებული სარკმელი, რომელიც იმეორებს სარკმელს ოშკიდან.

ის გარემოება, რომ სხვადასხვა დროის ორნამენტები, სამკაულია გამოყენებული — თავისთავად ეკლექტიკურს ხდის ფასადთა არქიტექტურას. მაგრამ ორნამენტთა შესრულების მანერამ, ნასატისა და მასშტაბის შერჩევამ, რაც დიდი მხატვრული ტაქტიკაა მოქმედი, შენობათა ფასადებზე უზრუნველჰყვებს ფასადთა წყნარი იერი. ორნამენტული სამკაულები არ ჩემულობენ თავისთავად მნიშვნელობას და არ არიან ამოვარდნილი საერთო არქიტექტურიდან. დეკორი ხაზს უსვამს ამა თუ იმ არქიტექტურულ ფორმას, ელემენტს. მაშინაც კი,

როცა მოცემულია სუფთა დეკორატიული ლაქა (როზეტი და სხვ.), იგი ყოველთვის შეფარდებულია ფასადის საერთო კომპოზიციასთან. მაგ. გვერდით ფასადზე შეწყვილებული სარკმელთა დეკორატიული გადაწყვეტა, კომპისკენ — ში. ფასადისკენ სავსე მახვილს. ხოლო როზეტები მთავარ ფასადზე ავსებენ კედლის ზედმეტად თავისუფალ არეს.

ამრიგად, არქიტექტორის მხატვრულმა ალომ და დეკორის ლოგიკის დაცვამ სხვადასხვა პერიოდის ორნამენტული სამკაულები ასე თუ ისე ერთ მთლიანში გააერთიანა.

ეს არ უნდა იყოს გაგებული, როგორც სტილიზაციის თუნდ რაიმე აპოლოგია. ჯერ ერთი სტილიზაცია არის და სტილიზაცია. მთავარია, რომ იმ პერიოდში, როდესაც მთელი ქართული არქიტექტურა, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, საზრდოობდა მისთვის სრულიად უცხო, „მოდერნული“ ხუროთმოძღვრული პრინციპებით, იგება შენობა, რომელიც ვერდნობა ეროვნულ არქიტექტურას.

ამ შენობის არქიტექტურა, იმ საზოგადოებრივი პროტესტის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება იყო, რომელიც თხოვლობდა ქართული ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის დაცვას და მას ქართული არქიტექტურის ისტორიაში უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ენიჭება.

ვ. ვეტროვონსკი

მარტენაჲ





ემოქმედებითი წარმატების სიხარული მიხეილ ბახტაძეს ადრეც განეცადა მშობლიურ თბილისსა თუ ბაქოში, როსტოვსა თუ მოსკოვში, მაგრამ საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში 1945 წლის 17 ოქტომბერს მოპოვებული გამარჯვება მტკიცედ შევიდა ახალგაზრდა ქორეოგრაფის შემოქმედებითი ცხოვრებაში. სახელმწიფო შრომითი რეზერვების მხატვრული თვითმოქმედების III საკავშირო დათვალეირების დასკვნითი კონცერტის შემდეგ ვიორიმ საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან არსებულ სიმფერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს მიულოცა პირველი ხარისხის დიპლომისა და ჯილდოს მინიჭება. ამ მღელვარე, საზეიმო წუთებში ანსამბლის წევრებით გარშემორტყმულ მიხეილ ბახტაძეს „მოსფილმის“ ცნობილმა კინორეჟისორმა იუშკევიჩმა ქართული ცეკვის დადგმა შესთავაზა სრულმეტრაჟიანი ფილმში „გამარჯობა, მოსკოვ“, რომელიც ძირითადად სახელმწიფო რეზერვების სახელოსნოებსა და სკოლებში ახალგაზრდობის შრომით აღზრდას მიეძღვნა. როგორც პრესა აღნიშნავდა, ფილმის წარმატებას ხელი შეუწყო წარმატაცი გრაციით, კდემამოსილებით, პოეტური

ქართული ცეკვის სიყვარულით

ლეთ გაბუნია

აღმაფრენით და გვირულ-პატრიოტული სულისკვეთებით მდიდარმა ქართულმა ხალხურმა ცეკვებმა, რომლის დადგმაც განახორციელა მიხეილ ბახტაძემ.

ბუნებით მკვირცხლმა, შრომისმოყვარე ემაწვილმა პირველი შემოქმედებითი ნათლობა მიიღო პლებანოვის სახელობის კლუბში, რომლის გამგებობის წევრად მისი მამა იოსები მუშაობდა. ორთქლმავალ-ვაკონშემკეთებელი ქარხნისა (ყოფილი მთავარი სახელოსნოების) და დედაქალაქის მოწინავე სამრეწველო რაიონის — ლენინის რაიონის კულტურულ-მასობრივი მუშაობის ამ მძლავრ კერაში ხშირად ეწყობოდა საღამო-კონცერტები. წარმოდგენები, როგორც ადგილობრივი მხატვრული თვითმოქმედების ძალებით, ისე სანდრო კავსაძის გუნდის, სახელმწიფო ოპერის და რუსთაველის თეატრების, საქართველოს ფილარმონიისა და სხვა მსახიობთა მონაწილეობით. ქართული ხალხური ცეკვები მასურბეგელთა განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა.

1932 წელს კლუბთან შეიქმნა ბავშვთა ცეკვის წრე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობის გრიგოლ ჩივაძის ხელმძღვანელობით. ქორეოგრაფმა ნორჩი სოლისტი, რომელიც ხალხური ინსტრუმენტების ორკეს-

ტრშიც წარმატებით უკრავდა გიტარასა და მანდოლინაზე, თავის წრეში ჩარიცხა. მალე მიხეილმა საშემსრულებლო ტექნიკის სწრაფად დაუფლებასთან ერთად ორგანიზატორული უნარიც გამოიჩინა, ზოგჯერ დამოუკიდებლად მართავდა კონცერტებს ქარხნის საამქროებში და ახალი ცეკვების შესწავლაშიც შეელოდა. ამიტომ, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, 1935 წელს გ. ჩივაძემ ნიჭიერი მოწაფე თავის ასისტენტად აიყვანა.

მ. ბახტაძის და მისი ტოლების მოქალაქეობრივი შეგენების ფორმირება ხდებოდა ოცდაათიან წლებში, როცა სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის ყველა დარგის მძლავრ აღმავლობასთან დაკავშირებით მთავარ ამოცანად დასახული იყო ლიტერატურასა და ხელოვნებაში სოციალიზმის შვეწნეული საბჭოთა ადამიანის მიზნადარი მორალური თვისებების, მისი სპეტაკი სულიერი სამყაროს ასახვა, მხატვრული თვითმოქმედების მისობრივი განვითარება, ხალხური შემოქმედების საგანძობის შეკრება და შესწავლა-დამუშავება.

რადენ ნაყოფიერი იყო ამ პერიოდში გაწეული შრომა, ცხადყო თვითმოქმედების პირველმა რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ (1936 წ. აგვისტო), რომელიც ნიჭიერ შემ-

სრულყოფილი ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცა. მხატვრული თვითმოქმედების პირველმა ფორმამ ახალი, თვალწარმტაცი ასპარეზი გადაუშალა ქორეოგრაფის ასისტენტს, 1937 წელს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველი დეკადის არანახულმა წარმატებამ მოსკოვში საპოლოდ განსაზღვრა მისი მომავალი.

ბავშვთა ცეკვის ანსამბლის პირველი გამოსვლა მოეწყო მოსკოვში 1938 წლის აგვისტოს რკინიგზის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე ვოკალის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მწვენი თეატრის დარბაზი გულბობილად შეხვდა ორთქლმავალ-ვაკონშემკეთებელი ქარხნის წარჩავნილებს. „ქართული“, „მოხვეური“, „მთიულური“, მაცურებელთა მოთხოვნით, რამდენჯერმე გაამეორებინეს. სოლისტებს — მ. ზახტაძეს, ა. ფავლენიშვილს, ლ. ხუბაძეს, რომელთაც თავი გამოიჩინეს ცეკვის მიხედვითი შესრულებით, ფსიხისი საჩუქრები და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელები გადაეცათ.

მოსკოველთა მალაღმა შეფასებამ ფრთხილ შეახლა, საკუთარი ძალიდან რწმუნა განუტყობია მიხილს, უფრო დასაყვარა შობლიური ქარხნის კოლექტივი. მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე კლუბის გამკვებამ იგი ბავშვთა ცეკვის წრის ხელმძღვანელად დააწინაურა.

ცნობილ ქართველ ქორეოგრაფთან ჯანო ბაკრატიონთან მ. ზახტაძის შემოქმედებით თანამეგობრობამ, მისი ხელმძღვანელობით რეპეტიციებსა და კონცერტებზე მონაწილეობამ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის შემდგომ გაზრდაში. იგი ხშირად ესწრება აგრეთვე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ჯავრიშვილის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ი. სუნიშვილის რეპეტიციებს და თავის რეპეტიციებზე იწვევს მათ. მოგზაურობის რაიონებში ახალი ცეკვების შესასწავლად, ხალხური შემოქმედების ეზმისა და სიღამაზის მოტრფიალედ ახალგაზრდა მთელ თავის უნარს ამხარს საყვარელ საქმეს.

